# ქართველების გათათრება

ანუ

ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ქართველებში

(XVII—XVIII საუკ.)

ისტორიულის და ზეპირ-გარდმოცემულის ცნობებიდგან დაწერილი

ზ. ჭიჭინაძისა

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა || ТИПОГР. Т. М. РОТИНIАНЦ
1901



# ქართველების გათათრება

ანუ

ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ქართველებში

(XVII და XVIII საუკ.)

30120

ისტორიული და ზეპირ-გარდმოცემული ცნობებითგან დაწერილი

ზ. ჭიჭინაძისა

აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-музей имени Акад. И. Гришашвили
Академия

ტფილისი
სტამბა მ. შარაძისა და ამხ., ნიკოლოზის ქ. № 21.
1901

Дозволено цензурою, Тифлисъ, 15-го Декабря 1900 г.

# ქართველების გათათრება

ანუ

ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ქართველებში

(XVII და XVIII საუკ.)

ისტორიული და ზეპირ-გარდმოცემული ცნობებითგან დაწერილი

ზ. ჭიჭინაძისა

თფილისი

სტამბა მ. შარაძისა და ამხ., ნიკოლოზის ქ. № 21-

1901

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15-го Декабря 1900 г.

# ქართველების გათათრება

## ყარსის (კარი) მიდამოებისაკენ.

(ნაამბობი სოფ. ვაიო'ში გამაჰმადიანებულთ გოგიტიძეების მიერ)

ყარსი ძველად ქართველების ქალაქი იყო, მისს გარშემო სულ ქართველები სცხოვრებდნენ. ყარსის იქითაც საქართველო ყოფილა. ოსმალებს ყველაზე წინად ყარსის ქალაქი დაუჭერიად; რამდენსამე ხნის შემდეგ თათრებს ქართველებისთვის გამაჰმადიანება უთხოვნიათ. მაგრამ ქართველები არ დასთანხმებიან და ოსმალებთან ამის გამო ჩხუბი მოსვლიათ. ქართველთაგან ძლიერ ბევრნი დახოცილან, ბევრნი ქართლ-კახეთს გამოქცეულან, ბევრნი იქ დარჩენილან. ჩხუბებს ბოლო და დასასრული არ მისცემია. ამ დროს, ყარსისკენ მდგარან გოგიტიძეები, ამათი სოფლები იქით ყოფილა. გოგიტიძეები აზნაურები ყოფილან მეფეების დროს და თათრებს ამის მაგიერ ალიობა მიუციათ. ერთი გოგიტიძეთაგანი მეტად შესანიშნავი კაცი ყოფილა, ხალხის მოყვარე და ქვეყნის ერთგული. ეს წასულა ოსმალებთან და უთქვამს:

— ბატონებო, ჩვენი რად გეშინიანთ თქვენა, ჩვენი რის შიში გაქვსთ, ჩვენს სჯულს რად ეხებით, რად გინდათ, რომ ჩვენ ჩვენი ძველი სჯული დაგვაკარგვინოთ, ამით უფრო ბევრს მტრებს გაიჩენთ, თქვენ, სჯობს, რომ ამდენი ხალხის ასე ჟლეტა-წყვეტას თავი გაანებოთ და ქვეყანას უპატრონოთ. ჩვენ ერთგული ვართ, მე გაძლევთ პირობას, რომ თქვენ წინააღმდეგ სიტყვა, კრინტი არავინ დასძრას, ხმალი არავინ აიღოს ხელში; ოღონდ მოგვასვენეთ, ჩვენს სჯულს თავი გაანებეთ: ხალხი ამაზედ სწუხს და სულ ამის გამო არის უკმაყოფილოა, რომ ნუ გვათათრებენო! ოსმალთ მიუგეს მას:

— ძალიან კარგი, ყველაფერს შევასრულებთ, მხოლოდ შენის სიტყვით და შენის დაპირებით და ისიც იმ შემთხვევაში, შენ თუ

თათრის სჯულს მიიღებ; ეს იცოდე, რომ მაშინ ყარსის ფაშობასაც შენ მოგცემთ და მართე იქაურობა ჩვენის ერთგულებით. ასეთი რჩევა გოგიტიძეს მოეწონა. ამან იფიქრა: ამდენი ვაი-ვაგლახი თუ ჩემის გამაჰმადიანებით მოისპობა და მეც ფაშა გავხდები, მაშინ რა მიჭირს, გავმაჰმადიანდები და ამით ქვეყანასა და ხალხს მაინც ავაცდენ დიდს უბედურებასაო. ამიტომ ეს კაცი მალე გამაჰმადიანებულა. ამისთვის სახელად სეიდი უწოდებიათ და ყარსის ფაშად დაუდგენიათ. სეიდ ფაშა გოგიტიძე ძლიერ შესანიშნავი კაცი ყოფილა და თავისი საქმეებიც კარგად უმართავს, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, სეიდ ფაშას გამაჰმადიანების შემდეგ, რომ ოსმალის ფადიშაჰისაგან ბრძანება მოსულა, რომ ქართველები მთლად უნდა გაამაჰმადიანოთ, ჩემს სამეფოში ყველა მაჰმადიანი უნდა იყოსო. ამ ამბავს ხალხი არ დაჰყაბულებია, სეიდ ფაშასთან მისულან და უთქვამთ:

— ეს რა ამბავი არის, დაგვიმორჩილეს, ფეხი გაიმაგრეს, ყოველივე ჩვენი საიდუმლოება შეიტყეს და ახლა გამაჰმადიანებას გვეუბნებიან, სჯულიდამ ხელის აღებას?!

სეიდ-ფაშა მიმხრობია ქართველთ და ამათ ოსმალთა წინააღმდეგ ჩხუბი დაუწყიათ. ჩხუბში დიდძალი ქართველობა გამწყდარა, მაგრამ არც ოსმალთ დასდგომიათ კარგი დღე, ესენიც მრავალი დახოცილა. ოსმალთ მალე მოშველებია ოსმალოს ახალი დასვენებული ჯარი და ამათ გაუმარჯვნიათ. ქართველები ძლეულან და ამ ძლევის დროს სეიდ-ფაშა გოგიტიძე თავის ხალხით აჭარაში გამოქცეულა, რადგანაც აჭარა მაშინ საქართველოსი იყო. აქ ქართველი მეფე იჯდა. ყარსიდგან მოსული სეიდ-ფაშა გოგიტიძე აჭარის სოფ. კაიოში დასახლებულა. აქ გაუმაგრებიათ თავი და აქედგან უბრძოლიათ ოსმალთ წინააღმდეგ. აჭარელთ დიდი ხანი შეუნახავთ თავი. ყარსისკენ კი მთლად გამწყდარა ქართველობა ომში და ვინც დარჩენილან, ბოლოს ესენიც გამაჰმადიანებულან. გამაჰმადიანების შემდეგ ოსმალმა ქართველებს ხოჯა-მოლები გამოუგზავნეს, ეკლესიები დაუქციეს, მღვდლები გამორეკეს, ზოგი დახოცეს და ვინც ქართულად ლაპარაკობდა, იმათ კიდევ აღუკრძალეს, რომ დღეის შემ-

დეგ ქართულად ლაპარაკი არ გაბედოთ თქვენ, თორემ დაგხოცავთო. ახალ გამაჰმადიანებულთ ძლიერ ეშინოდათ, რადგანაც ამათ მომომხრე და ქომაგი არ ჰყავდათ და ამიტომ ძალა-უნებურად თათრულს ენაზე ლაპარაკობდნენ. ნელ ნელა თათრულს შეეჩვივნენ და ქართული მთლად დაავიწყდათ, ასე რომ დღეს ყარსისკენ ქართული აღარავინ იცის. მას შემდეგ, ჩვენ გოგიტიძეები, სეიდ ფაშასი და მის ძმების შთამომავალნი ვსცხოვრებთ ვაიოში და ჩვენში ძველმა კაცებმა ამ სეიდ-ფაშა გოგიტიძის და ქართველთ გამაჰმადიანების შესახებ ბევრი ძველებური ამბები იცოდნენო.

ოსმალებს ყარსისკენ ბევრი უდიერობა ჩაუდენიათ და საბრალო ქართველები უღმერთოდ და ურცხვად გაუთათრებიათ.

---

## ართვინის (ართვანი) გამაჰმადიანება

(ნაამბობი ლივანაში ქრისტიან კათოლიკეებთაგან და ქართველ მაჰმადიანებთაგან.

ლიგანის ხევი—დღეს ლივანად იწოდება. ლიგანი ძველად იწყებოდა შესართავთან და იქიდან ართვინამდის მიემართებოდა; ართვანს იქით კი, ანუ ბერთას სამზღვრიდან კლარჯეთი დაიწყებოდა. დღეს აქეთ კლარჯეთის ხსენება არავინ იცის, ყველა ლივანას უწოდებს ამ ადგილებს. ყველა ეს ადგილები ძველად საქართველოს მკვიდრს საკუთრებას შეადგენდა; აქ ქართველთ ტომით იყო მოფენილი, ლივანის დაბა, ართვინიც, ქართველთა მეფეთაგან იყო გაკეთებული; ეს ადგილები ძველადვე დაადგა წარმატების გზას, აქაურნი ქართველნი ადრიდგანვე შეეჩვივნენ მწიგნობრობას, ხელოსნობას, მეცნიერების მიყოლას და ღვთის-მეტყველებას. ამ ადგილებში ძველად შენდებოდნენ მრავალი მონასტერ-ეკკლესია და დიდრონი სასწავლებელნი, რომელთა ნაშთნი დღემდეც შენახულან აქა-იქ. აქაურნი ქართველნი იყვნენ მეტად მხნე და ლომ-გულნი, მამულის მოყვარენი და საქართველოსთვის თავ-დადებულნი, ამას ხომ ჩვენი ისტორიაც ამტკიცებს. ამათ დიდხანს იბრძოლეს ქართველების გუ-

ლისთვის პარისპირ ოსმალებთან, მაგრამ უკანასკნელ ესენიც იძლივნენ, — მუდმივ ომებისაგან დაღალულნი დაემორჩილნენ თავიანთ კარზე მომდგარს შავს ბედს და მიეცნენ ოსმალთა მონებას.

ოსმალთა მონების ქვეშ შესვლას შედეგად მოჰყვა მთელი ამ ადგილების გამაჰმადიანება, გამაჰმადიანებისთვის წამება. ხალხი დიდს უარს იყო გამაჰმადიანებაზე, მაგრამ ხსნა არ საიდგან იყო. უკანასკნელ იწყეს გამაჰმადიანება და რავდენიმე ხნის განმავლობაში მთელი ეს ადგილები, ბერთამლის მცხოვრებნი ქართველნი მთლად გაამაჰმადიანეს. ამათ შემდეგ ბერთას მიადგნენ. ბერთაში ძველად მშვენიერი ეკკლესია იყო და ამ ეკკლესიას დიდი ზე-გავლენა ჰქონდა ამ მხრის ქართველებზე; ბერთას ხსენება სასტიკად ამაგრებდა ქართველთა და ამათ მხნეობით მოსაგლა გამაჰმადიანების წინააღმდეგ, მაგრამ ესეც შემცირდა. უკანასკნელ ოსმალთა სცნეს საქმის ვითარება და მალე ბერთას ტაძარსაც მოხვიეს ხელი, სამღვდელონი გაძარცვეს და ეკკლესია ჯამეთ გადააკეთეს. ეს ეკკლესია ჯამეთ გადაკეთებული დღემდეც სდგას კლარჯეთში.

ქართველთა ოსმალთ წინააღმდეგ მკაცრად იწყეს ბრძოლა; ესენი ბრძოდნენ სასტიკად მით უფრო, რადგანაც ოსმალებმა ამათი მოძმე ქართველნი აქა-იქ დასტანჯეს უწყალოდ, და ამ ტანჯვით იგინი მაინც გაამაჰმადიანეს. ბრძოდნენ გმირულად, მაგრამ ბოლოს ქანც-გაწყვეტილებმა იწყეს აქეთ-იქით ლტოლვა; დაბა და სოფლებმა იწყეს ვერანად ქცევა. ოსმალთ თავიანთ ხრიკები შეაჩერეს, ხალხი დააშოშმინეს, რამდენიმე ხნის შემდეგ ხელ-ახლავ მოჰკიდეს გამაჰმადიანებას ხელი და ქართველებს დაუწყეს გამაჰმადიანება და აი როგორ: ოცი, ოცდა-ათ სოფელს დაეცემოდნენ, ამ სოფლის ხალხს ერთად შეჰყრიდნენ, გარს ოსმალოს ჯარს შემოაკრავდნენ და თათრობას ეუბნებოდნენ. ქართველთაგან ესმოდათ:

— არ გავთათრდებით, რაც უნდა იქმნეს.

— დაგხოცავთ სუყველას, არც ერთს არ დაგარჩენთ ცოცხალს, ეუბნებოდნენ ოსმალნი.

— ნება თქვენი გახლდესთ, როგორც გერჩიოთ, ისე ჰქმენით საქმე.

— ჩვენი ნება და საქმე თქვენი გამაჰმადიანება არის, მიუგეს ოსმალთა.

— არა, ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ. ჩვენ, თქვენი ნება დახოცვის მხრით გითხარით, მიუგეს ქართველთა.

— დახოცვა ჭკუის საქმე არ არის, საქმე გამაჰმადიანება არის. ეს ადგილები ჩვენ მიტომ დავიკავეთ, რომ ქართველნი გავამაჰმადიანოთ და არ დავხოცოთ. ჩვენ მაჰმადიანობის გავრცელება გვინდა, რომ ეს წმინდა სჯული მოიფინოს უსჯულო ქართველებში.

— ჩვენ ვერ ვიზამთ მას, მიუგეს ქართველთა.

— არა გიშავსთ-რა, ჩვენ შეგაჩვევთ, გასწავლით უველაფერს მიუგეს ოსმალთა. მაგრამ ქართველნი მაინც არ თანხმდებოდნენ.

ლივანელ-კლარჯელებისთვის დადგა დიდი უბედურების დღეები. აქ მცხოვრებ ქართველობას გარს აუარებელი ოსმალოდან მოსული ჯარი შემოეკრა, და იწყეს ქართველების დევნა და პატიმრება, მოხუცებულნი ქართველების დედაკაცნი და მამაკაცნი ხმა-მაღლა ჰყვიროდნენ ტირილით.

— არ გავთათრდებით... ვაი ჩვენს თავს, ჩვენს ბედს, უნდა გაგვამაჰმადიანონ ძალით, ღმერთო, ნუ გვიწყენ, გვაპატიე! პატიმარ ქართველებს მოუყარეს ერთად თავი და ყველა ესენი წყობა-წყობა მიჰყვანდათ ართვინის ხიდის გვერდით, რომელი ხიდიც ჭოროხზე იდგა. აქ აყენებდნენ ქართველთა და გარს ჯარის კაცნი სცავდნენ.

პყრობილ ქართველთა პირდაპირ, ხიდის გვერდით, ერთ ალაგას, დაასვენეს ერთი ძველი ქართველთა ხატი, რომელსაც ქართველნი დიდს პატივს სცემდნენ, ეს ხატი ართვინის ეკკლესიისთვის წაერთმიათ ოსმალებს. ხატის გვერდით იყო თავ-საკვეთი ქვა და იდგნენ ჯალათები თავ-საკვეთით აღჭურვილნი. პყრობილ ქართველთაგან სამ სამნი მოჰყვანდათ ქართველთა ხატის წინაშე და გაკრძალვით აყენებდნენ და თან ეუბნებოდნენ:

— თათრდები თუ არა? თუ თათრდები ხომ კაი, თუ არა და აი, თავ-საკვეთი და ჯალათი.

— არ გავთათრდები, არა და არა შეუტიეს მრავალთა.

— აბა, მაშ თავები ამათ, იყვირეს ოსმალთა, ჯალათის წინ წააყენეს პყრობილი ქართველთაგანი და მოჰკვეთეს თავი და დაჭრილი ჭოროხში გადაყარეს. ქართველთა ნახეს მეგობრის წამება სჯულის გულისათვის. ესენი შეჰკრთნენ, შეშინდნენ, მტერს დახანება სთხოვეს. ამათ მისცეს მათ ნება. იგინი დაფიქრდნენ. ბოლოს უთხრეს:

— გავთათრდებით, მეტი გზა არ არის.

— ძალიან კარგი, მაშ თუ გათათრება გინდათ, აგერ, იმ ხატს მიაფურთხეთ, რომ ჩვენ დავრწმუნდეთ თქვენს გათათრებაზე.

— ხატს რაღაზე მივაფურთხოთ, იგი რას გიშავებთ თქვენ ან ჩვენ, რა გინდათ მისგან, რომ მივაფურთხოთ?

— რომ ჩვენ დავრწმუნდეთ თქვენს გათათრებაზე, თუ არა და უამისოდ ჩვენ ვერ ვირწმუნებთ თქვენს გათათრებას.

ქართველთა მიუგეს:

— ჩვენ გავთათრდებით, მაგრამ ხატს ვერ მივაფურთხებთ.

— ვერა და დაიხოცებით. მიუგეს ოსმალთა მრისხანებით.

— ნება თქვენი აღსრულდეს, როგორც გერჩიოსთ ისე ჰქმენით, ჩვენ არ შევშინდებით; და რავდენიმე ქართველთ პყრობილნი წარსდგნენ წინა და მოჰკვეთეს ამათ თავები და გადაჰყარეს ჭოროხში. ამ მოწამეების სიკვდილი და წამება რა ნახეს მრავალთა, ესენი შეშინდნენ, იწყეს დრტვინვა, თავის დანანება და ამიტომ ისურვეს ოსმალთა ბრძანების აღსრულება და ხატზედ მიფურთხება. ხატზე მიფურთხების შემდეგ მიმფურთხავს ათავისუფლებდნენ და იქვე ათათრებდნენ. ორი დღის განმავლობაში რვაას ქართველს მოსჭრეს თავი და გადაჰყარეს ჭოროხში, რომელთაც ვერ გაბედეს ხატზედ მიფურთხება. ზოგნი კი ასახელებენ, რომ ათას ოთხას კაცს მოსჭრეს თავიო.

ასე და ამ გვარად, ართვინის ხიდის გვერდით დიდ-ძალი ქართველობა გაწყვეტილა ოსმალთა წინაშე ბრძოლაში მაჰმადიანობის გამო. დახოცილებში ბევრი დედაკაციც ყოფილა და მღვდლებიც. ვინც დარჩა ისინი გაათათრეს და მათში ასეთის სასტიკის შიშიანობით დაამკვიდრეს მუსლიმანობა.

აქაური ქართველნი მეტად ჭკვიანნი და მხნენი იყვნენ. ბევრმა მათგან იწყეს კათოლიკეთ თავის აღიარება, ზოგმა სომხობა და ამით გადირჩინეს თავი წამებისაგან, რადგანაც ოსმალნი კათოლიკებსა და სომხებს არ ატანდნენ ძალას. საქართველოს კათოლიკეთ თვით პაპი მფარველობდა. პაპს სულთანთან პირობაც ჰქონდა შეკრული. სომხებს კი ხმას არ სცემდნენ, რადგანაც მათი მორიდებაც არ ჰქონდათ. მარტოდ ქართველებს მტრობდნენ, რომ ამათ საქართველოს მეფესა და ერთან კავშირი არა ჰქონიყოთ.

ამ ადგილებში ქართველნი გათათრდნენ, მაგრამ ქრისტიანობას მაინც არ სტოვებდნენ, საიდუმლოდ ქრისტიანობდნენ. ეს ამბები ოსმალთა შეიტყეს, ამიტომ მათ ქართველებს სასტიკად უწყეს დევნა და ტანჯვა-წამება. უკანასკნელ საქმე იქამდის მივიდა, რომ ლივანელ და კლარჯელ ქართველებს ქართულს ენაზე ლაპარაკიც კი დაუშალეს. ქართულს ენაზე ლაპარაკის დაშლამ დიდი ზეგავლენა იქონია ქართველებზე და ამიტო მათ ლტოლვა იწყეს საქართველოს იმ ადგილებისკენ, სადაც ქართველი მეფე იჯდა, ქართველთა გამგეობა იყო. ოსმალთა მალე მოიღეს ამის წინააღმდეგი ძალა და იარაღი; ამათ ოსმალოს ჯარი დაახვიეს ქართველებს გარს და სასტიკის მუქარებით აუწყებდნენ თავიანთს ბრძანებას ვინც თანახმანი იყვნენ ბრძანების—იმათ სტოვებდნენ თავისუფლად და ვინც წინააღმდეგი იყო, იმას აპატიმრებდნენ; წინააღმდეგ პირებს ერთად აგროვებდნენ და ბოლოს ყველა ამათ მისირში რეკავდნენ, ამ გარეკილ ქართველების ადგილებზედ კი ნამდვილს ოსმალებს ასახლებდნენ. აი ამ მიზეზით აიხსნება, რომ ლივანის ხევის დასასრულს მრავალს ადაგას, სოფლებში დღეს ქართული ენა აღარ სუფევს და ზოგიერთს სოფლებში მცხოვრებნი ოსმალურად ლაპარაკობენ. ამ მრავალ ოსმალთა მოსხებით ყველა სოფელში თვით მკვიდრთ ქართველთა მცხოვრებთაც დაჰკარგეს თავიანთი დედა-ენა. ოსმალთა ნატვრაც ეს იყო, ამისთვის ბრძოდნენ იგინი. აი, ამიტომ არის, დღეს ლივანის ხევის დასასრულს ადგილებში ქართული ენა დავიწყებული და მოსპობილი. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ლივანის ხევს იქით, კარგა გზას რომ გასცილდებით, იქითა მხრის სოფლებში კი

ყველგან ქართული ენა სუფევს. ლივანის ხევიდან წაყვანილ და გადასახლებულ ქართველთა რიცხვით ძველად სავსე ყოფილა მისირი, შამი და დიარბექირი. ეს ასევე მარწმუნა ადრე აჭყვისთაველმა ჭუსეინ ხაბაზ ქამჯარაძემ, სახალხო მელექსემ, რომელიც დიარბექირს და ხსენებულს ადგილებში 20 წელიწადი ყაჩაღად იყო გავარდნილი.

აი უმთავრესი მიზეზები იმისა, რომართვინის ახლო-მახლო ქართული ენა ზოგიერთ სოფლებში სრულიად მოისპო.

---

ართვინის (კლარჯეთამდის) გამაჰმადიანება.

(ნაამბობი ბ. ლუკა ანდღულაძის მიერ).

რუსეთმა რომ ბათუმი ჩაიბარა, მე მაშინ სამსახურში შეველ, მალე ბათუმში ვიქმენ განწესებული და იქიდგან გურიის მილიციაში ვემსახურებოდი. აჭარის ჩაბარების შემდეგ მე აქედ ვმსახურებდი, ხან აჭარაში, ხან ზეგანს, ლივანას და მურღულის ჩაბარებაშიაც თვით ვიყავ დამსწრე და მონაწილეობის მიმღები. იმ დროებში ჩვენ აქ ძლიერ ბევრი ღრმად მოხუცებული ქართველ-მაჰმადიანები ვნახეთ, რომელნიც ლაპარაკობდნენ თამამად შემდეგს:

მას შემდეგ სამი თაობა გავიდა, რაც ართვინის ხალხი კლარჯეთამდის გამაჰმადიანდაო. ართვინელნი დიდად მაგრობდნენ და ამიტომ ოსმალოსაგან დიდძალი ჯარის კაცი იქმნა მოგზავნილი და ამ ჯარის კაცებმა ქრისტიანობის გულისთვის 1400 ქართველს მოსჭრეს თავი და ეს თავები ჭორიხში ჩაყარესო. აქეთ ბევრ მოხუცებულთ ახსოვთ გაგონილი ამბავი, რომ ქრისტიანობის გულისთვის ერთს დროს ქართველთ 1400 კაცს მოსჭრეს თავიო. მოხუცებულთა ფიქრით ეს უნდა მომხდარიყოს 1740 წლებში.

(ქედის ხოჯა ახმედ ხალიფაშვილის ნაამბობი).

ზეგანი ნებით არის გამაჰმადიანებული, აქ ოსმალებს სისხლი არ დაუღვრიათ.—ამიტომ ზეგანი ნებით გაქრისტიანდებაო. ამის

ნიშანი ჩვენ უკვე ვნახეთ, შერით-ბეგ ხიმშიაშვილი, ზეგნელი, თავის ნებით გაქრისტიანდა. ძველად ხოჯა ხერხეულიძე ასე იტყოდა: რომ ნებით არც ერთი მხარე გამაჰმადიანებული, სადაც კი გამაჰმადიანებულან, ყველგან ძალით მომხდარა. ზეგნელების აჭარელებზედ არა ნაკლები უტანჯნიათ. ნახევარი ზეგანი ფოცხვისა და ქვაბლიანისკენ გაწყდა ბრძოლაში, რადგანაც არ თათრდებოდნენო, დანდალომ ზეგანს მიჰბაძა და მიტომ გაწყდნენ ესენიც ბრძოლაში. დანდალოს აჭარამ მიჰბაძა და აჭარაშიაც დიდი სისხლი დაიღვარა. ხოჯა ხერხეულიძეს კარგად ახსოვდა ის დრო, როცა აჭარაში ხალხი ქრისტიანობდაო.

ხერხეულიძე ღრმად მოხუცი გარდაიცვალა, ასე 90 წლისა. ეს იტყოდა ხოლმე, რომ ჩვენის გვარიდან პირველად მამა-ჩემი გამაჰმადიანდაო. მამაჩემი მაშინ 20 წლის დელეყანდი იქნებოდა და სჯულზე ძლიერ მაგრობდაო. თურქებს ბრძოლა აუტეხეს, მამაჩემის ერთი ნათესავი დაიჭირეს და თავი მოჰკვეთეს, ზოგი ბაწრით დაარჩეს; მამაჩემს შეშინებია და გამაჰმადიანებულა. ეს ამბები უნდა მომხდარიყოს 1770 წლებშიო.

ხულოს ეკკლესია რომ დააქციეს, მაშინ ზეგნელები ძრიელ ჯავრობდნენ და ლაპარაკობენ, რომ რად აქცევენო. ფაშასთან მივიდნენ და სთხოვეს:

— ფაშა, აგრემც თქვენს მუხლებს ვენაცვალებით, ამ ეკკლესიას ნუ აქცევთ, ცოდოა, ჩვენი ძველების გაკეთებულიაო, ნუ იზამთ ამასაო!

ფაშამ ამათ ლაპარაკი შესწამა; ქრისტიანობას სწამებდნენ, ამიტომ თავები მოჰკვეთეს. ეკკლესია მაინც დააქციეს, ეკკლესიის ქვებით ფაშის სახლი გააკეთეს და მათ მეზელუხს (სასაფლაოს) ყორე შემოავლეს, ჯამეს საძირკველი მით ჩაჰყარეს და წყაროს კედლებიც მით გააკეთეს. სხალტა რომ ჯამეთ გააკეთეს, მე პირველად ვალოცე იქ ხალხი, პირველად მე დავიძახე მაჰმადის ლოცვა მის მინარიდგან. სხალტის ეკკლესიის სურათებს რომ ცეცხლს ვაძლევდით, ესეც ძლიერ ბევრს მოხუცებულებს სწყინდათ.

აჭარლებზედ მეტი სისხლი მაჭახელმა დაღვარა. აჭარის გამაჰ-

მადიანების შემდეგ გავიდა ბარე 50 წელიწადი და მაჭახელი არც თათარი იყო და არც ოსმალს იცნობდა, იგინი ხარჯს არავის აძლევდნენ, იყვნენ კაი თოფების და ხმალ-ხანჯლის მკეთებელნი და ამიტომ ერთთავად ომი და სისხლის ღვრა უყვარდათ; ესენი აჭარლების სიტყვით გამაჰმადიანდნენ, თორემ ოსმალები ამათ ვერაფერს დააკლებდნენო. მაჭახლის სრულიად გამაჰმადიანება უნდა მომხდარიყოს 1790—1805 წლებამდის. ხალითვაშვილი ამბობდა, რომ მე გამიგია სხვებისაგან, შავშეთი და იმერხევიც ნებით არის გამაჰმადიანებული და ისინიც თავისს ნებითვე გაქრისტიანდებიან; შავშელნი ისეთი ხალხია, რომ ისინი ყველაზედ ადრე გაქართველდებიანო.

## მურღულის გამაჰმადიანება.

(ნაამბობი სხვა და სხვა მოხუცებულ ქართველ მაჰმადიანებთაგან)

მურღულში რომ შესვლა დაიწყეს ოსმალთა, მურღულელებმა იგინი არ შეუშვეს. შეკრეს მურღულის შესავალი კარი და ოსმალთ შეუთვალეს:

— მურღულს უბრალოდ ეჩხუბებით, მის აღებას ვერ მოახერხებთ. გინდ რომ აიღოთ, ხალხი მაინც არ ჩაგბარდებათ.

— ჩვენ ავიღებთ და ჩავიბარებთ კიდეც. მიუგეს ოსმალთა.

— ეს ქვეყანა თამარ დედოფლის არის, ამას ვერა სახელმწიფო ვერ აიღებს, ჩვენ არავის მივსცემთ ამის აღების ნებას! მიუგეს მურღულელებმა.

— ეგ ჩვენ ვიცით, როგორც ავიღებთ, თქვენ რაც გერჩიოთ ის ჰქენით, აწი თამარ დედოფალი წამოგეშველოსთ.

— კარგი, აწი დაიწყეთ ომი, და ვნახავთ, ვინ ვის აჯობებს,

ოსმალთ გადასწყვიტეს ომი, მაგრამ ვიდრე ომს დაიწყებდნენ, მათ განიძრახეს მურღულის მოწინავე კაცების შესყიდვა. დაიბარეს ეს კაცები და თავიანთი წადილი განუცხადეს; მაგრამ მურღულელებმა უარი უთხრეს.

— ჩვენ როგორ შევიძლებთ თქვენის თხოვნის ასრულებას?

— რატომ, მიზეზი რა არის? ჰკითხეს ოსმალთა.

— მიზეზი ის გახლავსთ, რომ ჩვენ ვიღწვით თქვენს წინაადმდეგ, ხალხს ჩვენ ვაბრძოლებთ და აბა ჩვენ რომ მათ ვუღალატოთ, ეს როგორ იქმნება. მიუგეს ქართველთა.

— ბეგრობას და ალაობას მოგცემთ, აილუღს, ფულს, ოღონდ ჩვენი სიტყვა შეასრულეთ.

— ვერ ვიზამთ მაგას, ვერ შევასრულებთ. მიუგიეს ქართველთა.

— მაშ დაგაპატიმრებთ.

— დაგვაპატიმრეთ, როგორც გნებოსთ. უთხრეს ქართველთა.

— დაგხოცავთ და საქმე უფრო ცუდათ წაგივათ. მიუგეს ოსმალთა.

— დაგვხოცეთ, მაგრამ რისთვის და რაზე: ჩვენ თუ დაგვხოცავთ, ჩვენს გარდა მურღულში სხვებიც არიან ჩვენზედ უკეთესნი. ისინი გაუწევენ წინამძღვრობას. როგორც გერჩიოსთ, ისე ჰქენით.

ოსმალთ დააპატიმრეს ეს კაცები და დაუწყეს ტანჯვა-წამება, მაგრამ მაინც ვერ დაიყოლიეს. ბოლოს ესენი დაახრჩეს ბაწრით. ამათი ამბები მურღულში მივიდა. ოსმალებს ეგონათ, რომ ეს კაცები რომ დავხოცოთ, მათ შემდეგ მურღულელები თავს დაგვიკრავენ და დაგვმორჩილდებიანო. ეს კაცები ამაგრებენ მათაო. ის კი არა და ამ კაცების დახოცვის მეოხებით მურღულელები უფრო გაგულისდნენ, — გაცხარდნენ და ოსმალთ სასტიკი უარი შეუთვალეს. ოსმალთ მალე დაიწყეს მათთან ომი, ომი დიდ ხანს გაგრძელდა, მაგრამ ოსმალთა ვერაფერი გააწყეს; მურღულელებმა ოსმალთა ჯარის უმეტესი ნაწილი გაწყვიტეს, სულ უკან იფრინეს. ასეთი დამარცხება ჯარისა მურღულელებისაგან ხშირად მომხდარა ხოლმე. ოსმალებს გაუძნელეს მურღულის აღება. მურღულის ხალხის გმირობას ის უფრო ამხნევებდა და ინახავდა, რადგანაც მურღულში ბატონად ერთი ქართველი მღვდელ-მთავარი იჯდა, რომელიც მართავდა და განაგებდა მურღულის ქართველთა საქმეებს

ბევრის სისხლის დვრის შემდეგ ოსმალთა სძლიეს მურღულელებს. მთლად აიღეს, მაგრამ დიდის შიშით და ძრწოლით. ოსმალთ უთხრეს:

— თქვენ ოღონდ ჩვენს ხმალს მოენდეთ და სხვაფრივ თქვენ ჩვენი ფიქრი ნუ გაქვსთ, ჩვენ თქვენ არაფრით შეგაწუხებთ. სხვა ხეობის ქართველებსავით სჯულს არ გამოგაცვლევინებთ. თქვენ ოღონდ ხარჯი გვაძლიეთ.

მურღულელნი დაემორჩილენ მათს სიტყვას და დაიწყეს ცხოვრება. ოსმალთა იწყეს ფეხის გამაგრება. ნელ-ნელა შეისყიდეს აქაიქ მოწინავე კაცები და უკანასკნელ მურღულის ქართველებს გამოუცხადეს შემდეგი:

— მურღული ოსმალისა არის, თქვენ ქართველებიც ოსმალისა ხართ, ამიტომ ჩვენ ვითხოვთ, რომ თქვენ ჩვენი წმინდა სჯული მიიღოთ და გათათრდეთ.

— ოჰ! ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ, ეგ არ შეგვიძლიან. მიუგეს ქართველთა.

— ომი მოხდება, დაიღუპებით, საქმე წაგიხდებათ.

— როგორც გერჩიოსთ, დაიწყეთ ომი, ვნახოთ, როგორ იქმნება ბრძოლის საქმე!

ოსმალთა მალე დაიწყეს ომი, პირველ ხანებში იძლივნენ, მაგრამ მალე ტრაპიზონის და არზრუმის ჯარები მოვიდნენ და ასეთის შეერთებულის ძალით მურღულს დაუწყეს ომი. მურღულის ერი მოსდრიკეს. მონების ბორკილი დაადვეს კისერზედ. დამონების უმალვე გათათრება უთხრეს, მაგრამ ამაზედ უარი მიიღეს. ოსმალთა მალე მღვდლების გარეკვა დაიწყეს, მოკლე დროის განმავლობაში მურღულში ერთი მღვდელიც არ დარჩა, თვით მღვდელ-მთავარიც გამოაგდეს. საჩქაროდ ეკკლესიების ნგრევა-დაგცევაც დაიწყეს. ისე უწყალოდ და შეუბრალებლად მათ არსად დაუქცევიათ ქართველთა სისხლი და ეკკლესიები, როგორც მურღულში. მურღულის ქართველობამ თითქმის ასახელა თავისი არსებობა; ოსმალნი გააკვირვეს ამათ თავიანთის გმირობითა და ბრძოლით; ესენი ოსმალებს სჯულის გულისთვის დაუცხრომლად 1790 წლებამდის ებრძოდნენ. ამ ხანამდე აქ ბევრს სოფელში ქართველნი ქრისტიანობდნენ; ქრისტიანობისთვის ესენი არც ოსმალებს უშინდებოდნენ. როგორც შეეძლოთ, ისე ბრძოდნენ და იღვწოდნენ, მაგრამ ესენიც მობეზრდნენ

ბრძოლას და უკანასკნელ მთლად მურღულის ქართველნიც გამაჰმადიანდნენ.

ოსმალნი დაწყნარდენ და მურღულის ქართველებს მიუყენეს ჭანელ მოლა-ხოჯები. მურღულელთ მალე დაისწავლეს მუსულმანური ლოცვები და ლოცვის წესები. ესენი მალე ისე დახელოვნდნენ, რომ ამათგან ზოგიერთმა ყმაწვილებმა სასულიერო წოდებაში შესვლაც ისურვეს და ამისთვის მზადებას. მურღულელ ქართველთაგან მალე მოლა-ხოჯებიც გამოვიდნენ. ამათ იწყეს ხალხის მზადება და მაჰმადიანობის გავრცელება, მტკიცე ნიადაგზე დამყარება. ამათ ოსმალთ დაუნიშნეს საკუთარი მუდერისი, ამას ჰქონდა თავის „მეჯლიში“ და ეს განაგებდა მურღულის ერის საქმეებს. მუდერისი სხვა მხრის მცხოვრებ მაჰმადიან ქართველებს არ ჰყავდათ. მურღულელებს ოსმალებმა ასეთი უპირატესობა უფრო შიშის გამო მიანიჭეს, რადგანაც მურღულელების ეჭვი ჰქონდათ, ქრისტიანობას სწამობდნენ, ეკკლესიების პატივის-ცემას და სხვანი, მაგრამ მათ ვერც ხოჯებით და ვერც მუდერისით ვერაფერი გააწყეს. ყოველივე ამაოდ დაუშთათ. მურღულელების ზოგი თუ გათათრეს, ზოგი სულ ვერ გატეხეს.

1840 წ. ოსმალთა დიდის მეცადინეობით შეიტყეს, რომ მურღულში თურმე გათათრებული ქართველები ჩუმად ქრისტიანობდნენ, და ეს ჩუმი ქართველი ქრისტიანები მთელს მურღულის ხეობის ქართველებსაც ამაგრებდნენ სჯულზე, ამათ მიმხრობილი ჰყვანდათ თვით მოლა და ხოჯები. ქრისტიანების რიცხვი აღმოსჩნდა სოფელს გეგლეში, თხილაზორში, ძანცულას, თასმალოს და რამდენიმეც სხვა სოფლებში. საქმის გამოძიების შემდეგ აღმოსჩნდა, რომ ხსენებულ სოფლის ქართველთ სჯულის გულისათვის ასი წელიწადი ოსმალთ წინააღმდეგ უბრძოლიათ და ასი წელიწადიც ამათ ქრისტიანობა ჩუმად შეუნახავთ.

ერთს დროს ესენი მუსულმანებიც ყოფილან და საიდუმლო ქრისტიანებიც. მუსულმანობას დღისით ასრულებდნენ, მუსულმანობა ისე ოსტატურად ეკავათ, რის გამოც კაცი მათ ვერაფერს ეჭვს აართმევდა, ბაირამს, რამაზანს და ასეთს დიდს დღესასწაულებს და მარხვებსაც დღისით ამბებით იხდიდნენ, სუნებსაც სიამოვნებით

იხმობდნენ თავიანთს სახლებში, ერთის სიტყვით კაცს ეს ხალხი ნამდვილ მუსლიმანები ეგონებოდა, ვერაფერს ეჭვს შეიტანდა მათზედ

ქრისტიანობას ესენი ასრულებდნენ ღამე: მათ ერთი ოთახი ჰქონდათ ამორჩეული, ეს ოთახი ერთი მოსახლის ქვეშ იყო გაკეთებული, სარდაფივით, დანიშნულს დროს, ამ ოთახში გროვდებოდნენ და აქ ლოცულობდნენ ქრისტიანულად. ამათ ჰყავდათ მღვდელი; ეს მღვდელი ტრაპიზონში იყო ნაკურთხი, ბერძნის ეპისკოპოზისაგან. ეს მღვდელი დღისით ნამდვილი მუსლიმანი იყო და ღამე ქრისტიანი, ერის კაცის ტანთ-საცმლით იარებოდა ხალხში სალოცავს ოთახში კი იგი ფილონით შეიმოსებოდა. მღვდელს ჰყვანდა ვაჟი-შვილი, და ეს ამზადებდა მას, რომ მამის შემდეგ მღვდლათ შვილი უნდა კურთხეულიყოს. ამათ გვარის წევრთ ასე მოუხერხებიათ ხოლმე ყოველთვის და ესენი ყოფილან მღვდლებად.

მღვდელი საეკკლესიო ნივთებსაც ინახავდა, ბარძიმ, ფეშხუმს; სამთლებსაც აკეთებდნენ, სამთლებს შიშის გამო ცოტას ანთებდნენ, საკმელს კი ხშირად აკმევდნენ; სხვა რამ საეკკლესიო ნივთებიც ჰქონიათ, ნამეტურ ძველი ხატები, მაგრამ ყველა ესენი მათ სწყობიათ სალოცავ ოთახის ერთს ღოლაბში. რომლის კარებიც კედელში ისე ოსტატურად ყოფილა ჩატანებული, რომ ხამი, უცხო კაცი იმას ვერ გაარჩევდა, ვერას შეატყობდა. საიდუმლო ქრისტიან-ქართველები საიდუმლო ლოცვას გარდა მცირედ კარშიაც ქრისტიანობდნენ. მაგალითებრ, შობა ღამეს ამათ იცოდნენ „ალილოს“ თქმა: პატარა ბიჭები ერთად შეიკრიბებოდნენ და აქა-იქ ქართველებთან „ალილოს“ ძახილით წავიდოდნენ; ოსმალოს მოლა ხოჯები კი ასე ჰფიქრობდნენ, რომ ვითომც ბავშვები მღერიანო. ქართველნი ყველა ქრისტიანთ დღესასწაულებსაც იგონებდნენ ხოლმე და ნამეტურ უქმობდნენ შობას, აღდგომას, წყალ-კურთხევას, ახალ წელიწადს და ელიობას, ქრისტიანულ მარხვასაც ინახავდნენ. საიდუმლო ქრისტიან ქართველებს ერთი ჭანელი ხოჯა და ერთი მოლა გადაეკიდა: ესენი დიდის ოსტატობით ადევნებდნენ მათ თვალ-ყურს და უკანასკნელ დარწმუნდნენ ქართველთა ქრისტიანობაზე, ამიტომ მათ საჩქაროდ

დაბეზღეს ქართველნი. ოსმალოს სასულიერო მთავრობამ მალე კაცები გამოგზავნა; გამოძიება მოახდინეს, და რამდენიმე ბავშვი გატეხეს, რომ იგინი ქრისტიანობდნენ. პატარები რომ არ გამოეტეხათ, დიდრონებთაგან კი ვერას შეიტყობდენ. საქმე გამოაშკარავდა. ქრისტიანებთაგან საქმის დამალვა აღარ იქნებოდა. ამათ მიმართეს ასე:

— ბატონებო, თქვენ რა გეპრიანებათ ჩვენის რჯულისაგან, ჩვენ ხომ მუსლიმანებიცა ვართ.

— არ შეიძლება, თუ მუსლიმანი ხართ, მუსლიმანი უნდა იყოთ და არა გიაური—ქართველი, გიაური და მუსლიმანი ერთად არ შეიძლება რომ იქმნეს.

— ჩვენ გიაურები არ ვართ, ჩვენ გურჯები ვართ, მიუგეს ქართველთა.

— თქვენ სუყველას დაგხოცავთ, არც ერთს აღარ დაგტოვებთ. მიუგეს ოსმალთა.

— ნება თქვენი აღსრულდეს, ხოლო ჩვენ რაც ვართ ის ვიქნებით და იმითივე გავსწყდებით.

საქმის გამოძიების და გარკვევის შემდეგ საიდუმლო ქრისტიანე ქართველები სიკვდილით იქმნენ განკითხულნი. დანიშნულს დღეს გაიყვანეს ისინი და ზოგი სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეს და დაახრჩეს, ზოგს თავი მოჰკვეთეს და ზოგი დაჩეხეს; მაგრამ არც ერთმა მათგანმა ამ დროს წარბიც არ შეიხარა. ქართველთა დახოცვის შემდეგ ოსმალთა მოსძებნეს სამლოცველო ოთახიც, იქ იპოვეს ყველა საეკკლესიო ნივთები და წიგნები; წიგნებს ცეცხლი მისცეს და დასწვეს, ოქრო ვერცხლის ხატები თვით წაიღეს და დაჰყიდეს, სხვა და სხვა ნივთები კი თათრებს დაურიგეს, სამლოცველო ოთახიც მთლად დააქციეს.

ოსმალებმა ესენი ასე უწყალოდ მიტომ დასაჯესო, რადგანაც სხვა ქართველების ეჭვიც ჰქონდათო, რომ სხვებიც თუ არიან აქ ვინმე ჩუმი ქართველ-ქრისტიანები, იმათ ნახონ ამათი ყოფა, წყვეტა და თავი გაანებონ გიაურობასო. ზემოხსენებულ ქრისტიან ქართველთ გარდა სხვებიც ყოფილან ჩუმი ქრისტიანები, რომლებიც აქა იქ სხვა-და-სხვა სოფლებში სახლობდნენ და ჩუმად ქრისტიანობ-

დნენ. ამათ რა ნახეს თავიანთ მოძმეების დიდი ტანჯვა-წამება, შემდეგ თვითონაც განშორდნენ ქრისტიანებს და სრულიად მუსლიმანობა იწყეს, — მეტი გზა აღარ ჰქონდათ, რას იზავდნენ! ასე და ამ გვარად მოსპეს ოსმალებმა მურღულში ქრისტიანობა, ამის მოსპობის შემდეგაც მურღულელი ქართველნი ქრისტიანულს წესებს არ სტოვებდნენ თურმე და, როგორც ერთმა ბერძენმა (ლაზარევმა) მარწმუნა, „ალილოს“ თქმა მურღულში გათათრებულ ქართველთა შვილებს 1870 წლებამდის სცოდნიათ. შობა ღამეს თურმე ესენი ამ ლოცვით დაივლიდნენ და მიულოცავდნენ იმ ქართველთა ოჯახებს, სადაც ასეთი მილოცვა მოსწონდათ. ჩვეულებად შერჩათ კიდევ სადვთოს დაკვლა და წითელი კვერცხების შეღებვა. მაგრამ ოსმალთა მძლავრობის მეოხებით არც ეს იქმნა დიდხანს დაშთენილი: მათში უკანასკნელ ომის წინად ყველა ესენი სასტიკის ბრძანებით იქმნა მათში აღკრძალული და მოსპობილი.

დღეს, მურღულში, ქრისტიანობის აღარაფერი ნიშნებია დაშთენილი; მურღულელნი ნამდვილი ფანატიკოსები არიან, მოძულენი ქართველთა და ყველა ქრისტიანების. უკანასკნელს ომის დროს ყველაზე დიდის ფანატიზმით ესენი აღმოჩნდნენ. მთელი მურღული ოსმალში წავიდა.

უწყიან, რომ მურღულელების მსგავსადვე იბრძოდნენ ქრისტიანობის დასაფარავად პარხალის ხეობის ქართველთ მაჰმადიანთა ზოგიერთი სოფლელებით. ამ საუკუნის 1860 წლებამდის პარხალის ერთს სოფელში ქართველ მაჰმადიანებს ქრისტიანობაც ეკავათ და საიდუმლოდ ქართველობდნენო, მღვდლად მათ მღებრაძე ჰყვანდათო. მაგრამ ამათაც შეუტყეს ოსმალებმა და დასჯა დაუპირესო. პარხლელებმა თავი გაიმართლეს, სიკვდილს გადარჩნენ, მხოლოდ ქრისტიანობას კი სამუდამოდ გამოეშვიდობნენ. ამ ცნობას დ. ბაქრაძე და გ. ყაზბეგიც მოიხსენებენ. 1873 წ. დ. ბაქრაძეს, ლივანაში მგზავრობის დროს, შეხვედრიან ისეთი მოხუცებული მაჰმადიანები, რომელთაც უამბნიათ, რომ პარხალში და მურღულში 1833 წლებამდე, იყვნენ ისეთი ქართველი მაჰმადიანები, რომელნიც საიდუმლოდ ქრისტიანობდნენო.

## ქედის მუფთის ხალიფაშვილის ნაამბობი.

როგორც შემიტყვია ჩვენის ძველებისაგან, ოსმალნი იმ კუთხეების ქართველთ უფრო მალე ათათრებდნენ და ქართულ ენას ავიწყებდნენ, სადაც ქალაქი ადგილები იყო და იქ ფაშები ისხდნენ. სწორედ ამის მიზეზია, რომ არდაჰანისკენ, ახალციხის, არდანუჯის და ართვინისკენ ქართველნი ადრევე გაათათრეს სისხლის ღვრით და ქართული ენაც დაავიწყეს. სადაც ფაშები არ იყვნენ და კაი მაკანები, იქით თათრობაც გვიან შევიდა და ქართული ენაც მიტომ დარჩა. ოსმალთ ძრიელ სძულთ ქართული ენა, ადრე მე, ჯამეში ქართულად ვქადაგებდი. წარმოიდგინეთ, რომ ამაზედ თათრის მოლა, ხოჯები გადამემტერნენ, სტამბოლში დამაბეზღეს, ამაზედ პასუხი მომთხოვეს და მეც დროით ავხსენ საქმის გარემოება: ქართველთ მძულვარება მოლებს და ხოჯებს ედებათ კისერზედ ცოდვათ.

---

## შავშეთის და იმერხევის გამაჰმადიანება

(ნაამბობი ბერიკაცებისაგან შავშეთშივე).

ჩვენს ბერს კაცებს მოვესწარ და ისინი ამბობდნენ, რომ თორთომ ხეობის გამაჰმადიანების შემდეგ ტაო გამაჰმადიანდა და ამის შემდეგ ზარუშეთიო; ზარუშეთის შემდეგ შავშეთი და შავშეთის შემდეგ იმერხევი. ყველაზე გვიან აჭარა და მაჭახელი გამაჰმადიანებულა. ამათ ასი წელიწადი უბრძოლიათ სჯულისთვის, კინაღამ მთლად გაწყვეტილან. მერე ერთს ამათ ჭკუიანს კაცთაგანს უთქვამს:

— ჯანუმ, რაზე ვიხოცავთ თავებს და ბუდე აგად ვაწყდებით აქა-იქ? აგერ სხვები გამაჰმადიანდნენ და ჩვენც გავმაჰმადიანდეთო.

ჩვენ მოგვბაძეს მათ, ჩვენ შემდეგ მირატის ხევი გამაჰმადიანდა და მირატის ხევის შემდეგ აჭარელნი, მაგრამ ზოგი ხეობა ადრე, ზოგი გვიან. მე ვჰკითხე მას:

— ზარუშეთს, — თქვენ რომელ მხარეს უწოდებთ? — ჩვენს ქითაბში (წიგნში) ზარუშეთი არსად მოიხსენება, ჩვენში ერუშეთს იტყვიან. საით სძევს ზარუშეთი?

— შავშეთის გადაღმა, აღმოსავლეთით, არდაჰანის მხარეს, სადაც თვით არდაჰანი სძევს; აგერ, შეხედე არსიანის, შავშეთის და არდაჰანის ტიტვლიკანა მთებს, აი იმ მთებს იქით მდებარე ადგილებს ზარუშეთი ჰქვიან.

მე ვკითხე:

— კარგად, ეხლა მოვხვდი, რომ ჩვენს წიგნებში მოხსენებული ერუშეთი თქვენებური ზარუშეთი უნდა იყოს. ეს, მე მგონია, მას შემდეგ უნდა შეცვლილიყოს, რაც ეს ქვეყანა ოსმალთ დაიჭირეს.

— ალბად, ასე იქნება. ოსმალნი შავშეთსაც სხვა სახელს უწოდებენ.

რა სახელს, ვკითხე მე.

— ხან „ნისლათას“, ხან „ნისლიანს“. ჩვენს ძველებს ასე უთქვამთ მათთვის და მათაც ეს სახელი ჩაუწერიათ თავიანთ ქითაბებში (წიგნებში).

— ეს კარგი; აბა ეხლა ის მიამბეთ, თუ შავშეთისა და იმერხევის ხალხი როგორ გამაჰმადიანდა?

— აი როგორ გამაჰმადიანდა: პირველი ღმერთის ბრძანება იყო და მერე ჩვენი მუჰამედისა. ქრისტიანი რომ გამაჰმადიანდება, ის უეჭველად სამოთხეში წავა, იმას რაც უნდა ცოდვები ჰქონდეს, სიკვდილის შემდეგ ღმერთი აპატიებსო. ეს ამბები და ღვთის ბრძანება ჩვენ მალე ვერ შევიტყეთ. სანამ შევიტყობდით, მანამდის ოსმალებს ვეხვეწებოდით, რა ზარი გვქონდა, მაგრამ არა გვესმოდარა და უბრალოდ თავებს ვიხოცავდით. ასე, ჩვენ როცა ეს ამბები შევიტყეთ, მაშინ ჩვენ ჩვენი ნებით გავმაჰმადიანდით, ვისაც არ უნდოდა გამაჰმადიანება, ისინი თქვენსკენ გამოიქცნენ. ვინც აქ დარჩა, ყველამ თაყვანი სცა მაჰმადიანობას.

— პირველად ვინც გამაჰმადიანდა თქვენში, ის რომ წმინდა, კარგი კაცი იყო?

— ოო, რასაკვირველია, რა ფიქრი უნდა, დიდი სუფთა კაცი ყოფილა.

— ვინ იყო ის კეთილი და წმინდა კაი კაცი?

— აგერ, შეხედე, აი იმ მთას, იმ მთის ხეობაზე სძევს სოფ-

მიქელეთი; იმ სოფ. მიქელეთში ძველად ერთი ზენგინი (მდიდარი) კაცი სცხოვრებდა. ერუშეთი რომ გამაჰმადიანდა, მაშინ ეს კაციც გამაჰმადიანდა, სხვა ამის ნათესავები კი თქვენსკენ გამოიქცნენ, რადგანაც მათ გამაჰმადიანება არინდომეს.

— გვარად რას ეტყვიან იმ ძველს კაი კაცს?

— იმ მემელექეთის სახელს, მიქელეთს, მიქელ ოღლის, მიქელაძეს, ესენი ზათ სულ აქაურები ყოფილან. ამიტომ ჰქვიან ამ სოფელს და ხეობას მიქელეთი. მიქელაძეები დიდი გვარის ფაშებიც ყოფილან გურჯისტანის დროს.

— მერე, რა ჰქმნა იმ მიქელეთელმა დიდმა კაცმა? ვკითხე მე.

— იმან ის ჰქნა, რომ გამაჰმადიანების შემდეგ ის დანიშნეს არდაჰანის უფროსად და ბეგობა მისცეს. რადგანაც ის ძალიან ცდილობდა ხალხის გამაჰმადიანებას. იმ დროს ერთი ჩვენი ძველებთაგანი არდაჰანში ჩასულა და მიქელაძეს გამოსცხადებია. მიქელაძეს უცვნია, კარგად მიუღია და ამისთვის უთქვამს: ბიჭო, რაზედ იხოცავთ თავებსაო, მაჰმადიანობა წმინდა სჯული ყოფილა; ქრისტიანი რომ გამაჰმადიანდება, ის პირდაპირ სამოთხეში წავაო. რაზე იჭირვებთ ძმანო, საქმეს, გამაჰმადიანდით და მოისვენეთ დავიდარაბისაგანაო.

ჩვენს ძველს სიტყვა მიუცია. მიქელოღლის ამისთვის ერთი კარგი ცხენი უჩუქებია და ეს ისე გამოუსტუმრებია იმერხევში. ჩვენი ძველები აზნაურები ყოფილან, მთელი ხეობა მათ სჭერიათ, სოფ. წყალსიმერში მდგარან. ამათ შეუყრიათ იმერხევის ბეგიები და აღები: თურმანიძე, სადიკაძე, დომინაძე და მრავალიც სხვანი და უთქვამს მათთვის მაჰმადიანური სჯულის სიწმინდავე, სამოთხეში წასვლა, ცოდვების პატიება და არდაჰანის ბეგისაგან დაპირებული წყალობის მიღება. ესენი წასულან მალე არდაჰანში, უნახავთ მიქელაძე, იმას კარგად მიუღია, ყველაფერი სჯულის საქმეები შეუტყობინებია, თან ფადიშახის მოწყალებას დაჰპირებია და ბოლოს გამოუსტუმრებია ესენი ჩვენსკენ. ესენი მოსულან შინ, მალე ამ ხეობის სოფლის ხალხი შეუყრიათ ერთად და თავიანთი სურვილი

განუცხადებიათ. ხალხს მათი აზრი კარგად მიუღია, ამათ გახარებიათ კიდეც და უთქვამთ:

— დიდის სიხარულით ვიწამებთ მუჰამედს და ნამდვილი მაჰმადიანები გავხდებით.

აქ მალე მოუყვანიათ ხოჯა-მოლები და ხალხს თავის ნებით დაუწყია გამაჰმადიანება. რამდენიმე ხნის შემდეგ შავშეთისა და იმერხევის ხალხი მთლად გამაჰმადიანებულა. ამ დროს სოფ. წყალსიმერს, შუა სოფელში ეკკლესია ყოფილა, ეს ეკკლესია დაუქცევიათ და ეკკლესიის მასალით იმავე ადგილას დღევანდელი ჯამე დაუდგამთ. ამ ადგილას ახლა ახალი ჯამე სდგას. ასევე კიდევ ამ სხვა სოფლებში გააკეთეს, ეკკლესიები დააქციეს და ეკკლესიის მასალით იმავე ადგილას ჯამეები დააკეთეს.

— რატომ ტბეთის ეკკლესია კი არ დააქციეს? ვკითხე მე.

— ტბეთის ეკკლესია იმიტომ არ დააქციეს, რადგანაც შავშეთი და იმერხევი ერთობ ადვილად გამაჰმადიანდა. აჭარლებსავით და მესხლებსავით ამათ დიდი სისხლი არ დაუღვრიათ: როგორც უთხოვნიათ თუ არა, ესენი მაშინათვე გამაჰმადიანებულან ღმერთის ბრძანებით. ტბეთს რაღაზედ დააქცევდნენ, მაგაზე უკეთესს რას გააკეთებდნენ, რომ დაექციათ? იმავ თავითვე ეგ ჯამედ გადაუკეთებიათ. მიტომ დარჩა ეგ ქლესია აქამდის; თორემ ეს რომ ჯამედ არ ყოფილიყო გაკეთებული, იქნება აქამდის არც კი მოეღწია.

— შენის ფიქრით, ეს რამდენი თაობა უნდა იყოს მას შემდეგ გადასული, რაც აქ მაჰმადიანობა შემოვიდა? ვკითხე მე.

— მეექვსე თაობა, რადგანაც ჩემი მამის მამა იტყოდა, რომ ჩემი ბაბა, (მამა) ქრისტიანი ყოფილა და პატარა გაუმაჰმადიანებიათ. მას შემდეგ 300 წელიწადი უნდა იყოს გასული. მაჰმადიანები ასეთი კაცები არიან, რომ ტბეთი არ დააქციეს, ჯამედ გადააკეთეს და ხალხს მისცეს სალოცავად, და თქვენ კი ჩვენი ახალციხის ჯამე ქლესიად (ეკკლესიად) გადააკეთეთ, ზანგინები ჩამოჰკიდეთ და არახუნებთ.

სხვა ძველი კაცები ამ რიცხვს უარს ყოფენ და ამბობენ, რომ

ამ ადგილების გამაჰმადიანებიდგან 200 წელიწადზე მეტი არ უნდა იყოს გასულიო, ჩვენ ასე გაგვიგიაო.

ამის შესახებ საუბარი დავუწყე და ავუხსენი საქმის ვითარება და ისიც, რომ ძველად ეს ჯამე ქართველების სალოცავად იყო-მეთქი, მაგრამ მან არ დაიჯერა და ეს კი მითხრა.

— ჩვენ ქლესიებსაც პატივს ვსცემთ, რადგანაც ჩვენ გურჯები ვყოფილვართ, მხოლოდ გამჩენი ღმერთის ნებით ჩვენი ძველები გადაბრუნებულან. ამიტომ ჩვენ ჩვენი ძველების სალოცავები არ გვეჯავრება. ქლესიებს იმიტომ აქცევდნენ, რომ დანაქცევის მასალით ჯამეს აკეთებონენო. ტბეთს გარდა რამდენი კიდევ სხვა ეკლესიები არის დარჩენილი და ჯამეებათ გადაკეთებულიო. ხახულის ეკლესია, თორთომისკენ ართვინიდგან 5 დღის სავალზე, იშხანის და პარხალს, ესენი დღეს სულ ჯამეებათ არის დაკეთებული. ამათზე იტყვიან შემდეგს: „ხახულის ეკლესიის სიდიდე, იშხნის სიმრგვლე და პარხლის დაჯდომა და დასვენებაო“. ეს ეკლესიები თამარ მეფეს გაუკეთებია. ამის გაკეთებისთვის მას ფული დაკლებია. ამიტომ მას თავის ნაწნავი თმები მოუჭრია, ის გაუყიდნია და იმით ანადები ფულით შეუთავებია ხსენებული მონასტრები. ქვაბლიანი და ფოცხოვის ხალხიც მაშინ გამაჰმადიანებულან, ჩვენს ძველებთან ერთად. ზარზმაც იმიტომ არ დააქციეს. რაც დიდი ეკლესიები არის დარჩენილი, ყველა ჯამეებათ იყო გადაკეთებული. ეხლა კი ისევ გურჯებს უთმობენ ამ ქლესიებს. ტბეთში იმიტომ მოვშალეთ ჯამე და ცალკე დავდგით.

---

## შავშეთის გამაჰმადიანება და ტბეთის ტაძარი.

(ნაამბობი შავშელის მღვდელ იოანეს გორდაძის მიერ, ციხის თავს მამასახლისის მიერ, ლომსანაძის და სხვათა მაჰმადიანთა).

ტბეთის ეკლესია ამ მხარეში პირველი ეკლესია არის, ასეთ ეკლესიას კაცი ვერსად ნახავს, მე ბევრი ეკლესია მინახავს, ბევრად ამაზე დიდი, მაგრამ ასეთი კოხტა, ლამაზი ეკლესია კი არ-

სად მინახავს. ამბობენ, რომ ეს ეკკლესია თამარ დედოფალს გაუკეთებიაო. ჩვენში ძველი კაცებიც იტყოდნენ ხოლმე, რომ თამარ მეფეც შიგ ამ ეკკლესიაში მარხიაო. თამარ დედოფალს აქ შავშეთში უცხოვრია, ეს ადგილები და ხალხი ძრიელ ჰყვარებია. ამ სოფლის ადგილები და ტყეები სულ შავშეთის ხალხისათვის დაუმტკიცებია. იგი ძალიან კარგი ხელმწიფე ყოფილა. იმის სიკვდილის შემდეგ აქ ოსმალები მოსულან და ყველაფერი სოფლები და ადგილები აუღიათ. ხალხი თავის ნებით ჩაბარებია. ჩხუბი არ უქნიათ. მერე მაჰმადიანობაც შემოსულა. ჩვენება მალე გამაჰმადიანებულან. ამათ ოსმალოსთვის უთხოვნიათ ასე:

— ჩვენ გავმაჰმადიანდებით, თქვენს ბრძანებას შევასრულებთ, მხოლოდ თქვენთან ერთი სათხოვარი საქმე გვაქვს; თუ ამას შეგვისრულებთ, მაშინ უფრო ერთგულნი ვიქნებით თქვენიო.

— ბრძანეთ, სთქვით, უთხრეს ოსმალთა.

— ჩვენ ვითხოვთ, რომ ჩვენ გამაჰმადიანების შემდეგ ტბეთის ეკკლესია არ დააქციოთ, რადგანაც იმ ეკკლესიაში ჩვენი თამარ დედოფალი მარხია. იქ არის მისი მეზელუხი, თუ ის დაგვიქციეთ, ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ, მთლად გავწყდებით.

— ძრიელ კარგი, სალოცავ სახლის კედლებთან რა ხელი გვაქვს რომ დავაქციოთ? იყოს მაგრე. ჩვენ ხელს არ ვახლებთ. ჩვენ ისევ თქვენს სალოცავად გავაკეთებთ, ჯამეთ გადავაკეთებთ.

— ნუ, შენი ჭირიმე, ჩვენ სხვა სალოცავს გავაკეთებთ, ეგ მაგრე დარჩეს და დაკეტილი იყოს მისი კარები: გადაკეთებით იქნება ჩვენ ღმერთი გავარისხოთ. მიუგო ხალხმა.

ამათ ეგონათ, რომ ოსმალებმა ეს ადგილები დროებით აიღეს. ამათ აქედან მალე გავრეკავთ და მიტომ ეს ეკკლესია ჯამეთ რათ გადავაკეთოთო. ის კი არა და ოსმალებმა უფრო გაიმაგრეს ფეხი და შავშეთით სხვა ადგილების დაჭერაც დაიწყეს და ხალხსაც მაჰმადიანობა გამოუცხადეს საქმე სხვა რიგად წავიდა. ხალხს ჯამეს კეთება დააწყებინეს, ამათ ჯამეს კეთება გაუძნელდათ. ერთმა სთქვა:

— ბატონო, ჯამეს რაღაზე ვაკეთებთ, ჩვენი სალოცავი აქ არ არის, გავაღოთ მისი კარები და შიგ დავიწყოთ ლოცვა.

ხალხი თანახმა გახდა. მალე ოსმალთ გამოუცხადეს ეს ამბავი. ოსმალთ ნება მისცეს, მალე კარები გაალეს, შიგ შევიდნენ, მაჭმადიანებრ მოაწყეს და ლოცვა დაიწყეს. მინარად პატარა ეკკლესია გააკეთეს, სადაც ზანგინები და სხვა რამეები მიწაში დაუფლავთ. რაც ეს ეკკლესია ჯამეთ არის გაკეთებული, მას შემდეგ ორასი წელიწადი იქნება.

— ეკკლესიის ზოგიერთი კედლები რომ დაქცეულია ეს რისგან მომხდარა, ვის დაუქცევია, ან შიგ ვის წაუხდენია?

— ეგ არ ვიცი, ბატონო, იტყოდნენ ხოლმე, რომ ეს დაქცეულები წინადაც იყოვო, სანამ ჯამედ გადაკეთდებოდა. ძველ ჩხუბიანობის დროს შიგ აქაური ხალხი შედიოდა და თავს იმალავდა, გარედან მტერი მოადგებოდა და ზარბაზნებს ესროდაო და მისგან დაქცეულაო. შიგ კიდევ ეჯემებს წაუხდენიათ. ჩვენში იტყვიან, რომ ეს ქვეყანა ეჯემსაც (სპარსნი) ეჭირათ და იმათ წაახდინეს შიგაო. ჩვენ ვერ წავახდენდით მასაო. რადგანაც ძველებისაგან სიტყვა გვაქვს დარჩენილი, რომ ამ ეკკლესიას ხელი არ ახლოთ, ერთი ქვაც არ დააკლოთო.

ახლა ამ ეკკლესიას ზემოთ (გუმბათს) მეხი დაეცა, ჩვენ შევშინდით, ჯამე სხვაგან გავაკეთეთ 1500 მ. დაგვიჯდა. ამ ეკკლესიას ხელი არ ვახლეთ, ამის მინარა დავაქციეთ მხოლოდ და ქვები ვიხმარეთ იქ. ამბობენ, ეკკლესიაში რომ დიდი ქვა სძევს, მის ქვეშ მარხია თამარ მეფეო.

(სხვის ნაამბობი)

ეს ადგილები საქართველო ყოფილა, ჩემი მამაც ასე იტყოდა იმასაც ასე გაუგონია თავის მამისაგან და იმ მამასაც ასე გაუგონია თავის ძველებისაგან. ჩვენ სულ ქრისტიანები ვყოფილვართ, ჩვენი ხელმწიფე თამარ დედოფალი ყოფილა. ის რომ მომკვდარა, იმას შემდეგ ჩვენ მეფე აღარ გვყოლია, წავმხდარვართ. ჩვენს ბებიებს აქ ოსმალები მოუყვანიათ და ეს ადგილები ჩაუბარებიათ, ასე უთქვამთ:

— ჩვენ ჩვენი მეფე მოგვიკვდა, აღარა გვყავს და ამ ქვეყნის მეფე თქვენ ბრძანდებოდეთ, თქვენ გაბარებთ. იმათ უთქვამთ:

— ჩვენ ჩაგიბარებთ, მივიღებთ ყველაფერს, თუ კი ჩვენს სჯულს მიიღებთ და გათათრდებით.

მაშინ აქ ტბეთის ეკლესიაში ერთი დიდი ქეშიში მჯდარა და იმას უთქვამს:

— ჩაგბარდებით, მაგრამ არ გაგმაჰმადიანდებით. გამაჰმადიანება რას საჭიროა. ოსმალთ უთქვამთ:

— ჩვენ ძალათ აგიღებთ და გაგამაჰმადიანებთ, მაშინ უარს ვეღარ იტყვით.

ქეშიშმა უთხრა:

— როგორც გირჩიოთ, ისე ჰქენით, მე ხალხს ნებას არ მივხცემ, რომ გამაჰმადიანდნენ.

ხალხს ძრიელ შეეშინდა. ქეშიშთან მისულან და უთქვამსთ:

— ქეშიშო, ჩვენ ჩვენი მეფე არა გვყავს და რა ვჰქნათ მაშ? ჩვენ ოსმალებთან ჩხუბს ვერ გავბედავთ, თქვენ თუ არა გნებავთ იგინი, თქვენ წაბრძანდით სხვაგან.

ქეშიშმა გაიგონა ხალხის სიტყვა, მოჰკრიბა ეკლესიის ბარგი, თქვენსკენ წამოვიდა და ყველა ისინი აქ წამოიღო. ამას შემდეგ ხალხი ოსმალთ ჩაბარდა და მალე გამაჰმადიანებაც დაიწყეს. გამაჰმადიანებულებმა სალოცავად ეს ეკლესია გააკეთეს და აქნობამდის ჩვენ შიგ ვლოცულობდით. ზოგნი ძველი კაცები იტყოდნენ, რომ ამ ეკლესიის ხაზინა იმ დროს ეკლესიის შუა ალაგს მიწაში ჩაფლესო. მისი ზანგინებიც აქ დაუმარხავთ ძველათაო, გამაჰმადიანების შემდეგ, რაც რამ ყოფილა, სულ მიწაში ჩაუმარხავთო. ჩვენი ძველების სიტყვა გამართლდა და ახლა რავდენჯერმე თქვენებური კაცები იყვნენ აქა, ეკლესიის ადგილები დათხარეს, შიგ შეზღურები აღმოჩნდა, იქ რაღაცაები ნახეს, ამოალაგეს და თან წაიღესო.

— ქართული ენა როგორღა დაჰკარგეთ, თქვენ აქაურები არ უნდა იყოთ?

— აქაური გახლავართ, მე აქ დაბადებული გაზრდილი ვარ, არსიანის მთის იქით ფეხიც არ გამიდგამს, ისე დავბერდი.

— მოხდა ასე, რომ დავჰკარგეთ. როცა გაგმაჰმადიანით, მერე მაჰმადიანურათ დავიწყეთ სწავლება. ბერიკაცები ქართულად ლაპარაკობდნენ და პატარები კი ეჩვეოდნენ ოსმალურს სასამართლოებში ყოველთვის ოსმალურად გველაპარაკებოდნენ. მოლა ხოჯებიც ოსმალურად გვალოცებდნენ და, მაშ მეტი რა გზა გვქონდა, რომ არ დაგვესწავლა მაჰმადიანური!

— თქვენ რომ დაისწავლეთ მაჰმადიანური და ქართული დაივიწყეთ, რატომ თქვენ სოფლებს ახლო მდებარე სოფ. ახალ დაბამ, ჯვარემა და გარყილუფმა კი არ დაივიწყა? ეს როგორ მოხდა? ვკითხე მე.

— მაგაზე ასე იტყოდნენ, რომ ეგენი ერთობ გვიან გადაბრუნდნენ სჯულიდან, გვიან მიიღეს მაჰმადიანობაო. ოსმალნი მათ ძალით არ ამაჰმადიანებდნენ, და იგინი კიდევ არ მაჰმადიანდებოდნენ და გამაჰმადიანებულებთანაც მისვლა-მოსვლა არ ჰქონდათ; ერთმანერთში ჰქონდათ მეგობრობა, ნათესაობა, და ყოველთვის ქართულს იტყოდენო. იმერხევზედაც მაგრე გამიგონია და ასეც იტყოდნენ, რომ შავშეთის გამაჰმადიანების დროს, ნახევარზე მეტი ხალხი გაიქცა, არ გამაჰმადიანდაო; სოფლები განახევრდა, სახლები და მამულები ცარიელები იყოვო; ოსმალებმა აქ ქურთები და თურქები მოიყვანეს და დაასახლესო. ისინი აირივნენ ჩვენში და მერე იმათის ლაპარაკით და მეზობლობით ჩვენც ოსმალური ლაპარაკი შევისწავლეთ და ქართული დავკარგეთო. ქართულის დავიწყება პატარებიდგან დაწყებულაო, რადგანაც ჩვენი და ქურთის და თურქის უმაწვილები ყოველთვის ერთად იყვნენ ხოლმეო. იმერხევში კი ოსმალებს არავინ ჩაუყვანიათ და არც დაუსახლებიათ.

(სხვის ნაამბობი)

შავშელებმა ქართული ენა მატომ დაჰკარგეს, რადგანაც ამათზე წინეთ გოლამ (გოლა) დაკარგა, ზარუშეთმა (ერუშეთი) და სხვა ადგილებმა. ჩვენი ძველები იტყოდნენ, რომ ჩვენ ქართულს ვიტყოდით და ერუშეთი, გოლა, თორთომ-ოლთი კი მაჰმადიანურს

ლაპარაკობდნენო, იქ რომ ჩავიდოდით და რამეს ჩავიტანდით გასასყიდლად და ქართულს ვიტყოდით ჩვენ გაგვცინებდნენ და გვეტყოდნენო:

— ბიჭო, რაზე ვერ დაისწავლე მაჰმადიანური ენაო? თქვენ აჭარლები ხომ არა ხართო? რატომ რჩებით მაგრე ბეჩათო? ქართული მუსლიმან კაცს არ მოუხდება? რომ თათრული ვერ დაისწავლოს, მაშ ლოცვებს როგორ დაისწავლითო?

შავშელებს თათრული ენის სწავლება დაუწყვიათ და შეუსწავლიათ ნელ-ნელა. ესენი ხანდისხან ყარსს, არდაჰანს და ოლთს რომ მიდიოდნენ სავაჭროდ, იქ მაჰმადიანის და ქურთის ქალებს ირთავდნენ ცოლად, და მოჰყავდათ შინ იმ ჰაზრით, რომ ყმაწვილებმა მაჰმადიანური დაისწავლონო; თორემ ჩვენებური ქალები შვილებს ქართულად ელაპარაკებოდნენ და ამიტომ პატარანი მაჰმადიანურს ვეღარ სწავლობდნენო. ძველად შავშეთის სოფლებში არ ყოფილა არც ერთი ოჯახი, რომ იქ ორი თუ არა, ერთი მაჰმადიანის ან ქურთის ქალი მაინც არ ყოფილიყოს, ამიტომ გადაბრუნდა შავშეთის ხალხი ქართულის ენიდგანაო.

იმ დროს, აჭარ-მაჭახელი ქრისტიანები იყვნენ და ჩვენსა და იმათ შუა დიდი ჩხუბი იყო ხოლმე. ოსმალნი ჩვენ აჭარაში აღარ გვიშვებდნენ, რომ იქ აჭარა მაჭახლელებთან ქართულად არ გველაპარაკნა, რადგანაც იგინი ჩვენ გვემტერებოდნენ, მაჰმადიანურად არ ლაპარაკობდნენ, მტერობით გაცარცვაც დაგვიწყეს, მთლად ფირალად გახდნენ, შავშელ კაცს სადაც დაიჭერდნენ, იქ მაშინათვე გაჰქუცავდნენ, წაართმევდნენ ყველაფერს, ვინც ძალაზე დაუდგებოდა, იმას თავსაც მოსჭრიდნენ. აჭარლებზე უარესი მაჭახლელები იყვნენ. მათგან ყოველთვის შეწუხებაში ვიყავით, სადაც დაგვიჭერდნენ, გვცემდნენ, გვცარცვავდნენ, გვხოცავდნენ, ვინ იცის რაებს არ გვიშვრებოდნენ. მთლად აგვიკლეს, არ მოისვენეს, აღარც ჩვენ გვასვენებდნენ, — შავშელნო, რად გამაჰმადიანდითო! ამიტომ ყველაფერ ცუდს საქმეებს ჩადიოდნენ. იგინი აღარც მუშაობდნენ, არც სთესდნენ, არც ხნავდნენ, მარტო მარტოდ ფარალობდნენ და ჩვენის შრომით სცხოვრობდნენ.

ამათ ისე არიეს ქვეყანა, და ხალხი იმ ზომამდის შეაწუხეს, რომ უკანასკნელ ოსმალმა დაიჭირა იგინი. მაგრამ არც იმათ დაუმორჩილნენ. იმათაც დიდხანს ეჩხუბებოდნენ და არ მორჩილდებოდნენ. ბოლოს მათ გამაჰმადიანება დაუწყეს. არც ეს ჰქნეს ადვილად. ამისთვისაც ჩხუბობდნენ, უკანასკნელ ზოგნიც გამაჰმადიანდნენ და გამაჰმადიანების შემდეგ კი ცოტად დაგვიმეგობრდნენ, რადგანაც ჩვენის სჯულის იყვნენ. ბევრნი იტყოდნენ ხოლმე, რომ აჭარელნი ადრე შავშეთში რომ მოვიდოდნენ და ტბეთის ეკლესიას დაინახავდნენ, გარედ პირჯვარს დაიწერდნენ, ქრისტიანულად ილოცავდნენ და შიგ შესვლის შემდეგ კი მაჰმადიანურადაო. აჭარლებსაც დიდად უყვარდათ ტბეთის ეკლესია, და ამ ეკლესიის დაქცევა რომ ვისმეს გაებედნა, იმას აჭარელნი ცოცხალს აღარ გაუშვებდნენო.

შავშეთში, ამ 40 წლის წინად, ყველა მოხუცმა კაცმა და ქალმა იცოდა ქართული ლაპარაკი. ამის შემდეგ აქ ხმები მოჰფინეს, რომ გურჯიჯას ენაზე ლაპარაკს თავი გაანებეთ, თორემ დღეს თუ ხვალ რუსი მოვა აქ, ტბეთს აიღებს და მაშინ ვინც კი ქართულად იტყვის რასმეს, იმას უეჭველად გააქრისტიანებენო. შავშელთ დიდად ეშინოდათ ამისი და ამიტომ ყოველი შავშელი თავის შვილს მხოლოდ მაჰმადიანურს ლაპარაკს და წერა კითხვას ასწავლიდა. ასე და ამ რიგად შავშეთში ქართული ენის ძირიანად ამოვარდნის დრო 1840 წლიდან იწყება. შავშელთ მოამბეთა უკანასკნელ მე შემდეგი სიტყვა ვუთხარი: ქართული ენა ამოვარდა იმ კუთხეში, სადაც ძველად ესევე ენა ყვაოდა, ოსმალთა მეოხებით დაეცა დასავლეთ საქართველო, მაგრამ ღმერთმა არც იგინი დასტოვა, მღვთის მადლით იგინიც ეცემიან დღეს, საქართველოს ცოდვები არ რჩება მას, წყლნელა ეკითხება და უკანასკნელ მთლად პასუხის მიცემაშიაც დაიდევა. რას ემართლებოდნენ საწყალ ქართველებს რომ ძალით ათათრებდნენ, ყველა ნაშთებს უნგრევდნენ და სამშობლო ენას და მწიგნობრობასაც სისხლის ღვრით ავიწყებდნენ.

## დევესქელის ხეობის გამაჰმადიანება.

(ნაამბობი სოფ. პეტრულის მცხოვრებ ქართველ მაჰმადიან ეუბასაგან, და ამის მოხუც მამის და სხვათა მაჰმადიანთაგან).

დევესქელის ხეობა სძევს ლივანაში, იგი ლივანიდან აღმოსავლეთ-სამხრეთით მიემართება. შვენიერი ხეობა არის, მეტად ცუდი გზები კი აქვს, დევესქელის ხეობაზე ადრე ოცზე მეტი სოფელი ყოფილა, ეხლაც ამდენივეა: მაშინდელ დევესქელის სოფლის ხალხთა კარგ ეკკლესიად პეტრულის პატარა ეკკლესია ყოფილა, ამ ეკკლესიის გვერდით წელიწადში ერთხელ ხალხი შეიკრიბებოდა და ლოცვას და ლხინს გადიხდიდა. დევესქელის ხალხი ძალიან მხნე და ურჩალი ხალხი ყოფილა.

ოსმალებმა ლივანის გამაჰმადიანების შემდეგ მაჭახელას და დევესქელის ხეობის გამაჰმადიანებას მიადგნენ. მაჭახელმა ძლიერ იწინააღმდეგა, ბევრი სისხლი დაღვარეს, ამათვე მიჰბაძეს დევესქელის ხეობის ქართველთაც. ხალხი გაწყდა თითქმის, განახევრდა სოფლები, მაგრამ მაინც ვერა გააწყეს რა. ოსმალებსაც მობეზრდათ ჩხუბი და დროებით თავი დაანებეს. ხალხში მოიფინა ხმები, რომ ოსმალები ქართველებს აღარ ამაჰმადიანებენო. ყველანი ემადლიერებოდნენ მაჰმადიანებს.

მალე დევესქელის ხეობა ხელ-ახლა გაივსო ხალხითა. აქ ხალხი საქართველოდგან მოსულა, რადგანაც მათ შეუტყვიათ, რომ დევესქელის ხეობაში, სოფლებში ცარიელი სახლები ბევრგან არისო, გარდა ამისა საცხოვრებელი მიწებიც ბევრიაო. ამ ადგილებს ხალხი მით უფრო ეტანებოდა, რადგანაც აქეთ პურის მოსავალიც იცის, დევესქელი მალე გაივსო ხალხით, მოშენდა ისევ ძველებურად სოფლები და გამრავლდა ხალხი.

განვლო დრომ და ოსმალთა ხელ-ახლა დაიწყეს ბრძოლა და მეცადინეობა გამაჰმადიანების შესახებ. მალე დევესქელის ხეობასაც მოადგნენ. დევესქელის ხალხი შეიარაღდა, ხელ-ახლა ჩხუბი დაიწყეს, მაგრამ ძალი აღარ იყო. ოსმალთ დევესქელის ორივე მხრის ხეობათა გზები შეჰკრეს და სატიკის ბრძანებით გამაჰმადიანება გა-

მოაცხადეს. მეტი გზა აღარ იყო, ხალხი უნდა გამაჰმადიანებულიყო, თორემ ყველას ანიავება ელოდა. მალე სასტიკი ბრძანება გამოიცა და ხალხმაც იწყო გამაჰმადიანება, მთელი დევესქელის ხეობა გამაჰმადიანდა.

იმ დროს, აქა იქ თითო ოროლა მღვდლები იყვნენ და ხალხს ქრისტიანებრ ალოცებდნენ, მაგრამ ამანაც დიდხანს არ გასტანა. მღვდლებს ლოცვები აღეკრძალათ და გარეკილ იქმნენ სხვაგან. ვინც გამაჰმადიანება ისურვა, ისინი აქ დასტოვეს. პეტრულში დარჩენილა ერთი მოხუცი მღვდელი, რომელიც ჩუმად ალოცებდა ხალხს ქრისტიანულად. ეს მღვდელი მთელს დევესქელის ხეობის ეკლესიებს პატრონობდა და უვლიდა. ხალხი, რადგანაც ახლად გამაჰმადიანებული იყო, ამ მღვდელს საკმარისად პატივს სცემდა, ყველა ემორჩილებოდა მის სიტყვას. ხოჯებიც არ უშლიდნენ, რადგანაც იგი ბერიკაცია და დღეს თუ ხვალ მოკვდებაო. კიდეც მოხდა, მოხუცი მღვდელი მალე გარდაიცვალა. ამის შემდეგ დევესქელში მოისპო მთლად და სამუდამოდ მღვდლების რიცხვი.

თუმც მღვდლები აღარ იყვნენ, მაგრამ ხალხი მაინც ჩუმად ქრისტიანობდა და ლოცულობდა აქა-იქ ეკლესიებში, ნამეტურ პეტრულის ეკლესიაში. მოხუცი მღვდელიც პეტრულის ეკლესიაში მდგარა. სიკვდილის შემდეგ იქვე დაუმარხავთ ჩვენ ხოჯებს.—ხალხის ჩუმს ლოცვებს და ქრისტიანულს წესებს ჩვენმა ხოჯებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს და იგინი სასტიკად უკრძალავდნენ ქრისტიანებრ ლოცვას და აქა იქ ეკლესიებში სიარულს, მაგრამ მაინც ხალხში ვერ სპობდნენ ქრისტიანობის სიყვარულის ნიშნებს, რამდენიც ისინი წინააღმდეგნი იყვნენ, იმდენიც ჩვენები უფრო მაგრა და სასტიკად ასრულებდნენ ყველაფერს.

იმ დროში კი ძიკა და შიკ შესყიდვათ, ნამდვილი მაჰმადიანობის მქონი ქართველნიც მრავლდებოდნენ; ხოჯები მალე დარწმუნდნენ მასზედ, რომ ხალხს მალე ვერ დავავიწყებთ თავიანთ წეს-ჩვეულებასაო. მათ ითათბირეს და უკანასკნელ ეჩივლეს ბათუმში, რომ დევესქელის მუსლიმანები ჩუმად ქრისტიანობენ და რა უნდა ეშველოთ მათაო? ბრძანება მოვიდა: რომ რაც ძველი ეკლესიები აქვთ,

სულ დაუქციეთ და ხალხსაც სასტიკად აეკრძალოს ეკკლესიებისკენ სიარული და ქრისტიანებრ ლოცვაო.

ბრძანების შესასრულებლად მალე ჯარიც მოვიდა და ხალხს გამოეცხადა ბრძანება.

— მთავრობა გიცხადებსთ თქვენ, რომ დღეის შემდეგ ქრისტიანობის აღარ ილოცოთ რა, თორემ ყველას თავები დაგეჭრებათ.

— ჩვენ მაჰმადიანები ვართ, თათრის რჯული გვიჭირავს, ამას სუფთად ვასრულებთ და სხვაც რომ ვილოცოთ, ამასთან ვის რა საქმე აქვს? მიუგეს ქართველთა.

— ეგ არ შეიძლება, ბრძანება ასე არის! სთქვეს იქ მყოფ ხოჯა-მოლემა.

ასევე მიუგეს ჯარის კაცთა და მალე განაცხადეს ხოჯებმა შემდეგი:

— აბა, ვინც ნამდვილი მუსლიმანები ხართ, გამოდით და პეტრულის ეკკლესია დააქციეთ.

— ჩვენ თუმცა ნამდვილი მაჰმადიანები ვართ, მაგრამ პეტრულის ეკკლესიას ვერ დავაქცევთ, ეს არ შეიძლება, იგი ჩვენს ძველებს გაუკეთებიათ ჩვენთვის და ჩვენ რას ვემართლებით, რომ იგი დავაქციოთ.

— არ შეიძლება, უნდა დააქციოთ, გაისმა ხმა მოლა ხოჯებისა და ჯარისაც.

საქმე ძალაზე მივიდა, ხალხს ორგულობას სწამებდნენ: ალბად ნამდვილი მაჰმადიანები არა ხართ, რომ ამ ეკკლესიის დაქცევა არ გინდათო, სულ ამ ეკკლესიის ბრალია, რომ დევესქელის სოფლების ხალხი ჩუმად ქრისტიანობსო. ამის დაქცევა აუცილებლად უნდა მოხდესო. მოხუცებულ ქალებსა და კაცებს ძლიერ ეწყინათ თურმე, კინაღამ ტირილი დაიწყეს; მაგრამ რას გააწყობდნენ, საქმე ძალაზე მივიდა.

მაშინ ქართველ ახალ გამაჰმადიანებულებში რამდენიმე კაცი გამოსულა და ამათ უთქვამთ:

— ჩვენ დავაქცევთ, ჩვენი ფიქრი ხურაფრის გაქვსთ, ჩვენ ნამდვილი თათრები ვართ.

— კეთილი, სთქვეს ხოჯა-მოლებმა.

მალე მოზიდეს ბარი, ნიჩაბი, წერაქვი და სხვა იარაღები და შეუდგნენ ეკკლესიის დაქცევას. ერთი ხოჯა წინამძღვრობდა ამას. ერთმა გათათრებულმა წერაქვი აიღო, ავიდა ეკკლესიის თავზე და დაქცევა უნდა დაეწყო. ამან პირველად წერაქვი ჯვარს დაჰკრა, ჯვარი მოვარდა, მაგრამ თვით დამკვრელიც ვერ დარჩა იქა, ისიც უცბად გადმოვარდა ძირს, კინაღამ მოკვდა. ხალხმა იყვირა:

— ღმერთი არ ყაბულობს მის დაქცევასაო,

— ჩვენ დავაქცევთო, იყვირეს მოლა-ხოჯებმა და ახლა სხვა თათარი აგზავნეს მაღლა გუმბათის დასაქცევად; მაგრამ ვერც ამან მოახერხა, ამასაც იგივე დღე დაადგა, რაც პირველს. ერთიცა და მეორეც ავადმყოფი წაიყვანეს შინა და ლოგინში ჩააწვინეს. ერთს ამათგანს იმ დაქცევის დროს რაღაც საეკკლესიო ნივთები ეშოვნათ და შინ წაეღო. წამღები ავად გახდა თურმე და ძლიერაც შეწუხდა. ერთ ღამეს ასეთი სიზმარი ნახა მან:

— მე თქვენი ძველების ხელით ვარ გაკეთებული და გამშვენებული, ჩემში თქვენი ძველები ლოცულობდნენ და დღეს კი თქვენ მე მქუცავთ, და მაქცევთ. რას მემართლებით? რა დამიშავებია თქვენთვის? ჩემი ნივთი ჩემს გვერდით მაინც იყოს! ჩემი სიტყვა შეისმინე, თორემ ბოლოს ერთობ შეგანანებ. კარგად არ გახდები.

ავადმყოფმა სიზმარს ყურადღება მიაქცია, საჩქაროდ გაიქცა, ის ნივთი მაიტანა და ეკკლესიის გვერდით დასტოვა. ამის შემდეგ ის ავადმყოფი ძალიან მალე მორჩა, ხალხი გაოცდა ამაზე. ერთ კაცს კიდევ იქიდან რაღაც ქინძისთავი წაეღო, მეორე-მესამე დღეს ავად გამხდარიყო და შემდეგ გაგიჟდა კიდეც. მერე სიზმარი ენახა და პეტრულის ეკკლესიის ჩივილი შეეტყო, რომ ნუ მაქცევთ მაგრე და ნუ მქუცავთო. მან ის ქინძისთავი საჩქაროდ მიიტანა იქ და დასდო, რის მეოხებითაც იგი მალე მორჩა. ამაზე ხალხი ერთობ გაჰკვირდა.

უკანასკნელ ყველანი დარწმუნდნენ მასზე, რომ ამ ეკკლესიას ძალა ჰქონიაო, და ამიტომ მას ნუ დავაქცევთო, ხალხიც ამას ითხოვდა. მოლა ხოჯებიც დარწმუნდნენ ამაზე და მის დაქცევას თავი

დაანებეს. მერე აქ მომსვლელ მაჰმადიანებსაც არ უშლიდნენ ლოცვას, ხალხიც დიდხანს იარებოდა სალოცავად, მაგრამ უკანასკნელ ესეც დაივიწყეს, რადგანაც მაჰმადიანობა წმინდათ მტკიცდებოდა აქედ.

ჩვენ გავმაჰმადიანდით, დღეს ნამდვილი მაჰმადიანები ვართ, მაგრამ ამ ეკკლესიის ამბებს კი არ ვივიწყებთ და მას ერთ კენჭსაც არ მოვაცლით. ვინც რამეს წაიღებს მისგან, ჩვენში ნათქვამია, რომ იგი კაი დღეში არ ჩავარდებაო. სწორედ ამის მიზეზი გახლდათ, რომ 1890 წელს ჩვენმა თათრებმა ამ ეკკლესიას კარებიც გაუკეთეს და შეუბესო. ამ ეკკლესიაში აქაურებს ჩუმი ლოცვა 1830 წლებამდის ჰქონიათ. დევესქელში სრულიად ქრისტიანობის ნიშნების მოსპობის დრო სწორედ ამ წლებს მიეწერება.

(ნაამბობი აბდულ ეფენდი მიქელაძისაგან)

შავშეთი მიტომ გამაჰმადიანებულა, რადგანაც ამაზე წინად გოლა გამაჰმადიანებულა, ერუშეთი, თორთომი და თავსკერი (თაოსკარი); ამათ შემდეგ ჩვენ გავმაჰმადიანებულვართ, ახალციხე იმ დროს უკვე გამაჰმადიანებული ყოფილა. ფოცხოს და ქვაბლიანსაც ცოტათი წინად დაუწყეს გამაჰმადიანება; იქ ხალხი არ თათრდებოდა, ბევრნი აქეთ-იქით გაიქცნენ, სოფლებში ბევრი სახლები ცარიელი დაშთა. იქ ოსმალმა თათრები მირეკა და დაასახლა, ბოლოს იქაურნიც გამაჰმადიანდნენ, მოსულ ხალხში აირივნენ და თავიანთი ენა დაჰკარგეს. ჩვენ ცოტა ხნით მათ შემდეგ გავმაჰმადიანდით.

ბერიკაცებისაგან გამიგონია, რომ შავშელნი მეტად ლაჩარი ხალხიაო, რასაც ეტყვი, იმას დაგიჯერებენო. ოსმალის მათ ძლიერ ეშინოდათ. აგინი მალე გამაჰმადიანდნენ და ცდილობდნენ, რომ ყველაფრით ოსმალებს დამსგავსებოდნენო, ამიტომ ოსმალნი მათ არ ჰნებდნენ, ქართულიც მიტომ დაივიწყეს თურმე.

აჭარელნი კი ასეთი არ იყვნენ. ესენი ოსმალებს ასი წელიწადი ებრძოდნენ ქვეყნის დაჭერის დროს, მერე სჯულის გამოცვლის გამო ჰქონდათ ჩხუბი, ხოცვა, ჟლეტა-წყვეტა და სისხლის ღვრა.

ყოფილა ისეთი დრო, რომ ესენი ოსმალოს სისხლს დალევდნენ ომის დროს და ნამეტურ მაჭასლელნი. ამათ მოაბეზრეს ოსმალნი; იგინი ვერას აწყობდნენ. ამ საუკუნეშიაც აჭარლებმა ოსმალნი კინაღამ გარეკეს აქედან, ომი ასტეხეს და ოსმალოს ბევრი ჯარის კაცი მოუკლეს. ოსმალმა დიდის ტანჯვით და შრომით გაათაორა აჭარელნი, მაგრამ სრულიად მაინც ვერ მიიმხრო თვისკენ, ამათში ქართული ენა ვერ მოისპო, მცირედაც ვერაფერი ავნო.

ოსმალებმა აჭარლებს ბევრნაირად დაუწყეს პატივისცემა, სულთანს თავის მცველებად უფრო ხშირად აჭარლები ჰყავდა და მათში ზოგნი ფაშობამდისაც მიაღწევდნენ. აჭარელს რომ ესურვა ოსმალოს სამსახურში შესვლა და რამე ადგილის შოვნა, იგი მალე მიაღწევდა თავის წადილს, რადგანაც ოსმალთ აჭარლებისთანა ურჩალი ქვეშევრდომი იშვიათად ჰყავდა, და ამიტომ აჭარლებს სიამოვნებით აძლევდნენ უპირატესობას. ამ უპირატესობის მინიჭებით აჭარელი მიაღწევდა თავის მიზანს, იგი ხდებოდა სადმე მთელი მაზრის უფროსად, და ისიც შუაგულს და განაპირს ოსმალოს ხალხსა და ქალაქებში. ყველა ეს პატივსადები მხარეები ოსმალთაგან აჭარელთათვის იმ მიზნით იყო შემოღებული, რომ ამ ოსტატობით და აჭარლების დაუფასებით აჭარაში მაჰმადიანობა მტკიცე ნიადაგზე დამყარებულიყო, აჭარელი ოსმალოს ერთგული გამხდარიყო და როცა საჭირო იქნებოდა, მაშინ იგი დაუზოგავად გამოსულიყო ბრძოლის ველზე მტრის წინ საომრად. ოსმალთა მიაღწიეს თავიანთ წადილს, აჭარლებს ქართული ყველაფერი ამოაცალეს, სული, გული, გრძნობა და ხასიათიც კი, მხოლოდ ვერ ამოაცალეს ქართული ენა და ვგონებ ამის ამოცლას ისინი მალე ვერც მოახერხებენ, თუმცა 1850 წლების შემდეგ აქაც იწყეს მედგრად მოქმედება და მოღვაწეობა ქართული ენის წინაამდეგ.

ოსმალთა ხოჯა-მოლები და თვით ქართველ გვარის ხოჯებიც აჭარელთ ისე აზიზღებდნენ ქართველებს, რომ ქართველთ თვით სისხლის დალევასაც კი უქადაგებდნენ. მაინც მათ მიაღწიეს საწადელსა და აჭარლებს ისე შეაძულეს ქართველობა, რომ ერთმა მაჭ-

მაღიანმა ქათამაძემ აჭარ წყალზედ დაიკვეხა: რომ მაჭახელში, ერთი ქართველი მოკლეს ჩვენებმა, ის იყო მეც მივედი და ურჯულო ფეთქამდა, ხელი შეუშვირე, მისი სისხლი დავლიე და თან ასე უთქვამს:—„უჰ, ძლივს არ მედირსა ურჯულო ქართველის სისხლის დალევა“, ეს მე თვით მოვისმინე მისგან.

(ნაამბობი შავშეთის სოფელს გარყილუფში, შავმთას, ჯვარებს და ივეთს მცხოვრებ მოხუცებულებთაგან).

ქართველები გათათრების დროს მაგრად იდგნენ. ამათ ოსმალთ მორიდება არ ჰქონდათ. ოსმალოს შიშს ესენი არ ემორჩილებოდნენ. ერთი სოფლის ხალხი მეტად უარს იდგა გამაჰმადიანებაზე. დიდროვან თათრის კაცებს ასე უთხრეს:

— გინდ ყ ყელები დაგვჭერით, გინდ ჭოროხში ჩაგვყარეთ და გამაჰმადიანება კი არ გვინდა. ვერ გაგვმაჰმადიანდებით!

— ჩვენ გაგამაჰმადიანებთ, მაგის ფიქრი ნუ გაქვსთ, ბევრს თქვენისთანებს უთქვამთ, რომ არ გავთათრდებითო, მაგრამ ბოლოს გათათრებულან. მიუგეს ოსმალოს დიდმა კაცებმა.

— ჩვენგან ეგ არ იქნება, ნუ ელით მაგას! ჩვენ ჩვენის ძველებისაგან ფიცი გვაქვს მიღებული, რომ ჩვენ იმათ სჯულს არას დროს არ ვუღალატებთ. მიუგეს ქართველთა.

— მაშ ეგ არის თქვენი პასუხი, არ მაჰმადიანდებით რაღა? ბოლოს ინანებთ, ჩვენ ძალით გაგამაჰმადიანებთ და თქვენი უარი უბრალოდ დაშთება.

— ვნახავთ, მაგრამ გეტყვით იმას, რომ ასე იქნება თუ ისე ჩვენ მოლა-ხოჯა-მეჩითებს ვერ დავემორჩილებით. პირველ გამაჰმადიანების დროს ქართველნი საერთოდ მეჩითს უწოდებდნენ სუნნის სალოცავს, რასაც დღეს ჯამე ეწოდება. ოსმალნი ასე უწოდებენ „ჯამეს“.

ოსმალნი შეუდგნენ გათათრების საქმეს და მალე ამ ცხობილ სოფლის ხალხსაც დაუწყეს გამაჰმადიანება, ესენი დიდად გაგულისდნენ, გაჯავრდნენ. ჯავრთან ძალი არ შესწევდათ, თორემ ოსმა

ლებს კბილებით დაჰგლეჯდნენ. ამათაც მალე წაუხდათ საქმე. რომელი სოფელიც ამათ ამაგრებდა და დიდს მეგობრობას უწევდა, იმ სოფლის ქართველთა იწყეს გამაჰმადიანება. რამდენიმე ხნის განმავლობაში იგინი მთლად გამაჰმადიანდნენ და იწყეს მაჰმადიანურად ლოცვა. ბევრნი კი გამაჰმადიანების შემდეგაც ქრისტიანობდნენ ჩუმად.

— ბიჭო, რაიზა გამაჰმადიანდით, ქრისტიანობას როგორ სჯობია მაჰმადიანობა?

— ხოჯა-მოლებმა გვითხრეს, რომ ქრისტიანობა ლპებაო, მაჰმადიანობა კი მაგრდებაო, ჩვენ დავიჯერეთ ესა; ჩვენ ქრისტიანები ვართ და ძალი არ მოგვდევს! აბა თუ ჩვენი რჯული მართალია, აბა ქრისტემ გვიშველოს მაშ, რატომ არ გვიშველის? იგინი უსჯულოები არიან და ჩვენზე, სჯულიანებზე, უფრო ძლიერნი, მაჰმადი მათ შველის!

— აი, თქვე ოხრებო,, თქვენა, თქვენ მაჰმადიანობაზედაც ლაპარაკობთ? მიუგეს ქართველთა.

— მეტი რა ზორი გვაქვს, რომ ასეა საქმე? დღეს ჩვენ მაჰმადიანები ვართ და დღეში ხუთჯერ ვლოცულობთ. უსჯულოები ვართ და ასე სუფთად ვიქცევით და როცა ქრისტიანები ვიყავით, მაშინ კი ჩვენ დღეში ერთხელაც არ ვლოცულობდით.

— რატომ არ ლოცულობდით, ვინ გიშლიდათ, რას შვრებობოდით მაშა?

— რასს და ყურძენს ვკრეფდით, ღვინოს და არაყს ვწურავდით, და ვსვამდით და ვითვრებოდით, დამთვრალნი ერთმანეთს ვეჩხუბებოდით, ვსცემდით, ვაგინებდით და ყველა გონჯს საქმეს ვშვრებოდით. ლოცვისთვის ვიღას სცალოდა? მიუგეს გამაჰმადიანებულთა.

ამათ კინაღამ ჩხუბი მოუვიდათ, კარგად შელაპარაკდნენ, ერთმანეთს დიდად გაუწყრნენ, გაჯავრდნენ.

გამაჰმადიანებულებმა იწყეს ცხოვრება და მეცადინეობა. სადაც ქრისტიანად დამთენილნი იყვნენ, ამათ იგინიც აიყოლიეს და ლივანაში მაჰმადიანობამ იწყო მოფენა. ესენი ყველას არწმუნებდნენ, მაჰმადიანობა კარგი არის, ჩვენ ვცადეთო, თქვენც სცადეთ და ამა-

ზე დარწმუნდებითო. ტყუილად თავებს ნუ წაიხდენთ, ჩვენს ძველს სჯულს იმდენი ძალა არ აქვს, რამდენიც თათრებისასო. ხალხს სჯეროდა ამ კაცების სიტყვები და ადვილად თათრდებოდნენ, ამ საქმეების გამო ქრისტიან ქართველები დიდად ჯავრდებოდნენ, გამაჰმადიანებულებს სასტიკად გადაეკიდნენ. იმათ გამოუცხადეს ასე:

— ოსმალთა ჩხუბს თავს დავანებებთ და თქვენ დაგიწყებთ ჩხუბს. არ შეგარჩენთ სჯულიდან გასვლას. ეკკლესიების ჯამეთ გადაკეთების ნებას არ მოგცემთ, დაიცადეთ თქვენა! ესენი ასე ამბობდნენ, მაგრამ გამაჰმადიანებულთა იწყეს გაძლიერება. საქმემ მალე იქამდის მიაღწია, რომ ტბეთის საყდარი ჯამეთ გადააკეთეს და მაჰმადიანურად მორთვა დაუწყეს. ქრისტიან ქართველებს ეს ამბავი დიდად ეჯავრათ. მრავალნი ეტყოდნენ მათ:

— ბატონო, რა ზარი გაქვსთ, რომ მაგრე სტირით და სწუხთ, რა წახდება მით, ღმერთის სალოცავად იქნება. რა არის აქ სატირალი?

ქრისტიანები დაემუქრნენ თათრებს: არ შეგარჩენთო, თქვენს ჯავრს ამოვიყრითო. ამათ აი რა მოუხერხებიათ ახალ გამაჰმადიანებულებისათვის.

რამდენიმე ალაგას ჯამეს ცეცხლი მისცეს და გადასწვეს და ეს ისე მოახერხეს, რომ მათ ვერავინ რა შეუტყო. თავიანთ შეგობარ ახალ გამაჰმადიანებულს ქართველთა ჯამესაც ავნეს.

ჯამე ხისაგან იყო გაკეთებული, მაგრამ გვარიანი ჯამე კი იყო, ჯამეს საძირკვლის მაგიერ დიდრონი ბოძები ჰქონდა მიცემული, ამ ბოძებზე იდგა ჯამე. ქრისტიან ქართველებმა ამ ჯამეს ძირის ბოძებს დაჭრა დაუწყეს, ნელ-ნელა ძირს უფუღურთებდნენ. ეს ჯამე მაღალ ალაგას მდგარა, წინ დიდი გადმოსავარდნი ჰქონია. ერთ დღეს ხალხს მოუყრია თავი და შესულან ჯამეში სალოცავად. ხოჯა დამდგარა თუ არა ლოცვაზე და უთქვამს „ელაუექბერ“ და მუხლი მოუყრია, ამის მუხლის მოყრის უმალვე მთელი ხალხიც დამხობილა ძირსა. ამ დროს ჯამეს უგრიალია და დაქცეულა. მთლად ხალხი და ჯამე კლდეში ჩაცვივნულან. ზოგი მომკვდარა, ზოგი დამტვრეულა და ზოგი კი გადარჩენილა. ამ ჯამეს დაქცევის საქ-

მე სტამბოლამდის წავიდა აქ კი ვერავინ მიხვდა მის მიზეზს, თუ ეს ახლად გაკეთებული კარგი ჯამე რა მიზეზით დაიქცა. ქართვე-ლებმა დაცინვა დაუწყეს გამაჰმადიანებულ ქართველებს:

— ბიჭო, აგერ ნახეთ, რა მოგივიდათ! ღმერთმა დაგანახვათ, რომ თქვენ კაი საქმეებს არ შვრებით, სჯულიდან ხელს იღებთ. თქვენ პატარა მოითმინეთ და ბევრს სხვა რამეს გაჩვენებთ ღმერთი, ახლა მაინც არ დაიჯერებთ, რომ მაჰმადიანობა ქრისტიანობას არ სჯობია და, გინდ სჯობდეს, მაინც ქართველი კაცისათვის სჯულის გამოცვლა კარგი არარის?!

— ჩვენ რაკი გადავბრუნდით, მოხდა ეს საქმე, ეხლა ვერ გადმოვბრუნდებით. დაიცადეთ, ვნახოთ, თუ სხვა ჯამეებიც დაიქცევა, მაშინ კი გავბედავთ და გადმოვალთ ისევ ძველს სჯულზე. მეტი გზა არ იქნება.

— აბა, შვილო, ეკლესიებზე რომ ამბობდით, რომ ლპება, იმდენ ხანს ვერ სძლებენ, რამდენსაც ჯამეებიო, აბა ნახეთ, თქვენი ახალი ჯამე როგორ დაიქცა დამპალი სახლივით! აბა, ერთი ეკლე-სია გვაჩვენეთ, რომ ის თავის ნებით იყოს დაქცეული?

ამ შეითნებმა თურმე ისეთი რამეები უთხრეს იმ ახალ გა-თათრებულებს, რომ კინაღამ სჯულიდან გადააბრუნეს იგინი. ბევრი კი მიიმხრეს თურმე თვისკენ და ჩუმად დააწყებინეს ქრისტიანულად ლოცვები

ის შეითნები აი რას შვრებოდნენ თურმე: აქა, იქ სოფ-ლებში დაძვრებოდნენ და ზოგს ჯამეს ჩუმად ცეცხლს აძლევდნენ, ზოგს ძელებს უჭრიდნენ, ქვის ჯამეებს სხვათრივ აზარალებდნენ და მათის ოსტატობით ზოგი ჯამე ცეცხლისაგან იწოდა, ზოგი მთლად იქცეოდა, ზოგს კედლები ენგრეოდა. მთელი დუნია დაფიშმანდა ამაზე, მაგრამ მიზეზი ვერ შეიტყეს. მათ კი ერთმანეთში ფიცი ჰქონდათ მიცემული, რომ არავის არ შევატყობინოთო.

ხალხს კი ისე ეგონა, რომ ყველა ეს უბედურებანი გაჩენილი ღმერთის ბრძანებით ხდებაო. ამას თვალით გვაჩვენებს, რომ სჯუ-ლიდან ხელს ნუ იღებთო, ნუ მაჰმადიანდებითო! ამიტომ მრავალთა იწყეს უკან გადაბრუნებაო. სჯულის გადბრუნება ღმერთს არ მოე-

წოხა, ამიტომ მან ერთს ქართველს გულში წმინდა ჯვარი ჩაუნერგა; ეს ქართველი ქრისტიანი მივიდა გამაჰმადიანებულ ქართველებთან და უთხრა:

— ძმებო, თქვენს ჯამეებს გამჩენელი ღმერთი კი არ აქცევს, არამედ ქართველები აქცევენ და ცეცხლს აძლევენ უჩუმრად, თქვენ კი სხვა გეგონათ, მეც იმათში ვერიე, აი გიჩვენებთ ყველაფერს.

ოსმალთა და ახალ გამაჰმადიანებულთ გაეხარდათ. ამათ დაუწყეს ქართველებს ჩუმად ჭვერვა. დამბეზღავი ქართველიც მალე გა დაბრუნდა სჯულიდან, მაჰმადიანობა მიიღო. ამის ნათესავ ქართველებმა შეიტყეს ამ კაცის გამაჰმადიანება, ამათ სთქვეს, რომ ახლა კი შეგვიტყობენ საქმესაო გამაჰმადიანებული გაგვცემსო. ამათ ჯამეების ქცევა-ნგრევას და ცეცხლის ძლევას თავი გაანებეს, საქმე ცუდათ წაუვიდათ, გამჩენელმა ღმერთმა არ შეარჩინა, ყველაფერი შეიტყეს ოსმალთა. ამათ მალე გაიგეს თურმე, რომ ჩვენი საქმე ცუდათ არისო, ან გაგვამაჰმადიანებენ და ან თავებს დაგვჭრიანო. გამაჰმადიანებას ჩვენ ვერ ვიზამთო, რაც უნდა დაგვემართოს, ჩვენ მაინც ქრისტიანები უნდა ვიყოთ, ისე უნდა ვილოცოთ, როგორც ჩვენს ძველებს ულოცნიათო.

ესენი თურმე ერთ ღამეს მოემზადნენ გაქცევასა და როცა შუაღამე გახდა და აქა იქ სოფლის ხალხს დაეძინათ ღრმა ძილით, მაშინ ამათ აღკაზმეს ცხენები, ზედ შესხეს ქალ-ბაღანა, ვისაც ფეხით შესძლებია სიარული, ის ფეხით წასულა, თან წაუღიათ მხოლოდ ლოგინი და წასულან უჩუმრად და გასულან ქრისტიანების მიწაზე. მეორე დღეს მაჰმადიანები შევიდნენ სახლებში და სახლები ხალხით მთლად ცარიელი დახვდათ, არსად ერთი კაცი აღარ იყო. მთლად ამათი ქონება, საქონელი და ავეჯი კი აქ დარჩენილიყო. ყველა ესენი ახალ გამაჰმადიანებულებმა \ და თურქებმა აიღეს და გაინაწილეს, ზოგი ქონება და რამეები ამ შეითანებისაგან დამწვარ და დაქცეულ ჯამეების განახლებას მოანდომეს. ამ სოფლის ხალხის გაქცევის შემდეგ აქეთკენ მაჰმადიანებით მთლად მოფენილა, ესენი იყვნენ თურმე ტაუტეხავნი და ესენი რევდნენ ქვეყანას.

## ლივანის გამაჰმადიანება.

(ნაამბობი სოფ. ნადარბაზევის მცხოვრებ მაჰმადიან მოხუც თათრის აფიცრად ყოფილის თიკანაძის მიერ—იგივე სოფიოშვილი).

ოსმალებმა ლივანა დაიჭირეს, ლივანა არ ემორჩილებოდა, ამისათვის ლივანელებმა ბევრი სისხლი დაღვარეს. ლივანაში ოსმალთა კაცები გამოგზავნეს და მორჩილება ითხოვეს. ლივანელთ ჯარი შეუთვალეს და ამათ შეკრეს ჭალის ხეობა, გაამაგრეს ამ ხეობაში მდებარე თამარ მეფის ციხე, გაამაგრეს მაჭრიალის გზები და მოემზადნენ ოსმალთა საჩხუბრად; გაიმართა ჩხუბი, ორსავ მხარეს ბევრი ხალხი გაწყდა, ჩვენები სჯობნიდნენ ოსმალთ, ჩვენის მხრიდგან ქალებიც ომობდნენ თურმე. ბოლოს საქმე მაინც გაჭირდა ლივანელნი იძლივნენ, ოსმალთ გაიმარჯვეს და ლივანა აიღეს, მალე ხარჯიც დაადვეს ლივანელებს, ხალხი არ დაუსბულდა, ბევრნი საქართველოში გადმოიქცნენ, უმეტესი აქ დარჩნენ. ჩვენებიც აქ დარჩენილან, რადგანაც მათთვის აღიობა მიუციათ, ქართველ მეფეების დროს ესენი აზნაურები ყოფილან. თამარ მეფის დროს მიუღიათ აზნაურობა და თიკანაძეც მაშინ დარქმევიათ გვარად, რადგანაც თამარ მეფის თიკნების შემნახველთ უფროსი ყოფილა ჩვენი ძველი.

პირველ ხანებში ოსმალნი ოსტატურად მოექცნენ ხალხს, ხარჯს გარდა გამაჰმადიანება არავის უთხრეს, ამაზედ ძალას არ ატანდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ კი დაატანეს ძალა, მაგრამ ვერაფერი ჰქნეს. ამბობენ, რომ ერთს დღეს მარადიდში ოთხას კაცს მოსჭრეს თავი გამაჰმადიანების გულისთვისა. მარადიდის დიდი ეკკლესიაც დააქციეს და მარადიდის ხიდიც დასწვეს, რომ ხალხი აჭარაში არ გაქცეულიყო. ეს ხიდი ჭოროხზედ იყო. ძველად მთელს ლივანში ჭოროხზედ ხიდი მარადიდის გარდა სხვაგან არსად ყოფილა, მარადიდის ეკკლესიაც კაი დიდი ეკკლესია ყოფილა. შემდეგ დროებში ქრისტიანებს საქმე გასჭირვებიათ, მაგრამ არც ოსმალნი ყოფილან მოსვენებაში: ამათ უფრო გასძნელებიათ ხალხის გამაჰმადიანების საქმე. ჭოროხის ნაპირებს ახლო-მახლო მდებარე სოფლები ადვილად გაუმაჰმადიანებიათ და რომლებიც მეტად შორს ყოფი-

და იქ ვერაფერი მოუხერხებიათ. იქიდან ხალხს დიდხანს უბრძოლია, მაგალ: ჭოროხის ნაპირს სოფლებს, ცოცხების მიყრუებულ ადგილებიდან და სოფლებიდან, რომლებიც მაღალს მთებზე სძევს, ამათ დიდხანს უბრძოლიათ ოსმალთ წინააღმდეგ და ქრისტიანობით დიდხანს შეუნახავთ თავი. ბოლოს ოსმალთ მოუგონიათ ასეთი ოსტატობა: ამ მხრის მოწინავე კაცები დაუბარებიათ და გამოუცხადებიათ, რომ ვინც აქ იმეცადინებს და ხალხს გაამაჰმადიანებს, იმას ჩვენ აღობას მივცემთ და თითო ოჯახის გამაჰმადიანებაში თითო ოქროსაც ფულს მივსცემთო. მოწინავე კაცებს ეს ძლიერ გახარებიათ: ამათ დაუწყიათ შორს, მაღალ სოფლებში სიარული და ხალხში მეცადინეობა, ლაპარაკი, რომ გამაჰმადიანდით, თორემ ბოლოს საქმე წაგვიხდება, ოსმალნი მაინც გაგვამაჰმადიანებენ და ძალიან დაგვსჯიან კიდეცაო, მეტი გზა არ გვაქვსო. ხალხი ისმენდა ამათს ლაპარაკს, ესენი მაშინვე მღვდლებს რეკავდნენ სოფლებიდგან და ამათ მაგიერ ხოჯებს იბარებდნენ პირველ ხანებში აქეთ თურმე ხოჯები ეკკლესიებში ალოცებდნენ ხალხსა და ხალხი ამიტომ უფრო არ შინდებოდა მაჰმადიანობის მიღებ-შეჩვევას. მოწინავე კაცებმა ამ საქმეებისაგან დიდი ფული იშოვნეს და ამ ხალხის ბატონობაც მათ ჩაჰბარდათ ოსმალებისაგან. ესენი რომ არ ყოფილიყვნენ და ამათ რომ არ ემეცადინათ აქ ხალხის გამაჰმადიანებაზედ, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა, რომ ლივანაში მაჰმადიანობა 100 წლის შემდეგ შემოსულიყო, რადგანაც ლივანის ზემოდ, ჭანეთს შუა ისეთი მივარდნილი და მიყრუებული მთები და იქ ისეთ ადგილებშია სოფლები, რომ გამაჰმადიანების შემდეგ იქ ოსმალებს ფეხიც აღარ შეუდგამთ დღევანდლამდის შინაურებისაგან მომხდარი ჯაშუშობა და ღალატი, თორემ ოსმალნი აქ ადვილად ვერაფერს გააწყობდნენ და ვერც ხალხს გაამაჰმადიანებდნენ მალე.

ლივანაში ერთხნობით ძლიერ გასძნელებიათ ხოჯა-მოლებს ხალხის გამაჰმადიანება, გასძნელებიათ მით უფრო, რადგანაც დღეში ხუთჯერ ლოცვას ვერ შეუჩვევიათ ხალხი და გარდა ამისა ფეხის ბანას ხომ უფრო გაუჭირებია საქმე. ერთ დღეს ხალხს ხოჯისთვის უთქვამს:

— ხოჯა, ეს რაფერ იქნება, რომ დღეში ხუთჯერ ვილოცოთ და მასთანვე ზამთარში ფეხები ცივი წყლით ვიბანოთო.

— რა ვქნათ, ძმაო, ჩვენი სჯული ესეთი წმიდა არის, სუფთა, თქვენ რომ ქრისტიანები იყავით, მიტომაც არ გქონდათ ესენი და მურდლები იყავით.

— ეგ კი, მაგრამ, მაინც გვიძნელდება, წაღების გახდა და სიცივეში დაბანვა.

— არა უშავს რა, წაღებს ნუ გაიხდით, ის მაინც მოახერხეთ, რომ ხელები წყლით დაისველოთ და სველი ხელი წაღებზედ სამჯერ გარედან წაისვათ, ვითომც წაღები გაგიხდიათ და დაგიბანიათ, მაჰმადი ამას არ იწყენს, რადგანაც თქვენ ჯერ ახალი თათრები ხართ.

ასეთის ოსტატობით შეაჩვიეს მოლა-ხოჯებმა ახალი თათრები ფეხის ბანასაო..

ქართველთ ბარე არ უნდოდათ შეჩვევა და ამის წინააღმდეგ დიდათაც იბრძოდნენ, მაგრამ ვინ იყო მშველელი, არავინ, დაგეშილ ოსმალის მახვილს ვინ აღუდგებოდა წინ. მათის წყალობით ყველგან სისხლი იღვროდა ულმერთოდ.

---

(ს. აგარის მაჰმადიანთ დევაძეების გვარში დარჩენილი).

ოსმალნი ლაზისტანში შემოვიდნენ და მთლად დაიჭირეს იქაურობა, მაქრიალის ციხეში ფეხი გაიმაგრეს; იქიდამ აჭარლებზედ მოინდომეს გამოლაშქრება და გამაჰმადიანება. აჭარელებმა ეს ამბები შეიტყეს და ძლიერ შეშინდნენ ამათ მაშინვე თავიანთი დიდი კაცები შეკრიბეს და ლაპარაკი დაიწყეს, თუ საქმეს რა ვუყოთ, რა გვარ მოვაგვაროთო. დიდკაცებმა უთხრეს, რომ ჩვენ ძალი არა გვაქვს, ტყუილად წავიხდენთ თავს, იგინი ბოლოს მაინც დაგვიჭერენ, ამიტომ უმჯობესი იქნება, რომ ჩვენ წავიდეთ იქა და მაჰმადიანობა გამოუცხადოთ, ვთხოვოთ, რომ ჩვენზე ომსა და განადგურებას თა-

ვე გაანებოს. ხალხის უმეტესი ნაწილი უარზე დადგა: ჩვენ მათ ვერ ჩავბარდებით რადგანაც მაგენი მურდლები არიან და გინდ რომ ჩავბარდეთ, სჯულს მაინც არ გამოვიცვლითო. ჩავბარდებით, ხარჯს მივცემთ და სჯულთან რა საქმე, რა ხელი აქვთო. ასეთი პირობა გავგზავნოთ, რომ ჩვენ თქვენი დიდი ერთგულები ვიქნებით, ხარჯს გადავიხდით, რასაც გვიბრძანებთ, ყველაფერს აგისრულებთ, მხოლოდ გთხოვთ, რომ სჯულს კი ნუ შეგვაცვლევინებთო. ამ გარდაწყვეტილების წაღება იქ ვერავინ ვერ გაბედა, ოსმალნი პასუხს უცდიდნენ. ბოლოს ორმა მღვდელმა წაიღო ეს ამბავი და მივიდნენ მაქრიალში. იქ ამათი ამბავი მოისმინეს ოსმალთ და პასუხად მოკვეცეს, რომ არ შეიძლებაო ოსმალთ ხელში ყველა მუსლიმანი უნდა იყოს, ქრისტიანი არ შეიძლებაო. ეს ამბები იქიდგან მღვდლებმა-კი არ მოიტანეს, არამედ ოსმალის კაცებმა. მღვდლებს მაშინათვე თავები დასჭრეს. ამის შემდეგ კიდევ წავიდნენ მოსალაპარაკებლად მღვდლები, მაგრამ იქ ნებას არ აძლევდნენ, იჭერდნენ ამათ და თავებს აყრევინებდნენ.

იმ დროებში, მაქრიალში, ოსმალთ სულთან სელიმი მოუვიდათ. სულთან სელიმის ამბავი ჩვენმა დიდ კაცებმა რომ შეიტყეს, ძლიერ გაეხარდათ. მაშინათვე ამათ აქ ხალხი შეკრიბეს და დაიწყეს ლაპარაკი, რომ ჩვენ სულთან სელიმს დავემორჩილდეთ, ფიცი მივცეთ ერთგულებაზედ რომ გავმაჰმადიანდებით და ის ამის გამო ჩვენ გაგვანთავისუფლებს, ჩვენ აქ დაგვტოვებს და თვით წავა ოსმალეთში და ჯარსაც თან წაიყვანს. მერე როგორც გვინდა ისე მოვიქცეთ. ამ რჩევის უპირველესი პირი ვიღაც აბაშიძე იყო, რომელიც იმერეთიდგან იყო გამოქცეული კაცის კვლის გამო და აქ იფარავდა თავს და თვისს თავს თავადათ აღიარებდა. ეს წავიდა სულთან სელიმთან; ამას რამდენიმე სხვა კაცებიც გაჰყვნენ. აბაშიძე მივიდა, სულთანს თავი დაუკრა და უთხრა, რომ მე ვარ თავადი აბაშიძე, მე მსურს თქვენი სჯული მივიღო და ჩემთან მთლად აჭარის ხალხმაცაო. ძალიან კარგიო, მიუგო სულთანმა. აბაშიძე იქვე გამაჰმადიანდა, ამას მისცეს ბეგობა, ანუ სანჯახ ბეგობა და ჩააბარეს მთელი აჭარა, კახაბერი და ბათუმი. იმ დღიდგან აბაშიძეები გაძლიერ-

დნენ აქ და დაიწყეს პატრონობა მაქრიალიდან აბაშიძე მობრუნდა, თან მოიყვანა ხოჯები და სოფლებში დააყენა და ხალხს უთხრა, რომ სულთანმა თქვენი თხოვნა შეისმინა და რაკი მაჰმადიანობას მიიღებთ, მერე ფიქრი ნუ გაქვთ, იგინი აქედან წავლენ და თქვენ დაგტიებთო. ხალხს ძლიერ გაეხარდა, სთქვეს: გავმაჰმადიანდებით და მათ წასვლის შემდეგ ჩუმი ქრისტიანები ვიქნებითო. ამათ მალე ხოჯები და მოლები მოუვიდნენ და ზოგიერთ სოფლებში გამაჰმადიანდნენ, პირველ ხანებში ესენი ჩუმად ქრისტიანობდნენ კიდეც, ეგონათ მაჰმადიანობა ცუდი იყო, მაგრამ რომ ნახეს მაჰმადიანობა უფრო წმიდა ყოფილა ქრისტიანობაზეო, ამათ ჩუმათ ქრისტიანობას თავი გაანებეს და ნამდვილ მაჰმადიანებად გახდნენო. მღვდლებს გამოუცხადეს, რომ წადით ჩვენგან, თქვენ ჩვენი აღარ ხართ დღეს, ჩვენი ხოჯები, იმამი და მოლები არიანო. მღვდლებმა იწყინეს, მათ უთხრეს: აი, თქვე მურდლებო, თქვე ურჯულოებო, სჯულიდამ გასულებო, სჯული გაყიდეთ, ქრისტიანობა თათრის სრჯულზე გასცვალეთ; შეგირცხვეთ კაცობაო! სანჯახბეგს ამაზე ჯავრი მოუვიდა, იმან შეაკრებინა რაც მღვდლები იყვნენ, ბაწარში გაუბა ყველას თავები, ერთი მეორეს მიაბა და მერე ყველა ესენი შავს ზღვაში ჩაყარა. სანჯახ-ბეგებმა ბევრი კარგი საქმე ჰქნეს; ვინც მაჰმადიანობდნენ, იმას ესენი დახმარებას და საჩუქარს აძლევდნენ, ადგილებს და სხვა რამეებს. ვინც არ მაჰმადიანდებოდა, იმას ჯერ მოლა-ხოჯებს მიუჩენდნენ და მაჰმადიანობას ურჩევდნენ, რომ ამასაც მიეღო მაჰმადიანობა და ვინც არ შეისმენდა, იმას ან დააბამდა, ან თავს მოსჭრიდა და ისე კი არ დასტოვებდა.

ეს ქვეყანა ასე ძალით გამაჰმადიანებულა და ამას ძალით თუ გაექრისტიანებენ, თორემ ნებით არაფერი იქნება; ძალით გაქრისტიანებას და გაუსჯულოებას დიდი ზარალი მოჰყვება. მაშინ ვინც მალე გამაჰმადიანდნენ, ისინი ყველანი კაი კაცები იყვნენ, კაი აღიბი, სულ ბეგები დახდნენ.

აქ უნდა შევნიშნოთ ზემოხსენებულ გარდმონაცემს, რომ სულთან სელიმი სცხოვრობდა და მეფობდა 1780—1815 წლებში. ამ სულთანმა 1800 წ. გიორგი მეფეს ახალციხიდან მოციქულები

გამოუგზავნა და შემოუთვალა, შენ ოღონდ რუსეთს ნუ შეუერთდები და დღეის შემდეგ შენ ჩვენ აღარ შეგაწუხებთ. რაც ადგილები წაურთმევიათ თქვენთვის ჩვენს ძველებს, ჩვენ ყველა იმაებს დაგიბრუნებთო. სჯულით არავის გაგამაჰმადიანებთ და ყოველნაირს ღონისძიებას მოგცემთ ჯარით, თოფით, ზარბაზნებითა და წამლით, ფეხზედ დადგეს თქვენი სამეფო და გამაგრდესო, ოღონდ მანდ რუსებს ნუ შემოუშვებთ და გზას ნუ გაუხსნითო. გიორგი მეფემ ამაზედ უარი შეუთვალა.

---

## ევფრატის და იმერხევის გამაჰმადიანება. თამარ მეფე და ევფრატის ტაძარი.

(ნაამბობი ევფრატელ ცეცხლაძისაგან).

თამარ მეფე შავშეთიდამ კარჩხალის მთაზე გადმობრძანდა, ევფრატელებმა და მაჭახელელებმა თამარ მეფეს მაჭახელში მობრძანება სთხოვეს. თამარ მეფემ შეისმინა ეს თხოვნა და ბრძანა:

— რამდენსამე ხანს აქ მთაზე დავრჩებით და მერე, დაბრუნების დროს, მაჭახელში გიახლებით.

ერს ძრიელ ესიამოვნა მეფის ბრძანება. მეფის ბრძანებით კარჩხალის მთის წვეროზე მდებარე ერთ ვაკე ადგილს დაარქვეს „თავკალო“. ამავ თავკალოზე მისივე ბრძანებით ადგეს დუქნები და გააჩინეს ტბა. თვით თამარ მეფისთვის გააკეთეს მშვენიერი კოშკი, რომელსაც გარს სულ ირმის რქები ეკრა. სამეფო საქმეებიდ გაკეთების შემდეგ თამარ მეფე სტუმრებს მიიღებდა ხოლმე. სტუმრები სამეფო ტანთ-საცმელით უნდა გამოსცხადებოდნენ. სოფ. ევფრატში გაკეთებული იყო ერთი დიდი სასახლე, სადაც აუარებელი ტანთ საცმელი ეწყო. აქ მოვიდოდნენ თამარ მეფის მნახველნი, თავიანთს ტანთ-საცმელს გაიხდიდნენ, სამეფო ტანთ-საცმელს ჩაიცვამდნენ და თავ-მიშველა წავიდოდნენ კარჩხალის მთაზედ თამარ-მეფის სანახავად. ნახვის შემდეგ ესენი დაბრუნდებოდნენ ევფრატს,

სამეფო ტანთ-საცმელს გამოიცვლიდნენ, ისევ თავიანთსას ჩაიცვამდნენ. მალე თამარის ბრძანებით კარჩხალიდან ევფრატამდის საურმე გზა გააკეთეს. კარჩხალიდან ხალხი ურმით ჩამოდიოდა ევფრატს!

ერთს საღამოს ჟამს, როდესაც თამარ მეფე თავის კოშკში ბრძანდებოდა და აქეთ-იქით იმზირებოდა, ევფრატის ეკკლესიის გვერდით შენიშნა ერთი მეტად საუცხოვო ბრწყინვალე ცეცხლის შუქი. თამარ მეფემ ამიტომ კარჩხალიდან მალე ისურვა ევფრატში ჩამოსვლა და ნახვა იმ ეკკლესიისა, სადაც მან შუქ მფინარე ცეცხლი დაინახა. საქმე აღარ დაახანა. მალე ჩამოვიდა ევფრატში და ნახა ის ადგილი და ეკკლესია, საიდანაც მან ცეცხლი დაინახა. ევფრატის კარგი ეკკლესია მაინც და მაინც დიდად არ მოეწონა და ბრძანა:

— მე ჩემის ხარჯით ერთი კარგი ეკკლესია ხერთვისში უნდა ავაშენო სამახსოვროდ ჩემის აქ მოსვლისა და კარჩხალის მთაზედ ყოფნისა.

რამდენიმე დღის შემდეგ ხერთვისში ეკკლესიის კეთება დაიწყეს. დღისით ხელოსნები და მუშები მუშაობდნენ, საღამოთი იარაღს ეკკლესიის შენობასთან აწყობდნენ და თითონ ისვენებდნენ; დილა რომ გათენდებოდა, ხელოსნები მოვიდოდნენ ეკკლესიასთან სამუშაოთ, მაგრამ თავიანთ იარაღს იქ ვეღარ ნახავდნენ, არამედ 8 ვერსის მოშორებით, სოფ. ევფრატის ეკკლესიის გვერდით ნახავდნენ იარაღს დაწყობილს რამდენჯერმე მოხდა ასეთი მაგალითი და ხელოსნები ერთობ გაკვირვებულნი იყვნენ ასეთის საკვირველმოქმედებით. ესენი წავიდნენ და თამარ მეფეს მოახსენეს ყოველისფერი დაწვრილებით. თამარ მეფე დაფიქრდა და ბრძანა შემდეგი:

— მაშ დაანებეთ თავი ხერთვისში ეკკლესიის კეთებას, დარჩეს ისევ ის ევფრატის ეკკლესია ამ ხეობის მცხოვრებ ქართველთა დედა ეკკლესიათ. თუმცა ეს ეკკლესია ღარიბათ არის ნაშენი, მაგრამ მე გავამდიდრებ, მე შევმოსავ მას ყოველის სამკაულებით.

ხელოსნები თავთავიანთკენ წავიდნენ. მესამე დღეს თამარ ჩამობრძანდა ევფრატში, ეკკლესია შემოსა ძვირფას განძეულებით,

სასულიერო წოდებას გადაასახლებინა ჰარაკლისი და შემდეგ ამისა მაჭახლის გზით დაბრუნდა ლივანს. მაშინ მთელს მაჭახელში საურმე გზა ყოფილა გაკეთებული. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ეკკლესია შეაკეთეს და ის კედელიც შეამკეს ძვირფასი ფარჩა მარგალიტებით, რომლის კედლის თავზედაც თამარ მეფემ მეტად სხივოსანი კვამლი დაინახა. გაკეთების შემდეგ წყევლა-კრულვა დაუდვიათ, რომ არამცა და არამც ეს ეკკლესია არავინ დააქციოს, თუ თავისით დაიქცეს ოდესმე, ეცადნენ, რომ მაშინ ეს კედელი მაინც დარჩეს საშვილიშვილოთაო. ამავე დროს თამარ მეფეს გაუკეთებია ხერთვისის ორი ხიდი, სოფ. ჩხუტუნეთის ახლოს და ერთი დიდი კოშკი სოფ. აჭარა-აღმართას ზემოდ, მაჭახლის წყლის პირას, რომლის ციხის კედლები დღევანდლამდე სდგას. მაჭახლის პირიდან მტერი რომ შემოსულიყო, ის მხოლოდ ამ ციხემდის მოაღწევდა და ამას აქეთ ფეხს ვერ შემოსდგამდა, რადგანაც გზაში კარები დაკეტილი დახვდებოდა.

თამარ მეფის შემდეგ გავიდა რამდენიმე ხანი და ოსმალთა საქართველო აიღეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველთ გამაჰმადიანება დაუწყეს. უკანასკნელ გაამაჰმადიანეს აჭარელნიც და გაუმაჰმადიანებელი დარჩა მაჭახელი და იმერხევი. უკანასკნელ ოსმალებმა აქაც მოჰკიდეს ხელი და დაუწყეს მაჭახლელთა და იმერხეველებს გამაჰმადიანება, იმერხევის ხალხი და შავშეთი ადრე გათათრებულან, მაჭახელს კი ბევრი უბრძოლია და უჩხუბნია, მთელი მაჭახელი გაწყვეტილა ბრძოლაში. ბოლოს ესენიც გაუთათრებიათ და გათათრების შემდეგ აქ განწესებულან ხოჯა-მოლები და ჯამეები გაუკეთებიათ. ეკკლესიების ქცევა-ნგრევაც შემოუღიათ, ახალ გამაჰმადიანებულთ დიდად დაუვედრებიათ ოსმალთათვის, რომ ევფრატის ეკკლესიას ნუ დააქცევთ, მაგ ეკკლესიის შესახებ ჩვენის ძველებისაგან წყევლა-კრულვა არის დატოვებული, თუ ვინმე მას დააქცევსო. ოსმალთ თხოვნა შეუსმენიათ, ევფრატის ეკკლესია არ დაუქცევიათ, მხოლოდ ეკკლესიის კარები დაუკეტიათ. თუმცა ხალხი გამაჰმადიანებულა, მაგრამ პირველ ხანებში დღესასწაულ დღეებს ხალხი ამ ეკკლესიას არ ივიწყებდა, მიდიოდნენ და შიგ სანთლებს ანთებდნენ

და ლოცულობდნენ: ნამეტურ ლოცულობდნენ მოხუცებულნი. ეს ამბები აქაურ ახალ მოლა-ხოჯებს სტამბოლის მთავრობისათვის უცნობებიათ. იქიდგან ბრძანება მოსულა, რომ ეგ ეკკლესიაც დაანგრიეთ და ხალხსაც გამოუცხადეთ, რომ იქ ფეხი სალოცავად არავინ შედგასო. მალე ხალხი შეკრიბეს და გამოუცხადეს. ხალხმა მიუგო:

— ჩვენის ძველებისაგან ანდერძად გვაქვს დატოვებული, რომ ეს ეკკლესია არავინ უნდა დაანგრიოს, ვიდრე თავისით არ დაიქცევა

— არ შეიძლება, რაც გებრძანათ უნდა აასრულოთ; ევფრატის ეკკლესია უნდა დაანგრიოთ. უბრძანეს ოსმალთ.

— ვინც მას წერაქვს და ბარს დასკრავს, იმას მაშინათვე ხელები მოსწყდება და გაქვავდება. გარჩხალი და „პაწა-მთა“ იწოდებს იქ ქართველი დევები მარხიან, თამარ მეფის სათვალავიც „თავკალოზეა“, ისინი აღდგებიან და ჩამოვლენ ჩვენ შესარცხვენად ჩვენ გავქვავდებით. ოსმალთა მაინც არ ქმნეს და ძალას ატანდნენ, რომ ეს ეკკლესია თვით ქართველთა ხელით დაქცეულიყო და მით დარწმუნებულიყვნენ ესენი, რომ მის დაქცევით არაფერი მოხდება. ხალხს დიდი ძალა დაატანეს, შეაწუხეს, მოაბეზრეს წვალებით. ბევრნი ახლად გამაჰმადიანებულნი მოხუცნი ქალნი და კაცნი მწარედ სტიროდნენ და ქვითინებდნენ, ხმა მაღლა ჰყვიროდნენ:

— ევფრატს აქცევენ, ღმერთო, ევფრატს აქცევენ, ღმერთო! მაშინ ამ ეკკლესიას ევფრატს უწოდებდნენ და არა ეკკლესიას.

ამის დაქცევის გულისთვის დიდი ძალი ხალხი გაწყდა. ბევრმა თავი მოიკლა, რომ მე არ მხვდეს ევფრატის დაქცევაო. უკანასკნელ რომ ველარა მოახერხეს რა, ოსმალთ ასე განუცხადეს თანხმობაო.

— ჩვენ, თქვენი ერთგულნი ვართ და მუჰამედისა. ჩვენ, როგორც ერთგულნი მოგახსენებთ და გთხოვთ, რომ ამ ეკკლესიას ჩვენ დავაქცევთ, შევასრულებთ ბრძანებას, მხოლოდ ნება მოგვეცით, რომ მარჯვენა კედლის მცირე რამ კედელი არ დავაქციოთ, სადაც ჩვენს მამებს გამჩენელ ღმერთის საკვირველება უნახავთ.

ოსმალთ ნება მიუციათ და ქართველთ დაუქცევიათ ევფრატი, მხოლოდ დაუტოვებიათ ის კედელი, სადაც თამარ მეფეს ნათლის

შუქი დაუნახავთ, ეს კედელი დღევანდლამდის დგას დაურღვეველი. შემდეგ დროებში ამ კედლის დაქცევაც განუზრახავთ, რადგანაც ამ კედლის გვერდით შეიყრებოდნენ ხოლმე მოხუცებულნი და ხან ტიროდნენ ცრემლებით და ხან ლოცულობდნენო. ახალგაზდა ქართველ თათრებმა კი არაფერი იცოდნენ მისი და ყოველთვის გაკვირვებით უმზერდნენ თავიანთ დედ-მამის ტირილსაო. ამ 30—40 წლების წინად აქ ყოფილან ისეთი მოხუცებულნი, რომელთაც კარგად ხსომებიათ ეს ამბები ამ 30 წლის წინად, გარდაიცვალა ევფრატისაგენ ჭიჭინოღლის (ჭიჭინაძე) მოხუცი დედა, რომელსაც კარგად ხსომებია ეს ამბები და თვითაც ხშირად ულოცნია ხოლმე ამ კედლის გვერდით. ევფრატის დაქცევის დროს ქართველ მაჰმადიანებს თავიანთის შვილებისთვის წყევლა კრულვა დაუდვიათ, რომ ამ ეკკლესიის ქვები არავინ გაზიდოს აქედანაო და სახლების საკეთებლად არ იხმარონო. მთამომავლობას მტკიცედ შეუნახავს ძველების სიტყვა და იქიდგან არავის რა წაუღია. დაქცეულის ეკკლესიის კედლის ქვები იქვე არის, ზოგიერთ ბელტოებს სამი-ოთხი საჟენი სიგრძე სიგანე აქვთ, ამ ეკკლესიის სამრეკლოსთვის ხელი არ უხლიათ. სამრეკლო აღმოსავლეთის კარის წინ ყოფილა და ქვეშ გასავლელი ჰყოლია. სამრეკლო დაუქცევიათ უკანასკნელ ომის დროს, ასე 1877 წ., რადგანაც აქ ქართველები მოვლენ და ამის ძალით ჩვენც გაგვაქართველებენო. უწყიან, რომ მაშინ რამდენიმე კაცმა გაბედა აქედან ქვების წაღებაო. ერთი კაცი ავად გახდა და მოკვდა, მისმა შვილებმა თავიანთ სახლიდან გამოიღეს აქედან წაღებული ქვები და ისევ უკან მოიტანესო გარდა ამისა ცხვარი დაუკლეს და ხალხს დაურიგესო.

ამ ეკკლესიის რამდენიმე ქვა ამ სოფლის მამასახლის ტუობორიძეს წაუღია და თავისის სახლის კედლების შენების დროს შიგ ჩაუტანებია, ერთს ქვას ქართული ნაწერები ჰქონია. ეს კაცი დღესაც ცოცხალია და ამბობს, რომ ზოგიერთი ქვები, რომლებსაც ნაწერები აქვს, აქვე ეკკლესიის გვერდით ყრიან, მხოლოდ ერთიანად ძირს არის მოქცეულნი, ასე რომ მათ ზემოდ 2—3 საჟენი ქვები

და კედლის ლოდები ჰყრიათ, 1893 წელსაც განუძრახავთ აქაურებს ქვების გაზიდვა, მაგრამ შიშის გამო ვერ გაუზიდნიათ.

ეკკლესია სხალტის ანუ ტფილისის ანჩხატის ეკკლესიის გეგმით ყოფილა გაკეთებული. 5 საჟენი სიგანე ჰქონია და 7—8 საჟენი სიგძე. ეს ცხადად სჩანს დღევანდლამდე დაშთენილ საძირკვლის კედლებიდამ. აქვე უწყიან, რომ ძველად იტყოდნენ ხოლმე: ამ ეკკლესიის ნივთები და ფული აქვე ეკკლესიის ქვეშ, მიწაში მარხიათ; ყველა ესენი გათათრების დროს ჩვენს ძველებს მიწაში დაუმარხავთ, რადგანაც შინებიათ, რომ ოსმალებმა არ მოგვტაცონო. ეკკლესიის გვერდით ძლიერ ბევრი სახლები ყოფილა ძველად, ამ სახლების კედლები დღევანდლამდე სჩანს. უკანასკნელ ომის დროს აქ ყოფილა 80 კომლი ქართველ მაჰმადიანებისა, ომის შემდეგ იმათგან 72 კომლი ოსმალეთში გადასახლებულა და აქ დარჩენილა მხოლოდ 8 კომლი. დღეს ეს რვა კომლი 14 კომლია.

კარჩხალის მთის ქედ-ქედ არის ერთი დიდი მთა, რომელსაც ნინო-წმიდა ეწოდება. ძველად აქედ საცადა ეკკლესია თუ მონასტერი ყოფილა; რომელსაც სახელად ნინო-წმიდა რქმევია. პირველ გათათრების დროს ეს ეკკლესიაც მთლად დაუქცევიათ. არსად ერთი ქვაც აღარ დარჩენილა. დღეს ამ მთას ქართველ მაჰმადიანები ინაწმიდის მთას უწოდებენ და იმასაც უწყიან, რომ ძველად იქ ეკკლესია იყო და ხალხი სცხოვრებდაო. გამაჰმადიანების დროს ხალხი დაუხოციათ და ვინც დარჩენილა, ისინიც აქეთ-იქით სოფლებში გაქცეულან. ფიქრი არ უნდა, რომ ეს სწორედ ასეც იქმნებოდა. ხალხის გარდმოცემით თამარ მეფეს თუ კარჩხალის მთაზე ცხოვრება დიდად უყვარდა, მაშასადამე იგი ამ საყვარელ უმშვენიერეს მთებზე რომელიმე ქართველთ წმიდანის სახელზედ ეკკლესიას აღაგებდა და მით შეამკობდა. სჩანს, რომ თამარ მეფეს თუ სხვა ვინმე ქართველთ მეფეს აქ ნინო-წმიდის ეკკლესია ან მონასტერი უნდა აღეშენებინოს, ნინო წმიდის მთიდამ ერთი გზა კარჩხალის მთით შავშეთში გადადის და მეორე ლივანაში.

## სხალტის ხეობის გამაჰმადიანება.

(ნაამბობი სხალტის უსუფ ყარა მემედ ოღლი ბოლქვაძისაგან, ბორჩხელისა).

ამ ხეობაზედ ქართველებს დიდი ხანი შეუნახავთ თავი ქრისტიანობით, მაგრამ ბოლოს მაინც ბრძოლა მოჰბეზრებიათ და გამაჰმადიანებულან. რამდენიმე სოფელს-კი საიდუმლოდ დიდხანს გაუმაგრებია ქრისტიანობით თავი; გასულა რამდენიმე ხანი და ოსმალებს თავიანთი ხოჯები და მოლები აქეთ ძლიერ გაუმრავლებიათ. თითო სოფელში ორ-ორი ხოჯა და მოლები დაუყენებიათ, ქრისტიანობით დარჩენილს ხალხს ესენი ასწავლიდნენ მუსლიმანობის სიწმიდეს და ასმენდნენ, რომ ვინც მუსლიმანობას მიიღებს, ის ცხონდება, იმას სამოთხის კარებზედ არაფერს მოჰკითხავენ, მას ყველა ცოდვებს მიტომ აპატიებენ, რადგანაც მან დაივიწყა კერპებზედ ლოცვა და მიიღო წმიდა სჯული. სჯული ღვთისაგან მოცემული, რომელიც ერთად-ერთს ღმერთსა და მუჰამედს სცნობსო. რამდენიმე ხნის შემდეგ ზოგი დარიგებით და ჩაგონებით, ზოგიც შიშით და მუქარით მთლად გათათრდნენ ქართველები, მოისპო აქეთ ქრისტიანობა. პირველ ხანებში მღვდლებს სთხოვეს, რომ თქვენც მიიღეთ მუჰამედის სჯული, ჩვენ გასწავლით ლოცვებს და მერე ხოჯობას მოგცემთო. მაგრამ მღვდლებმა უარი განაცხადეს და ზოგმა-კი მიიღო მაჰმადის სჯული.

ამ სოფლებში დარჩა გაუმაჰმადიანებელი მხოლოდ სოფ. ყინჩაური, რომელიც სხალტის ხეობაზედ მდებარეობს. ყინჩაურელებმა დიდხანს იმაგრეს თავი ქრისტიანობით, ამისი მიზეზი იყო სოფ. ყინჩაურის მღვდელი, რომელიც მეტად მწიგნობარი ყოფილა, მქადაგებელი და ქრისტიანობის მოყვარე. ეს მღვდელი ამაგრებდა თავისს ხალხს, ეს მღვდელი წინამძღვრობდა მათ. ეს ოსმალოს უქუმათს ეუბნებოდა, რომ ჩვენ დაგვაყენეთ ჩვენს სჯულზედ და ჩვენ არაფერს დაგიშავებთ, თქვენი ერთგული ქვეშევრდომნი ვიქნებითო. სამართალი ამის ნებას აძლევდა, რადგანაც ის მღვდელი მეტად გამ-

ჭრიახი და შორს-მჭვრეტელი ყოფილა. ეს სხვა მღვდლებივით მალე არ დამორჩილებია ოსმალოს ადგილობრივ მთავრობის განკარგულებას. ეს მღვდელი თავისს სოფლის ხალხს გარდა, სხვა სოფლის ახალს გამაჰმადიანებულს ქართველებშიაც-კი ჰქადაგებდა ქრისტეს სჯულს, მათ ასმენდა და არცხვენდა საიდუმლოდ, რომ თქვენ ოსმალოს ბრძანებას დაემორჩილეთ ჩვენის ბეგიების მოტყუებით და სჯული გამოიცვალეთ გამაჰმადიანდითო. რიგიანი ქართველი სჯულს არ გამოიცვლიდა, თქვენ არავინ დაგხოცდათ და თუ დაიხოცებოდით, ეს უკეთესიც იქნებოდა და სჯულიდან კი ხელი არ უნდა აგეღოთო... ამ მღვდლის მეოხებით ბევრი ახლად გამაჰმადიანებული ქართველი მობრუნდა მამაპაპის სჯულზედ და საიდუმლოდ დაიწყეს ქრისტიანობის აღსარება. ბევრნი ერთსა და იმავე დროს თათრულ წესებსაც ასრულებდნენ და ქართულსაც.

მაგრამ გავიდა რამდენიმე ხანი, მღვდელი დასმენილ იქმნა ჯაშუშებისაგან ამ ხეობის აღიებ ხიმშიაშვილებთან, რომ ყინჩაურის ხალხს გარეშე სხვა ახალ გამაჰმადიანებულს ქართველებშიაც ჰქადაგებს ძველს სჯულსაო, ბევრი გადაიყვანა მან ძველს სჯულზეო. ამის გამო დიდი რისხვა აწვიეს ამ მღვდელს ხიმშიაშვილებმა. ქრისტიანად დაშთენილებს უკანასკნელად გამოუცხადეს, რომ მალე ამათ ხოჯა და მოლები გავგზავნათ, ჯამე გაუკეთეს და ლოცვის დროს ხალხს იქ დაუწყეს შეკრება; მღვდელს ხმა არ გასცეს, ამას უთხრეს, შენ შენს ეკკლესიაში ილოცე, ხმა არ ამოიღო, თორემ მაშინათვე თავს მოგჭრითო. ამ დროს მღვდელი მოხუცებული ყოფილა, მას ძალაც აღარ ჰქონია. ქადაგებისთვის თავი დაუნებებია და ეკკლესიას კი არ განშორებია. ეკკლესიაში დარჩენილა და თვითონ მარტოკა ლოცულობდა თურმე და ეკკლესიას ჰპატრონობდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ეს მღვდელი ავად გამხდარა. ამას იქ ახალი გამაჰმადიანებული ქართველები თურმე შიშის გამო ვერ უკარებოდნენ, ეშინოდათ, რომ მთავრობამ არაფერი დაგვწამოსო. მღვდელი ძლიერ ავად გახდა და შეწუხდა, საქმე გაუჭირდა. სნეულმა მიმართა ყინჩაურის ხოჯას და სთხოვა თავისთან მისვლა. ხოჯა მივიდა. მღვდელმა უთხრა:

— რა კი ასე დავიღუპენით ჩვენ და აქეთ ჩვენის კაცისა აღარავინ არის და არც არავინ მეკარება მე, ამიტომ დაგავალებ შენ, ჩემი სიკვდილის შემდეგ შენ მაინც მიპატრონო, დამასაფლავე.

მღვდელი მალე გარდაიცვალა, მივიდა მასთან ხოჯა, თათრულის წესით მოამზადა და ბოლოს ასწიეს და წაასვენეს სასაფლაოზედ და ხოჯამ დაასაფლავა. ამ მღვდლის და ეკლესიის ნივთები ხალხმა დაისაკუთრა და ამათ წაიღეს ყველაფერი. მალე დაქცეულ იქმნა თვით ეკლესიაც, ისე რომ დღეს ყინჩაურში მხოლოდ ნასაყდრევი ადგილი და ქვები-ღა სჩანს. ოსმალოს მთავრობას ეკლესია სრულიად დაუქცევ-დაუნგრევია.

ლაპარაკობდნენ ძველად, რომ სხალტის ზარები და ნივთები მიწაში ჩაფლული, რადგანაც გამაჰმადიანების დროს ესენი იმერეთს და ქართლს ვერ წაუღიათ და აქაურ ჩუმ ქრისტიანებს ისინი მიწაში ჩაუმარხავთ, რომ თათრებმა არ მოიტაცონო. ძველად ხიმშიაშვილებმა იცოდნენ ეს ადგილი, სადაც ემარხა ყველაფერი სხალტის ეკლესიისაო. ზოგნი ამბობენ, ვითომც ხიმშიაშვილებმა იგინი ერთ დროს ამოიღესო.

სხვა-და-სხვა ეკლესიის ხაზინაც იქვე მის ახლო-მახლო უნდა იყოსო; ძველად ეს ადგილები ჩვენში ბევრს ბერიკაცებს და დედაკაცებს სცოდნიათ, მაგრამ იგინი არავის ეუბნებოდნენ ამას, რადგანაც, რომ შეიტყოს ვინმე, ის ამოიღებს და წაიღებსო. ოსმალნი მოიტაცებენ და ჩვენ კი იმედი გვაქვს, რომ ოდესმე ქრისტიანები მოვლენ და ყველა ესენი მათ დარჩებათ. ესენი თათრებისათვის რა საჭიროა? შემდეგ დროში რომ მოხუცებულთ იმედი გადაუწყდათ და ქრისტიან ქართველები აქ არ ჩნდებოდნენ და ნამდვილ მაჰმადიანობა დამყარდა, მას შემდეგ ესენიც აღარავის რას ეუბნებოდნენ და მალავდნენ, დედ-მამას თავიანთ ღვიძლი შვილების შიშიც კი ჰქონდათ. ბერიკაცები და დედაკაცები დაიხოცნენ და იმ ადგილების ცნობებიც მათ თან გაიყოლეს, სადაც კი მიწაში რამე იყო დამარხულ-დაფლული. სომხებს ხშირად უნახავთ ასეთი ნივთები, გათათრებულ ქართველებისგან იგინი ამაებს სიამოვნებით ყიდულობდნენ.

ხშირად ჩვენი ქალებიც მიჰყიდდნენ ხოლმე მათ ძველ ნივთებს სხვა-და-სხვა სავაჭრო ნივთებზედ.

---

## სხალტის ტაძარი.

(სოფ. ფანჩხის მამასახლისის სულეიმან მურად-ოღლის (იგივე გელაძე) და სხვათაგან ნაამბობი).

ჩვენი ქრისტიანობის დროს, სცხოვრობდა ერთი მეფე, რომელსაც სახელად თამარ დედოფალი ერქვა. ამ მეფეს აქეთ ცხოვრება დიდად უყვარდა. ერთხელ ამ ხეობისაკენ მოუხდა გამოვლა და დარჩენა იმ ალაგას, სადაც დღეს სხალტის ეკკლესია სდგას. აქ ყოფილა ერთი ისეთი დიდი მსხლის ხე, რომელიც თავის ტოტებით მთელ მის მიდამოებს ჩრდილავდა და ჰფარავდა. თამარ დედოფალმა ისურვა იმ ხის ქვეშ ღამე დარჩენა, გათიება; აქ გაათიეს ღამე. თამარ დედოფალმა ის ხე სიზმარში ნახა. მეორე დღეს ბრძანა, რომ აქ ეკკლესია უნდა გავაკეთოთო. რამდენიმე ხნის შემდეგ ეკკლესიისათვის შენობის მზადება დაიწყეს, მალე იმ ცნობილ ხესაც დაუწყეს მოჭრა, მაგრამ რამდენსაც მოსჭრიდნენ იმ ხეს, იმდენჯერ იმას მეორე დღეს ისევ შეერთებულს, მთელს ხედავდნენ. ხალხმა ვერაფერი გააწყო და შეწუხდა ძლიერ. ბოლოს ერთმა დაარიგა ასე, დღეს რომ ხე მოსჭრათ, მონაჭერის ძირს ცულები დაარჭეთ და ისე დასტოვეთ ამაღამ და ხვალ იგი აღარ შეერთდებაო. ხე მოსჭრეს, ცულები ისე დაურჭეს, იმ ღამეს ისე დასტოვეს. მეორე დღეს მივიდნენ და ნახეს, რომ ხე მოჭრილია, აღარ შეერთებულა, ცულებიც ისევ ისე წინანდებურად დატოვებულნი იყვნენ.

მალე დაიწყეს ეკკლესიის კეთება. ეკკლესიის ერთი კარები სწორედ იქ მოაქციეს, სადაც ის დიდი ხე მდგარა. კარებში ორ ალაგას ამისი ბოძები დააყოლეს, რაზედაც უნდა შებმათ ეკკლესიის კარები, და აი სწორედ ის ხეები, რომლებიც დღეს კარებშია ჩატანებული, ეს სწორედ იმ ხისგან არის დარჩენილი.

სხალტა კიდევ აი რისთვის დარქმევია ამ ეკკლესიას: როცა ამის შენება დაუწყიათ, ეს ამბები მთელს ამ მხრის ხალხს გაუგია, ხოლო ვინც დაშორებით იყვნენ და ვერ ხედავდნენ ეკკლესიის შენებას, ისინი ისეთ პირს ჰკითხავდნენ ხოლმე, რომელთაც ეკკლესიის შენობა ენახათ:

— დიდს ეკკლესიას სად აკეთებენო? ამაზედ მნახველნი მიუგებდნენ:

— მსხალთან, დიდი მსხლის ხე რომ სდგასო. ეს ხე ყველას სცოდნია მაშინ და შემდეგ დროებში სიტყვა „მსხალთან“ სხალტად გადაკეთდაო.

ყველაზე ადრე ახალ გამაჰმადიანებულ ქართველებში შარბათის სმა სხალტის, მირატის და ტბეთის ხეობაში შემოსულა, რადგანაც აქაური ხალხი უფრო მუშა ხალხი ყოფილა, იმ დროს ყველას ჰქონდა თავისი ვენახი და მარანიო. ახალ გამაჰმადიანებულთ ხშირად როცა რამე კარგი ლხინი ექნებოდათ ესენი თავიანთ ქრისტიან ნათესავებს დაპატიჟებდნენ ხოლმე და ამათ ღვინის მაგიერ შარბათს მიართმევდნენო; რადგანაც გამაჰმადიანებულთ აღკრძალული ჰქონდათ ღვინის კეთება და სმაც, მათ უკრძალავდნენ თვით ვაზის მოშენებასაც-კიო!

---

(ნაამბობი დერვიშ ბეგ ბეჟანიძისაგან).

სოფ. წაბლანის და ფაჩხას გვერდით, ერთ მთის ძირობას, სადაც ხოდაბუნის ადგილებია, ძველად ყოფილა ეკკლესია. ეს ეკკლესია მაჰმადიანობის მიღების შემდეგ დაუქცევიათ და ეკკლესიის ქვები აქეთ-იქით მიუყრ მოუყრიათ, ზოგი ხალხს წაუღია. ერთი ქვა ამ ხეობის წყლის ნაპირას ჩაგორებულა. დიდი ქვა ყოფილა და ზედაც ქრისტე ჯვარცმით დახატული. ამ ქვასთან დედაკაცები მიდიოდნენ ხოლმე, სარეცხს მიიტანდნენ, აღნიშნულს ქვაზედ შესდგებოდნენ და სარეცხს წყალში რეცხავდნენ და ჰგლებდნენ. ერთ

დღეს, ერთმა დედაკაცმა მიიტანა სარეცხი, შედგა ქვაზედ და და-იწყო რეცხა. ამ დროს ფაჩხის კლდის ერთ დიდ ლოდს დაუყ-ვირნია იმ ქალისთვის:

— ადექი, გაათავე, წადი, თორემ მოვდივარო. ქალმა ყურად-ღება არ მიაქცია. კლდემ კიდევ მისცა პასუხი:

— სთქვი რამე მიდიხარ თუ არა, თორემ საცაა წამოვალო? ქალმა უთრა:

— ჯანდაბას შენი თავი, მე რას მიყვირი, წამოიქეცი და დაი-ქეციო.

ქალმა როგორც გაათავა ყვირილი, იმ წამსვე წამოვიდა ის დიდი კლდე და დაეცა იმ ქვას, რომელზედაც ქალი იდგა და ქალი თავის სარეცხით შიგ მოაყოლა და გაქვავდა. ეს საქმეები ალბად იმიტომ მოხდა, რადგანაც ის ქვა ეკკლესიის ყოფილა და ზედ ჯვარი და წმიდანები ყოფილან დახატულნი. ალბად ღმერთი არ ჰყა-ბულობდა მას, რომ ჭუჭყიანის ფეხთსაცმელით და ჭუჭყიანი სა-რეცხის გასარეცხად დედაკაცები ზედ შესდგებოდნენ და სარეცხს რეცხავდნენ; მაშინ ქალები ახლად გამაჰმადიანებულნი იყვნენ და ესე-ნი პირის ბანის ხურვას ჯერ მტკიცედ არ იყვნენ შეჩვეულნი. ყვე-ლაფერ საქმებს მოურიდებლივ აკეთებდნენ. მას შემდეგ ზოგიერთ სოფლის დედაკაცებს 1850 წ. დიდი შიში ჰქონიათ ხოლმე, ესენი წყალზე სარეცხს ვერ წაიღებდნენ დასარეცხად; ყველას ახსოვდა იმ დედაკაცის ამბავი. დღეს კი ეს ამბები აღარავინ იცის, ამის გამო ანდაზად დარჩენილა ხალხში: — „რას იძახი ფაჩხის კლდესავითაო“.

---

## სოფ. ხულოს ეკკლესის დაქცევა.

(75 წლის ყადი ოღლი ბოლქვაძის ნაამბობი).

ხულოში დიდი მშვენიერი ეკკლესია ყოფილა, მთელი ეკკლე-სია თლილი ქვით ნაშენი, მე არ მინახავს და მამაჩემი-კი იტყოდა ხოლმე, რომ ხულოს ეკკლესია ტბეთისთანა ყოფილა, სხალტას სჯობ-დაო. ამ ეკკლესიის მღვდლებად ჩვენი გვარის კაცები იყვნენო, ბოლ-

ქვაძეები. ქართველებს რომ გათათრება დაუწყეს, მაშინ ჩვენი ძველებიც გაათათრეს; გათათრებულს მღვდელს ბოლქვაძეს უალობა მისცეს და ამიტომ გვეწოდა ჩვენ უალი ოღლი. ჩვენ თუმცა თათრებად გადავკეთდით, მაგრამ ხულოს ეკკლესიას კი პატივისცემას და პატრონობას არ ვაკლებდით, სუფთად ვინახავდით. ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილი რომ გაძალუნდა, მაშინ ამან დაიწყო სხალტის ეკკლესიის დაქცევის ფიქრები. მიზეზი არავინ არ იცოდა. ერთს დღეს ახმედფაშა ხიმშიაშვილმა დაიბარა ჩვენი პაპა და გამოუცხადა ასე:

— ხულოს ეკკლესია უნდა დავაქციოთ და გიცხადებ, ხალხი მოაგროვოთ დასაქცევად.

— როგორ შეიძლება, ფაშავ, მისი დაქცევა. ის ჩვენის ძველების სალოცავი იყო, სალოცავი მუსლიმანის თუ ქრისტიანის, ორივე ერთია და როგორ იქნება მისი დაქცევა?

— უეჭველად უნდა დაიქცეს, სთქვა ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილმა.

— ჯამედ გადავაკეთოთ, ცოდვაა მისი დაქცევა. მიუგო უალი ოღლი ბოლქვაძემ.

— არ შეიძლება, ეგ მაგარი ქვის ეკკლესია არის, დღეს თუ ხვალ აქ ქართველნი მოვლენ, იგინი ამ ეკკლესიაში შევლენ, აქედგან დაგვიწყებენ ბრძოლას და მოგვერევიან, ჩვენ მაშინ მათთან ვერაფერს გავაწყობთ. საქმე წაგვიხდება. ქვის ჯამე ჩვენთვის საჭირო არ არის, მისს ალაგას ხის ჯამე ავაგოთო. სთქვა ახმედ-ფაშამ.

— ფაშა! ხის ჯამე დალპება, ყოველთვის შიში ექნება და ქვის ჯამეს-კი არაფერი წაუხდება. ნუ ვიქთ მას, ნუ დავაქცევთ.

— არ შეიძლება, უნდა დავაქციოთ, მისი შიში გვაქვს.

რამდენსამე ხნის შემდეგ ახმედ-ფაშას ბრძანებას შესრულება დაუწყეს და ეკკლესია დააქციეს. ისე დააქციეს, რომ საძირკვლისა მხოლოდ ერთი არშინი კედელი-და დასტოვეს. მაშინ მთელი ხულო სავსე უოფილა ეკკლესიის ქვებით; ქვების უმეტესი ნაწილი ახმედ ფაშას გაუზიდვინებია და იქვე ხულოში თავისთვის აბანო და სარაია გაუკეთებინებია. ზოგი ქვები ახმარეს ხიმშიაშვილების სასაფლაოს გარშემოსავლებელს კალავანს, ზოგი ქვებით იქვე ახლოს წყარო გააკეთეს, ეს წყარო დღევანდლამდის არის დაშთენილი ჯა-

მეს გვერდით. და ზოგი ქვები სოფლელებმა გაზიდეს სახლების საკეთებლად. ეკკლესიის კედლებზედ დადგეს ხის ჯამე. გავიდა რამდენიმე ხანი და ხის ჯამე დალპა, დამპალი დააქციეს და მის ალაგას ახალი დადგეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ახმედ-ფაშას სახლ-კარი და სარაიაც დაიქცა და ყველაფერი გაფუჭდა. ამის შემდეგ არ გავიდა დიდი ხანი, რომ ხულოში მტერიც მოვიდა და ყველაფერი დაიმორჩილა. მტრის მოსვლას ვერც არა ეკკლესიის დაქცევამ უშველა და ვერც არა სხვა სიმაგრეებმა. ძველები იტყოდნენ ხოლმე, რომ ახმედ ფაშამ ეკკლესიის დაქცევით ღმერთი გაარისხა, კარგი საქმე არ ჰქნა! ხალხი იტყოდა ხოლმეო, რომ მისი სახლ-კარიც ისევე დაიქცევაო. და ეს თქმულობაც მართლა აღსრულდა. დღეს მისი სახლ-კარი ხულოში ნანგრევად არის ქცეული და ქვებს სოფლელები მიეზიდებიან აქა იქ სახლების საკეთებლადაო.

მე ვნახე ხულოს ჯამეს საძირკველი, ხიმშიაშვილების სასაფლაოს კედლები, ჯამეს გვერდით გაკეთებული წყარო ხულოში ყოფილა, და აწ დაქცეულ ხიმშიაშვილების სახლში ძლიერ ბევრი ჩუქურთმიანი ქვები აღმოჩნდა, რომელთაც ცხადად ეტყობა, რომ ისინი წინად ეკკლესიის უნდა ყოფილიყვნენ.

---

(ჩაქვისთაველის ღრმად მოხუც ყალ ს ჩიჯძავაძის ნაამბობი).

აჭარაში გათათრების საქმე ერთობ გაძნელებულა. ზოგიერთი მოხუცებული კაცები და ნამეტურ დედაკაცები ქრისტიანობაზედ მტკიცედ იდგნენ და თან ოსმალოს მოლა-ხოჯებსაც ეკამათებოდნენ და ედავებოდნენ; ამ მოხუცებულებს ყოველთვის და ყველგან სულ ქრისტიანობაზედ ჰქონდათ ლაპარაკი. ახალგაზრდებს ყოველთვის იმას ელაპარაკებოდნენ, რომ ეგების ოდესმე თქვენის ძველების სჯულზედ გადახვიდეთ თქვენაო. ასეთ მოხუცებულთ რიცხვი აჭარაში დიდი ყოფილა; ამათ თურმე მოლა-ხოჯებს გაუჭირეს საქმე. ბოლოს მთავრობისაგან ასეთი ბრძანება გამოსულა, რომ ყველა ეკკ-

ნი დაიჭირეთ და გაათათრეთო, თუ არ გათათრდნენ მერე დახოცე თო. მალე აჭარის მოხუცებულნი შეუკრებიათ და აქა-იქ ციხეებში დაუმწყვდევიათ, საპატიმროებში ხოჯები მიუგზავნიათ და ხოჯებს ლოცვები დაუწყიათ. ზოგიერთი მოხუცებულები მიუზიდნიათ მაჭამ დიანობაზედ და ზოგნი კი ვერა. ვინც ვერ მოაქციეს, ესენი აჭარ წყლის შესართავთან მიურეკიათ, სადაც ძველად თამარ მეფის ხიდი ყოფილა და რომელ ხიდის ნიშნერიც დღესაც სდგას. ამ ხიდზედ დაუდვიათ თავ-საკვეთი, მოხუც ქრისტიანებს თავს სჭრიდნენ, მერე ენის წვერსა და ფაშას უგზავნიდნენ თავსა და ტანს კი ჭოროხში ჰყრიდნენო. ეს საქმეები მომხდარა ამ ასის წლის წინად, ქ. ი. 1790 წლებში.

---

მაჭახლის გამაჰმადიანება.

(ნაამბობი სოფ. ბაზარეთში და ძნელიეთში მოხუცებულ მაჰმადიანის ძნელაძის და სხვა მოხუცებულ მაჰმადიანებისაგან).

მაჭახელში მთლად გათათრდა ხალხი, მაგრამ სოფ. ევფრატის ხალხმა-კი დიდხანს შეინახა ქრისტიანობით თავი. ამათ ოსმალებიც ხმას არ სცემდნენ, რადგანაც ძველთაგან ბრძანება ასე იყო, რომ ევფრატის გათათრება არ შეიძლებაო. ძველად იქ თამარ მეფის სახლი და დიდი ეკკლესია ყოფილა. ამ ეკკლესიაში მარხია თამარ მეფე და იქ რომ ხალხს დაუწყონ გათათრება, ეს ძალიან ცუდი იქნება და ღმერთი არ იყაბულებსო. გარდა ამისა მის ზემოდ კარჩხალის მთა არის, იქ ეშმაკებით სავსეა, ბევრი ღამეები და არწივები არიან დაბმულნი, გამაჰმადიანების დროს სულ აწუხებდნენ. იგინი ჩამოვლენ ძირსა და ხალხს დასჭამენ, ადარც ერთს ოსმალს ცოცხალს არ გაუშვებენ და „გვანცალელაც“ ვინ იცის რაებს იზავსო. ჩვენები ევფრატის გამაჰმადიანებას ხელს არ ჰკიდებდნენ; რამდენიმე ხნის შემდეგ ოსმალოს კაცები მოვიდნენ აქ. ესენი მიუსიეს ევფრატს. ამათ დაიჭირეს იგი და ამათის ძალ-დატანებითაც გაამაჰ-

მალიახეს ხალხი და მერე აქედგან კარჩხალის მთაზედ ავიდნენ და იქ ნახეს თამარ-მეფის სასახლე, საიდგანაც ის მთელს მაჭახელს დაჰყურებდა. ნახეს მისი ხაზინა, ტბა, სასახლეები და დუქან ბაზარი და ეკკლესიები. ყველა ესენი დააქციეს, დაანგრიეს და ამის შემდეგ უკან დაბრუნდნენ, გურჯებმა ამაზედ ბევრი იწუხეს და იტირეს, მაგრამ ვერაფერი ჰქმნეს მაჭახელი მთლად გათათრდა და ეფრატ-შიაც ყველაფერი დააქციეს. ეფრატელები გამაჰმადიანების შემდეგ ჩუმად კიდევ დიდხანს ქრისტიანობდნენ, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყეს. როცა ბათუმის ფაშამ შეიტყო ეს ამბავი, ესენი დაიბარა და ძლიერ შეაშინა: თუ დღეიდგანვე ნამდვილი მუსლიმანები არ გამხდარხართ, მაშინ მე თავებს დაგჭრით სუყველას თქვენ და გაგაქრობთ მიწაზედ. ესენი მაინც დიდხანს არ ივიწყებდნენ და არ სტოვებდნენ თავიანთს ძველს წეს ჩვეულებას.

მაჭახლის შესახებ ბევრნი ამბობენ, რომ გამაჰმადიანების გამო ყველაზედ ბევრი სისხლი მაჭახლელებს დაუღვრიათ. ამდენი სისხლი არც აჭარელთ, არც ზეგნელთ, არც ლივანელთ და არც სხვათ არ დაუღვრიათ, რამდენიც მაჭახლელებს. რაც აქედგან ხალხი გაიქცა გურჯისტანისაკენ, იმდენი ხალხი არც ერთის აჭარის მხრიდგან არ გაქცეულა იქითკენაო. მაჭახელი ძალით არის გათათრებული და ძალითვე გაქართველდებაო. მაგრამ ჩვენში თქმულობა არის, რომ ეს ისევ უნდა გაქართველდეს, უამისობა არ იქნებაო. ამბობენ და ჩვენი ძველებიც იტყოდნენ ხოლმე, რომ ერთს ღამეს, ხერთვისის ეკკლესიასთან ოსმალები დაესხნენ თავს ჩვენს ძველებსა და სულ დახოცეს, რადგანაც მათი ბაირამი იყო. ღამე ეკკლესიაში შეგროვილიყვნენ, სანთლები დაენთოთ და აშკარად ლოცულობდნენ ოსმალების გასაჯავრებლად და ოსმალებმაც ამიტომ დახოცეს ყველა იქ მყოფნიო. ამაზეა ნათქვამი, რომ ჩვენმა ძველებმა წითელის კვერცხისთვის ასი კაცი მოაკვლევინეს ოსმალებსაო. ვაი რა ჩერჩეტები ყოფილანო!..

ლაზისტანის ოსმალნი ლივანაში შემოვიდნენ და აქედგან მაჭახელში, მაჭახელი მათ მაგრად და გულადად დახვდა; მაჭახლის ხალხი მეტად მაგარი და გაუტეხავი ხალხი იყო; ესენი ადვილად

არ ჩაბარდნენ მაჰმადიანებს, ბევრი იჩხუბეს, მაგრამ ბოლოს მაინც ვერაფერი გააწყეს და ჩაჰბარდნენ ოსმალებს. ოსმალთ მაჭახლელებს მალე გამაჰმადიანებაც გამოუცხადეს; ეს ამბავი მაჭახლის ხალხს დიდად ეჯავრა. ამის გამო დაიწყეს ჭოჭმანობა და ბოლოს ოსმალოს წინააღმდეგ ჩხუბი ასტეხეს, გამაჰმადიანება არ გვინდაო. ოსმალთ ამაზედ ძლიერ ბევრი მაჭახლელები დახოცეს. მაჭახლელებიც ბევრს ხოცავდნენ ოსმალთ, მაგრამ საქმე მაინც მაჭახლელებს გაუჭირდათ, რადგანაც ოსმალნი თოფ-იარაღით იყვნენ და მაჭახლელებს კი არაფერი ჰქონდათ. ბევრი ხოცვის შემდეგ ოსმალთ სისხლის ღვრას თავი გაანებს. ამათ სხვა ნაირის ოსტატობით დაუწყეს გამაჰმადიანება. ვინც არ მაჰმადიანდებოდა, იმას დიდს ხარჯს ადებდნენ, სამართალში უკან აყენებდნენ, მოწმად არსად იღებდნენ, უბრალო დანაშაულობის გამო სჯიდნენ, სულ უბრალო საქმის გამო მამულებს ართმევდნენ და იმ პირებს აძლევდნენ და ჰმატებდნენ, ვინც ახლად იყვნენ გამაჰმადიანებულნი; ახალ გამაჰმადიანებულთ ადიობსაც აძლევდნენ, ზოგს ბეგიობასაც. ასეთი საქმეებით გაავრცელეს აქეთ მაჰმადიანობა და იმიტომ იტყვიან ამაზედ, რომ მაჭახელი ნებით არის გათათრებული და ნებითვე გაქართველდებაო.

მაჭახელში ძველად საკმარისად გამოჩენილი აზნაურის გვარი იყო ძნელაძეების გვარი. ესენი სცხოვრებდნენ სოფელ ძნელიეთსა და ბაზარეთში, ამათ ებარათ რამდენიმე სოფლის ხალხი და გამგეობა. ძნელაძეებს გარდა მაჭახელში სხვა აზნაურებიც იყვნენ, მაგალითად ქავთარაძეები, რომელნიც ადვილად გამაჰმადიანდნენ და ამიტომ ოსმალთ ამათ ბეგიობა მისცეს. ისევე აზნაური ზაქარიაძეები, რომელნიც ბეგებად იქმნენ წოდებულნი, და მრავალიც სხვა გვარის ხალხნი გამაჰმადიანდნენ ადვილად. მაჭახელში მაჰმადიანობა მოიფინა და სოფ. ძნელიეთამდე და ბაზარეთამდე მიაღწია. აქ დაბარებულ იქმნა ჩვენის ძველების ერთი უფროსი ძნელაძე, დიდის მამულ-დედულის პატრონი, ამას გამოუცხადეს გამაჰმადიანება იმ პირობითვე და იმ საჩუქრებით, როგორც სხვები გამაჰმადიანდნენ. ძნელაძემ უპასუხა:

— მე არც გავმაჰმადიანდები და არც თქვენი საჩუქარი მინდა,

ქრისტიანობას მაჰმადიანობაზედ არ გავცვლი. ეს არას დროს არ იქნება. მე ამას ნუღარ მეტყვით, თორემ ჩხუბი მოხდებაო. მაჰმადიანობა ამას ცუდი რამე ეგონა, ოსმალთ ძლიერ ეწყინათ და უთხრეს:

— კარგი, მაგრამ ბევრს შეგანანებთო. ძნელაძემ მიუგო:

— ნება თქვენი გახლდესთ! რამდენსამე ხნის შემდეგ ოსმალთ აუტეხეს დავა, დაუწყეს ცილის-წამება, ჰბრალდებოდა ტყუილად კაცის კვლა, გაქურდვა, ახალ გამაჰმადიანებულების შეწუხება და სხვანი. თავს მართლულობდა, მაგრამ უბრალოდ. ოსმალნი ძალიან სჩაგრავდნენ ასეთი ბრძოლის გამო მას ხელიდგან წაუვიდა თავისის მამულების უმეტესი ნაწილი. ოსმალნი ეუბნებოდნენ:

— გამაჰმადიანდით და ყველაფერს გაპატიებთ, ყველაფერს გაჩუქებთ, ძნელაძე ეტყოდა:

— გვარად ძნელაძე ვარ და საქმითაც ძნელაძე უნდა ვიქმნე. მე, აი ეს ყელი და ენა რომ მომჭრათ, მაინც არ იქმნება, არ გავმაჰმადიანდები. რათ უნდა გავთათრდე, ჩვენმა სჯულმა რა დაგიშავათ, რა გიყოთ, მე ვერ ვიზამ, ჩვენ ფიცი გვაქვს მიცემული, რომ ვიდრე ძნელაძეებს პირში სული გვიდგას, მინამ ჩვენ ჩვენს სჯულს და ქვეყანას არ ვუღალატებთ. სხვებს თუ ნებავთ ჩემს ცოლშვილებს გამაჰმადიანდნენ, მე ნურავინ მერიდებაო. ამ კაცის მეგვარეებს და მოყმეებს დიდი მორიდება ჰქონდათ ამ პირისა; ამისთ ჰრცხვენოდათ და ვერ მაჰმადიანდებოდნენ. რამდენისამე ხნის შემდეგ ესენიც გამაჰმადიანდნენ. მალე გამაჰმადიანდნენ თვით ამ კაცის ძმები და შვილებიც, მაგრამ ეს არ გამაჰმადიანდა. ამის გამო იგი შეებრძოლა ოსმალთ და ამ ბრძოლის დროს მთლად დაჰკარგა თავისი მამულება და დარჩა ცარიელი. გაღარიბდა, გაღატაკდა, მაგრამ თათრობა მაინც არ მიიღო. ასეთს სიღატაკეში მყოფი ავად გახდა, სიკვდილზედ მივიდა. ამ დროს მაჭახელი მთლად გამაჰმადიანებული იყო, მღვდლები აღარსად იყვნენ, იქიდგან გარეკეს და ეკლესიებიც დაანგრიეს. ზოგი ჯამედ გადააკეთეს. ეფრატის ეკლესიაც მაშინ დაუქცევიათ. ავად-მყოფ ძნელაძეს საქმე გაუჭირდა.

სიკვდილის წინად ძნელაძემ შვილები დაიბარა და უთხრა:

— ეს არის, ვთავდები, ვჰკვდები, აქ ბევრი ვეწვალე, ბევრი ვიტანჯე ჩემის სჯულის გულისათვის დავჰკარგე ყველაფერი, ჩემი მამა პაპის მამული ოსმალებმა წამართვეს შარებით და მისცეს იმათ, ვინც ადვილად გამაჰმადიანდნენ. თავიანთ სჯულს გადაუდგნენ, საქართველოს უმტრეს და თათრებს მიემხრნენ, მით დაღუპეს მაჭახელი. მე თქვენ ყელები დაგჭერით, ცალიერი გამიშვით, ჩემის გულისათვის ოსმალებმა თქვენც არაფერი მოგცეს, რადგანაც ჩემი ჯავრი სჭირდათ. ახლა მე ვჰკვდები, ვჰკვდები დიდის მწუხარებით და ჩემის მამა-პაპის სჯულზედ, რომელიც მე დიდის ტანჯვით შევინახე. ახლა ჩემი მწუხარება ის არის, რომ ჩემის სიკვდილის შემდეგ ჩემი დამარხვა, ვაი თუ ქრისტიანულის, ქართულის, ჩემის მამა-პაპის წესით არ მოხდეს! თქვენ გამაჰმადიანებული ხართ და მაჰმადიანურად დამმარხავთო. სიკვდილის დროს ბევრი იტირა მან, ბევრი ეხვეწა თავისს ნათესავებს, რომ ქრისტიანულად დამმარხეთო. ამათ ფიცი მისცეს, რომ მღვდელს მოვიყვანთ და ისე დაგმარხავთო. ამ დაპირების შემდეგ ძნელაძე გარდაიცვალა.

მიცვალებულის ძნელაძის ნათესავები წავიდნენ ართვინში და იქიდან მღვდელი მოიყვანეს. მღვდელმა უწირ-ულოცა და როცა მიცვალებული წაიღეს, მაშინ ზოგიერთ ახალ გამაჰმადიანებულებმა უყვირეს:

— მღვდელო, უნათე, მღვდელო უნათეო და სხვანი. ანასუნი იმის მამას, ქოვაკს, წაიღეს და აი, ამ პატარა ეკკლესიაში დამარხეს. რა უჭირდა, ბატონო, რომ გამაჰმადიანებულიყო? ან ჩვენ რაზე დაგვღუპა და იმოდენა მამულები რაზე დაჰკარგა, ჩვენ რად ჩაგვაგდო ამ დღეში და ან თვით რას იტანჯებოდა? ხომ ნახა, რომ გაჩენილ ღმერთის ბრძანებას ვერას უზამდა! ის არ გათათრდა, მინამ ცოცხალი იყო, აქა იქ თითო-ოროლა კაცს კიდევ ეკავა ქრისტიანის სჯული და ის რომ მოკვდა, მის შემდეგ-კი მაჭახელაში ერთი კაციც აღარ დარჩენილა, ყველა გამაჰმადიანებულა და საქმეც დაწყნარებულა და მორჩენილა. იმერეთსა და ქართლ-კახეთში მცხოვრები ძნელაძეები სულ აქედამ არიან გასულნი თათრობის გამო მაშინ, ძნელაძეების ერთ სოფ. 30 კ. ყოფილა.

## ზედა აჭარის გამაჰმადიანება.

(ნაამბობი სოფ. ნიგაზეულში ყადი ნური ეფენდი ბერიძის მიერ, სულეიმან გელაძის გურჯ-ოღლის მიერ და სხვათა მაჰმადიანთ ქართველთა).

ქვედა აჭარაში თათრობა უფრო ადრე შემოსულა, ვიდრე ზედა აჭარაში. ახალციხის მხარეში კი უფრო ადრე მოფენილა მაჰმადის სჯული, ვინემ ზედა აჭარაში, სხალტის ხეობაზედ, ტბეთის ხეობაზედ, შავშეთამდის. ახალციხიდან თათრობა უფრო არდანუჯისკენ და არტაანისკენ გაუვრცელებიათ; მცირე ხნის შემდეგ შავშეთსა და იმერხევშიაც შემოუტანიათ და ამას აქეთა მხარე აღმოსავლეთის აჭარის ნაწილი-კი დარჩენილა ქრისტიანობაში. ამათ კარგა ხანს შეუნახავთ თავი ქრისტიანობით, მაგრამ ბოლოს საქმე გასჭირვებიათ, რადგანაც ესენი შუაში ყოფილან მომწყვდეული და გარშემო-კი სულ ახლად გამაჰმადიანებული ქართველები ჰყოლიათ შემორტყმული. ამათი საქმე მაშინ გაჭირვებულა, როცა ქვედა აჭარის ერთი ნაწილიც გამაჰმადიანებულა და აქედან ნელ-ნელა ზედა აჭარის ზოგი ერთ სოფლებშიაც შეუპარებიათ. ყველაზედ მაგრად ქრისტიანობაზედ სოფ. დანდალოს ხალხი მდგარა, მაგრამ მალე აქაც შეუტანიათ ძალდობით. დანდალოდან წასულა აღმოსავლით და სხალტის სოფლებს მიახლოვებია, მაგრამ სხალტის გარშემო და ხულის ხეობაში კი ეს ადვილად ვერ შეუტანიათ. აქ ხალხი მეტად გამაგრებულა. აქ ისე გამაგრებულან, რომ ოსმალოს ჯარს გარდა ამათ თვით ახალ გამაჰმადიანებულის ქართველების წინააღმდეგაც დაუწყვიათ ბრძოლა, ამ ბრძოლაში დიდის გმირობით უბრძოლიათ დანდალოს ხალხსა და ხულისას. დანდალოში ოსმალოს ჯარიც ყოფილა, ამათ დაუქცევიათ დანდალოს ეკლესია. დანდალოს ეკლესიის დაქცევა ძლიერ სჯავრებია ხულის ხეობის ხალხს და ამიტომ ამათ ოსმალოსთვის არამც თუ მარტო მუსლიმანობის გულისთვის გამოუცხადებიათ წინააღმდეგობა, არამედ თვით ოსმალოს მფლობელობისათვისაც, რომ ჩვენ თქვენი მორჩილება არ გვინდაო.

ოსმალთ რა უნახავთ საქმის გაჭირვება, ამათ ხულის ხეობის-

თვის თავი დაუნებებიათ და მიუმართავთ სხალტისა და ტბეთის მხრის სოფლებისათვის: აქ ამათ მოწინააღმდეგენი არავინ აღმოუჩენიათ. ორივ მხრის ხალხს ოსმალოსთვის ძლიერ მალე დაუკრავს თავი. ტბეთის ეკკლესია მალე გაუქმებულა, სამღვდელონი აქ აღარ ყოფილან და საეკკლესიო ნივთები. აქ გამაგრებული ოსმალონი სხალტისკენ წასულან, აქ შეუსყიდნიათ სხალტის მოწინავე კაცები და მათის დახმარებით შესულან ხულოში; ამ მხრის ხალხისათვის დამდგარა დიდი განკითხვის დღე, მაგრამ მაინც ესენი ომს არ შეშინებიან. ამათ დაუწყიათ ომი და ოსმალოს ჯარისათვის ბევრიც უვნიათ, მაგრამ ბოლოს მაინც დამორჩილებულან ოსმალთ. მაშინათვე დაუწყიათ აქ სჯულის გამოცვლის შესახებ ლაპარაკი და უთქვამთ ასე: — თუ სჯულს გამოიცვლით, ხომ კარგი, თუ არა და იცოდეთ, რომ ჩვენ თქვენ აქ აღარ დაგაყენებთ, თქვენს მოწინავე პირებს თავებს დავსჭრით და დანარჩენს ხალხს კიდევ შამაისკენ გადაგრეკავთო. ბევრი მაინც მაგრად მდგარა, ბევრს შეშინებია და ბრძანებას დამორჩილებიან კიდეც. აქაც მოფენილა თათრობა და ამის გაძლიერებისათვის დიდად ცდილან ოსმალონი. ამათ მალე დაუქცევიათ ხულოს მშვენიერი დიდი ეკკლესია ნახევრობაზედ და ხალხისათვის აღუკრძალავთ სასტიკად, რომ ვინც აქ ილოცებს, იმას ჩვენ, თუ შევიტყეთ ეს ამბავი, იცოდნენ, რომ სასტიკად დავსჯითო. ხალხს დროებით მიუტოვებია ლოცვები, ოსმალთა დასამშვიდებლად, და საქმე დაწყნარებულა. დღეს ხულოს ეკკლესიის საძირკვლებზედ გაკეთებულია ხულოს დიდი ჯამე; ეკკლესიის საძირკვლის სიპი ქვები დღევანდლამდე ეტყობა. ეს ამბავი ბევრმა მოხუცებულმა იცის. ხულოდან ოსმალნი წასულან აჭარისკენ და სადაც რამ ეკკლესიები შეხვედრიათ, სულ უქცევ-უნგრევიათ. ნახევრობაზედ დაუქცევიათ იმ დროის აგარაში გაკეთებული ძველი მშვენიერი ეკკლესია. მთელს მხარეში მაჰმადიანობა მოფენილა და ოსმალოს მოლა-ხოჯებს ხალხისთვის ლოცვების შესწავლა დაუწყებინებიათ და მალე დარწმუნებულან ქართველთა ნამდვილს მაჰმადიანობაზედ.

მაჰმადიანობის დროსაც ესენი თურმე არ სტოვებდნენ ქრისტიანულს წესებს და ყოველს საქრისტიანო დღესასწაულებსაც დღე-

ასწაულობდნენ. მაგალითად აქ აღდგომას დუშავდნენ წითელს კვერცხებს და წაიღებდნენ ხოლმე სხალტის ეკკლესიაზედ და შესწირავდნენ, ხულის ეკკლესიის ნანგრევებთან, აგარის და სხვათა მხრის ეკკლესიებთან. ეს ჩვეულება ხულის ხეობაში დღევანდლამდე არის დაშთენილი და აქ დედაკაცები დღესაც შეღებენ ხოლმე კვერცხებს და აღდგომა დღეს ზოგიერთ ეკკლესიის ნანგრევებთან მიიტანენ. ქართველთ ქრისტიანულ წესების ამბები მალე იქმნა ოსმალთათვის ცნობილი. ოსმალთა სასულიერო პირნი დიდად აღელვდნენ ამაზედ. მათ მოუწერეს ხონთქრის რისხვა სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილის შამას აბდულ ბეგს, რომ მაგ მხარეში ყველა ეკკლესიები უნდა დაიქცეს და ხალხს აღეკრძალოს ეკკლესიის ნანგრევებთან სიარული და ლოცვაო. აბდულ ბეგი ოსმალოს ჯარით დაეცა მთელს ამ მხრის სოფლების ეკკლესიებს და სულ მთლად პირქვე დასცა, დაანგრია; გადარჩა მხოლოდ სხალტა და ტბეთის ტაძარი. ესენი იმ აზრით არ დაუქცევია აბდულ-ბეგს, რადგანაც ამ ეკკლესიის ჯამეთ გადაკეთება სურვებია. ეს ტაძრები მალე ჯამეთაც გადაუკეთებიათ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებისა გამო ეს ტაძრები ჯამეთ დიდხანს არ დარჩენილან, ხალხს თურმე ცუდი სიზმრები ესიზმრებოდა ამაზე და ამიტომ აქ სალოცავად არ დადიოდნენ. მალე ჯამეები მოიშალა აქ და დატოვებულ იქმნენ. იმ დროებშიაც აქა-იქ საიდუმლოდ ქრისტიანობდა ხალხი, ერთს და იმავე დროს ესენი მაჰმადიანურს ლოცვებსაც ასრულებდნენ და ქრისტიანულსაც. ეს ამბები ერთმა ოსმალოდან მოსულმა ქართველმა ხოჯამ შეამჩნია. ამან დაიწყო ჩუმ ქრისტიანებთან მეგობრობა და თავის თავს საიდუმლო ქრისტიანად აღიარებდა, ესეც სიამოვნებით მიიღეს ჩუმ ქრისტიანებმა და ყველა საიდუმლო ქრისტიანები გააცნეს მას, გააცნეს ჩუმი სამღვდელო პირნიც, რომელნიც ერის კაცის ტანთსაცმელით იყვნენ მოსილნი. მოლა კარგად დაუმეგობრდა ამათ, თავს ნამდვილ ქრისტიანად აჩვენებდა. ასეთის მოტყუებით მოლამ ჩუმ ქრისტიანებას შესახებ ძლიერ ბევრი ცნობები შეჰკრიბა. ამან შენიშნა, რომ ზედა აჭარაში ყველა სოფელში თითქმის საიდუმლოდ ყველა ასრულებს ქრისტიანულს წესებსაო. თუ ვინ იყვნენ აქ ქრისტიანულის წესებს მოვარ-

ველნი და მღაღადებელნი, ამათი ცნობებიც კარგა სარწმუნოდ შეჰკრიბა, და ბოლოს ეს საიდუმლო ქრისტიანი გადგა თავისს მოძმე ქართველ ჩუმ ქრისტიანებისაგან და ოსმალოს მთავრობას მისცა ყველა ამათზედ დაბეზღება. ამ ამბავმა დიდად გააკვირვა ოსმალნი. დამბეზღებელს მაშინათვე საჩუქარი მისცეს და ხალხის შესაშინებლად და ქრისტიანულის წესების მოსასპობად ამათ შემოიტანეს კაცის თავის მოჭრა, კლდიდგან გადაგდება, დარჩობა, დაკუწვა და ათასი სხვანი. მაგრამ ეს ვერ დაინახეს სასარგებლოდ, რადგანაც ყველა ჩუმი ქრისტიანი რომ მოეკლათ, მაშინ მთელი მხრის ორი ნაწილი ხალხი გაწყდებოდა. ამიტომ ესენი სხვა გზას დაადგნენ.

---

## ჭვანის ხეობის გამაჰმადიანება.

(ჭვანელის გვათუასაგან ნაამბობი).

სამეგრელოში გვათუამ რაღაც დააშავა. სამეგრელოს მთავარიმას სასტიკად დაემუქრა. გვათუა სამეგრელოდგან ზეგანში გამოიქცა, სოფელს ჭვანში მოვიდა, დასახლდა, მალე თათრობაც მიიღო, შემდეგ წავიდა სამეგრელოში, მოტყუებით წამოიყვანა თავისი ცოლშვილი და მოყვანისათანავე ყველა ესენი ჭვანში გაათათრა. შემდეგ ამისა გვათუამ საქართველოს გოგო-ბიჭის ტაციაობა გაიხადა საქმად და ამით ვაჭრობდა თითქმის. ეს დიდს დახმარებას აძლევდა ოსმალთ, რომ ამათ სამეგრელოში მაჰმადის სჯული შეეტანათ და გაევრცელებინათ. უკანასკნელ გვათუები საშინლად წახდენენ და ამის შემდეგ ოსმალეთში გადასახლდნენ. დღეს მხოლოდ ერთი მოხუცი და სცხოვრებს ჭვანაში და ესეც გარდამეტი მტერი ქართველთა, და დიდათ მოწადინე ქაბაში წასვლისა. ამან მითხრა ასე:

— მე ძლიერ მებრალება, რომ შენ, მაგეთი წმინდა ოსტატი კაცი, სიკვდილის შემდეგ უნდა წაწყმდე. ცოდო არა ხარ შენა, რომ ჯოჯოხეთში წახვიდე? გამაჰმადიანდი, რომ შენი სული სიკვ-

დილის შემდეგ სამოთხეში წავიდეს; გთხოვ, რომ მექაში წამოხვიდე.—გვათუების მეოხებით ბევრი მეგრელი გამაჰმადიანებულა. ესენი თურმე მეამბოხე მეგრელს სამეგრელოდგან თვისკენ იხმობდნენ, ზეგანში ასახლებდნენ და მერე ამაჰმადიანებდნენ. 1790 წლებში ამათ მიუმხრიათ 30 მეგრელი და მალე ყველა ესენი გაუმაჰმადიანებიათ. ამათ იქ ცოლები შეურთავთ და მერე სამეგრელოზედ გათარეშება უწყიათ და ტყვეების ტაცობა და ოსმალში გაყიდვა.

---

(დევრიშ ბეგ ბეჟანიძის ნაამბობი).

სოფელს „ვაიოს“ ქართველების გამაჰმადიანებამდე სხვა სახელი ჰრქმევია. აი როგორ: „ვაიოს“ გაღმა მხრის ქართველნი გამაჰმადიანდნენ. სოფელ „ვაიოს“ მხრის სოფლის ქართველნი ხალხნი-კი ქრისტიანად დაშთნენ. გამაჰმადიანებულნი მიეცნენ თათრულს ცხოვრებას,—ზნესა და ჩვეულებას. ქალებმა პირზე პირ-ბადე ჩამოიფარეს, ქრისტიან და გამაჰმადიანებულ ქართველებთან მორიდება დაიწყეს, აღარ ვის ეჩვენებოდნენ. ქრისტიან ქართველ ქალები-კი ყოველთვის პირ-ბადე ახდილნი იყვნენ და ყველას თავისუფლად ეჩვენებოდნენ, ახალ გამაჰმადიანებულ ქართველებს თათრების ყველაფერი მოსწონდათ, გარდა ქართველებისაგან პირის დამალვისა. ამათ ძლიერ ენატრებოდათ ახალ გამაჰმადიანებული ქალები, რომ ქრისტიან ქართველ ქალებივით პირ-ახდილნი ყოფილიყვნენ. მაგრამ რას იზამდნენ! ახალ გამაჰმადიანებულნი ძლიერ ეტრფოდნენ ქრისტიან ქართველ ქალებს.

ერთი გამაჰმადიანებული ქართველი გადაეკიდა ერთ ქრისტიან ქართველის გოგოს, მაგრამ გოგო არ მიჰყვებოდა ამას ცოლად, რადგანაც ეს ეუბნებოდა მას, რომ შენ მაჰმადიანი ხარო. ისევ გაქრისტიანდი და მაშინ შეგირთავო. საქმე დიდხანს განეგრძო. ბიჭმა თვალ-თვალება დაუწყო გოგოს. ერთხელ გოგო თავის მშობლებმა წისქვილში გაგზავნეს და თან ხორბალი გაატანეს. გოგო წისქვილ-

ში მიმავალმა ბიჭმა დაინახა, გოგოს წისქვილში მისვლისას რამდენიმე კაცი თავზედ დაეცა და მოიტაცა. ამ მოტაცების დროს გოგომ მორთო ყვირილი.

„ვაი, ვაიო!“ მიშველეთ, მიშველეთ, დამიჭირეს ამ სჯულგამოცვლილებმა.

მაგრამ მშველელი არავინ გაჩნდა, გოგო გაიყვანეს გადმა, ახალ გამაჰმადიანებულ ქართველებში, ქალმა ბევრი იდარდა, იწუხა, იტირა, ეხვეწებოდა ასე:

— ნუ მათათრებთ, დამანებეთ თავი, თორემ თავს მოვიკლავ. მოვიწამლავ. არ ვიცოცხლებ.

ძალით გაამაჰმადიანეს და ბიჭზედ ახტი უქნეს (აქორწინეს). ზემოხსენებულ სოფელს ამ შემთხვევის გამო დაერქვა სახელად „ვაი-ვაიო“.

სოფ. ვაიოზედ ბევრნი კიდევ სხვა ამბებს ლაპარაკობენ. ვაიოში ქრისტიანობის დროს ერთი დიდი მშვენიერი ეკკლესია ყოფილა,—ერთიც პატარა. დიდი ეკკლესია დაუქცევიათ სელიმ ფაშის დროს და პატარა-კი დაუტოვებიათ. პატარა ეკკლესიის კედლები დღევანდლამდის სდგას. ზოგნი ამბობენ, რომ „ვაიო“ მიტომ დაერქვა იმას, რადგანაც გამაჰმადიანების დროს ხალხი სულ „ვაის“ ჰყვიროდაო; ზოგნი ამბობენ: ამ სოფელს ყიზილბაშები დაეცნენ და როცა აოხრებდნენ, მაშინ ხალხი „ვაის“ ჰყვიროდაო და ამიტომ დაერქვა. ზოგნი ამბობენ, რომ როცა ქართველებს ამაჰმადიანებდნენ, მაშინ ბევრნი არ გამაჰმადიანდნენ და ცოცხალნი დარჩნენ, თავიანთს ნათესავებს ჰკლავდნენ და ტიროდნენ და ჰყვიროდნენ „ვაიო, ვაიო“, და ამიტომ დაერქვაო. ზოგნი კიდევ სხვანაირად ლაპარაკობენ.

და ამის შემდეგ ქრისტიანობისათვის დიდი ტანჯვა და ვაება სოფ. ვაიოს ხალხს გამოუცდიაო. ვაიოს შემდეგ, სატანჯველ ალაგად ქედა ყოფილა დანიშნული. პირველ ხანებში, ვინც არ თათრდებოდა, დაიჭერდნენ, ქედაში მიიყვანდნენ, პარასკევ დღეს, ლოცვის დროს, ჯამეში შეიყვანდნენ, ვინც თათრობას მიიღებდა, ის ცოცხალი შთებოდა, ვინც არა და იმას კარში გამოიყვანდნენ და ლოცვის

შემდეგ ხეზე ჰკიდებდნენ და ახრჩობდნენ, დამხრჩვალები სამ დღეს ეკიდნენ ხეზედ და ახლად გათათრებულ ქართველებს აყურებინებდნენ, ერთ ჯუმა (პარასკევი) დღეს, ქედაში 50 კაცი და დედაკაცი ჩამოჰკიდეს ხეებზედ და დაახრჩეს სჯულის გამო 1765 წლებს.

---

## დანდალოს გამაჰმადიანება.

(ქართველ მაჰმადიანთ ჯვალიანთ-ქუჩარში დარჩენილი სოფ. დანდალოში)

აჭარაში გათათრების გამო ყველაზედ დიდი ბრძოლა დანდალოს ხალხმა გამოიარა. ამათი გმირობის საქმეები ყველასათვის საკვირველი და სამაგალითო ყოფილა. მთელი დანდალო მკაცრად დადგა ოსმალოს წინააღმდეგ სჯულის გამოცვლის გამო, თვით დედაკაცებმაც კი აიღეს ხმალ-ხანჯალი ხელში და ოსმალოს წინააღმდეგ გამოვიდნენ საბრძოლად. ამათ გადაწყვიტეს, რომ ან მამაპაპის სჯულზედ უნდა დავრჩეთ და ან უნდა გავწყდეთო, ჩვენი გათათრება არ შეიძლებაო. ამათ დაიწყეს ბრძოლა. საკვირველი საქმე დაჭმართეს ოსმალთ, ოსმალნი ათასობით დახოცეს, მაგრამ ბოლოს მაინც ოსმალნი მოერივნენ, რადგანაც ამათ მიიშველიეს ახალ გათათრებული ქართველნი. დანდალოს ერი დამარცხდა და ამ დამარცხებით მთლად გაწყდა ხალხი, გაწყდა ისე, რომ არსად ერთი კაციც არ დარჩენილა, ქალი ბავშვი და სხვანი მთლად დახოცეს, გაწყვიტეს, რადგანაც ამათ დიდი ზარალი მისცეს ოსმალთ, დიდძალი ხალხი დაუხოცეს, ამის გამო მოსპეს ოსმალთ ესენი და ვინც დარჩა, ისინიც ოსმალში გარეკეს. მთელი დანდალო ცარიელი დარჩა. სახლები, სოფლები, უპატრონოთ იყო დაშთენილი და შიგ კაცი არ იყო მცხოვრები.

ამ დროს აჭარაში გაჩენილა ერთი ვიღაც თევდორე ავალიანი. საქართველოში მეფის წინაშე ამას რაღაც სადალატო საქმეები ჩაედინა, ამის გამო ეს სამართალში მიუციათ და მეფეს გაუმტყუნებია, ღალატის გამო სიკვდილი განუწესებიათ. თევდორე ავალიანს დრო

უშოვნია და გაქცეულა აჭარაში, მისულა დანდალოში და ერთ სოფელში დასახლებულა. ამისთვის დახმარებას მიუციათ ახალ გათათრებულებს. ეს მალე სტამბოლში წასულა, გამოსცხადებია სულთანს და მოუხსენებია შემდეგი:

— მე საქართველოდგან გახლავარ, ქართველი, აზნაურშვილი, საქართველოში ცხოვრებას თქვენს მფარველობას ქვეშ შემოსვლა ვარჩიე მე მოველ თქვენს საბრძანებელს აჭარის დანდალოში. დანდალოს სოფლები ვნახე და თქვენ იმ ადგილებს თუ მე მიბოძებთ და მასთანვე აზნაურშვილობასაც დამიბრუნებთ, მაშინ მე მხათ გახლავართ, მაჰმადი ვიწამო, შემოუერთდე თქვენს სჯულს, თქვენი ერთგული ქვეშევრდომი გავხდე და გარდა ამისა ვეცდები, რომ საქართველოდგან ჩემი სოფლის კაცებიც გადმოვასახლო თქვენს სამეფოში, ზემოხსენებულს სოფლებში დავასახლო და რამდენიმე ხნის შემდეგ ისინიც გავათათრო. ამას გარდა მე დიდს დახმარებას აღმოვუჩენ ხოლმე, როცა-კი თქვენი დიდებულება ისურვებს საქართველოზე გალაშქრებას. უბრძანა სულთანმა—კეთილი! მომიცია დანდალო თქვენს საკუთრებად. ამის შემდეგ თევდორე ავალიანი წაიყვანეს გასათათრებლად და მალეც გაათათრეს. გათათრების შემდეგ ეს წამოვიდა დანდალოში და მთელი ეს ადგილები ჩაიბარა. ადგილების ჩაბარების შემდეგ ეს ჩუმად წამოვიდა საქართველოში, თავისს საყმოში ნახა ყმები, საიდუმლოდ გადიბირა ესენი, დანდალო უქო დიდად. თანაც დასძინა, რომ ოსმალნი ხალხს აღარ ათათრებენ, იქ ჩვენ თავისუფლად ვიქნებითო, თქვენცა მარტო ხარჯს გადაიხდითო, ბატონ ყმობაც მოისპობა ჩვენის იქ მისვლის შემდეგაო, ოსმალში ბატონ-ყმობა არ არისო.

ყმებს ბატონის ასეთი რჩევა ძლიერ მოეწონათ, დაიჯერეს ყველაფერი და რამდენიმე დღის შემდეგ ბატონს სურვილი განუცხადეს დანდალოში წამოსვლისა და ადგილების დასინჯვისა. თუ მოგვეწონა, მერე ცოლშვილსაც გადმოვასახლებთო. ბატონი წამოვიდა და საიდუმლოდ თან გამოჰყვნენ შემდეგნი გლეხნი: ჯალაბიშვილი, გელიაშვილი, გიორგაძე, გოგიაშვილი, ტეგელიძე, არზანაშვილი, ბალაძე, ზაქარაშვილი, კაკაშვილი, ბაბუჩაშვილი, ძანაძე და

სხვანი, რომელთა გვარები არა სჩანს. ესენი მოსულან დანდალოში და დანდალო გაუსინჯავთ. დანდალო ძლიერ მოსწონებიათ, ბატონისთვის გადასახლების პირობა მიუციათ. ბატონს ამათთვის მიუცია ძველი ნაოხარი სოფლები, თითო გვარისათვის თითო სოფელი; სოფლებში სახლები მზად ყოფილა, დანდალოს ეკკლესიაც მთლად ყოფილა ამ დროს. სოფლების ჩაბარების შემდეგ ბატონს დააწერინეს ამ სოფლების დამტკიცების ქაღალდი, ამ ქაღალდს შინ წავიღებთ და ჩვენს ცოლ-შვილს ვუჩვენებთ და დავარწმუნებთ მათ ამაზედ, თორემ იქნება ჩვენი სიტყვა არ ირწმუნონ და არ წამოვიდნენ აქეთაო. ეს ქაღალდი ქართულად ყოფილა დაწერილი. გლეხები მისულან შინ, ცოლ-შვილისათვის უამბნიათ ყოველივე დაწვრილებით, თან წერილიც უჩვენებიათ. დაურწმუნებიათ, რომ იქ ბატონ-ყმობაც არ იქნებაო. ბატონს მარტო ხარჯს მივცემთ, ამას გარდა ჩვენ სხვა არაფერი ხარჯი გვექნება, შვილებსაც არავინ დაგვიყიდის, ჩვენი ხელმწიფე ნებას არავის მისცემსო. დედაკაცებიც შეგულებულან და რამდენიმე ხნის შემდეგ ზემოხსენებული პირები თავიანთ ჯალაბებით გადმოსახლებულან და დასახლებულან დანდალოს სოფლებში. სადაც სოფლებში ვინმე დასახლებულა, იმას ამ სოფლისთვის თავისი გვარი უწოდებია სახელათ, ეს სოფლები დღესაც არსებობენ ამ პირების სახელწოდებით და აქ ამ გვარის ხალხს გარდა სხვა გვარის ხალხიც სცხოვრობს.

გლეხნი დასახლებულან, ცხოვრებისთვის მიუყვიათ ხელი და, როცა კარგა მაგრა დამკვიდრებულან და ფეხი გაუმაგრებიათ სოფელში, მერე თევდორე ავალიანს გამოუცხადებია, რომ სულთნის ბრძანება არის, რომ ჩვენ ყველანი უნდა გავმაჰმადიანდეთო. ხალხს არ უქნია. დიდი მწუხარება ჩამოვარდნილა მოხუცებულებში, ტირილი, ვაება; ზოგს საქართველოში გამოქცევა დაუპირებია, მაგრამ ეს ვეღარ მოუხერხებიათ და ბოლოს ასეთი პირობა დაუდვიათ: ჩვენ მოხუცებულნი ჩვენ სჯულზე დავრჩეთ, დავიხოცებით და დღეის შემდეგ რაც შვილები მოგვეცემიან, ისინი სულ მაჰმადიანის წესით იქმნენ მიღებულნიო. ავალიანი დასთანხმებია, ეს სულთანისათვის უცნობებია. სულთანს ამისთვის დანდალოს ბეგიობა მიუცია. იმ

დროიდგან ზემოხსენებულს ხალხში ვინც დაბადებულა, ყველა გა-მაჰმადიანებიათ და თვით მოხუცებულნი-კი ძველის სჯულით დარჩენილან. მაგრამ ამათთვის მოუსპიათ მღვდელი; დანდალოს დიდ-ეკკლესიაც დაუქცევიათ. ხალხი დიდს მწუხარებაში ყოფილა ამის გამო ჩავარდნილი, მაგრამ კიდევ მადლობელნი იყვნენ მასზე რომ ჩვენ მოხუცებულნი მაინც დაგვტოვეს ჩვენს სჯულზედ. რამდენიმე ხნის განმავლობაში მოხუცებულნი მთლად მოისპობილან და ახალ გაზდები ვინც ყოფილან, ყველანი მაჰმადიანები და მასთანვე მოყვარენი მაჰმადიანობისა.

ავალიანები დღეს თვედორ-ოღლებად იწოდებიან, სცხოვრებენ ძლიერ ღარიბად, ზოგნი ამათგანი ოსმალში არიან გადასახლებულნი.

ასეთი საშუალებანი რომ არ ეხმარათ დანდალოს ხალხის გასამაჰმადიანებლად, მაშინ ოსმალნი იმათ წინააღმდეგ ვერას გააწყობდნენ, რადგანაც ეს ხალხი აქ ცხოვრებით და მუშაობით საკმარისად დამდიდრდნენ და ყოველ ოსმალის მოხელეს ფულით ათამაშებდნენ როგორც უნდოდათ. ამათში ქალი, კაცი და პატარა ყოველთვის თავ-განწირულად მუშაობდნენ ყანაში, ვენახში და არაფერს ერიდებოდნენ, ახალ გამაჰმადიანებული ქალები კი საქმეს ახლოსაც არ მიეკარებოდნენ, რადგანაც ხოჯების სიტყვით მათ ქალის მუშაობა მიუტევებელ ცოდვად მიაჩნდათ.

---

(სოფ. მერისელის ქართველ მაჰმადიანის მუხუცას ერისთავის ნაამბობი და სხვების).

ძალით გამაჰმადიანებული ქრისტიანობდნენ და ესენი საიდუმლოდ ღორის ხორსაც სჭამდნენ. ისინი გარეულ ღორებს ხოცავდნენ თურმე ტყეში და ატყავებდნენ. იქ სწვრიდნენ ხორცს და მერე შინ მიჰქონდათ. ქვედა მარადიდში ერთხელ ასეთი შემთხვევა მოხდა: ხოჯას დაუჭერია ხალხი ღორის ხორცის ჭამაზედ. ამაზედ დიდი დავიდარაბა ამტყდარა. ხალხი სამართალში მიუციათ და ბო-

დროს აღმოჩენილა, რომ ესენი ჩუმად ქრისტიანები ყოფილან. მათ თავიანთი მღვდელიც ჰყოლიათ. მღვდელი ერის კაცის ტანთსაცმლით ყოფილა; ამათ ღორის ხორციც უჭამიათ, ღვინოც უწურავთ ხოლმე და მით ზიარებულან კიდევაც. ამ ამბების შეტყობის შემდეგ მთელი ეს ხალხი მიურეკიათ ჭოროხის ნაპირზედ, ამათში ქალებიც ყოფილან ბევრნი; უკან ხმალ ამოღებული ოსმალები დასდგომიან და მოლებს დაუყვირნიათ:

— სთქვით, რომ დღეიდან თათრები ხართ, ქრისტიანობაზე ხელს იღებთ და ღორის ხორცს აღარ სჭამთო.

— არ შეგვიძლიანო, დაუყვირნიათ ერთად ყველას. ოსმალებს მიუგიათ:

— რაკი არ შეგიძლიანთ, მაშ შედით მაგ ჭოროხში და ვინც შიგ გაცურდება, გაღმა გავა, ის დარჩება ქრისტიანად, ვინც არ შევა, იმას ხმალი დახვდება უკან. ამაზე ბევრნი შეშინებულან და გამოუცხადებიათ, რომ დღეიდგან ნამდვილი მაჰმადიანები ვიქნებით და ყველაფერს ბრძანებას შევასრულებთო. ვინც წინააღმდეგნი ყოფილან, ისინი სულ შესულან ჭოროხში; ჭოროხი ამ დროს დიდი ყოფილა და ყველა ეს საბრალოები შიგ დამხრჩვალან და ერთიც არ გასულა გაღმა, ამ დროს ქვედა მარადიდში 50 კომლი იყო და ყველა ესენი ჭოროხში ისე დაიღუპნენ ქრისტიანობის გულისათვის, რომ სოფელში 5 კომლი-ღა დარჩაო და აი ამ მიზეზით მოისპნენ ამ სოფლის მცხოვრებნიო. შემდეგ თურმე დასცინოდნენ მათი შთამომავალნი, რომ ჩვენმა ძველებმა ღორის ხორცის ჭამის გულისათვის თავები ჭოროხში დაიხრჩვესო. ამ შემთხვევის შემდეგ კი მარადიდელნი მთლად გაუმაჰმადიანებიათ და მათი სოფლის ეკკლესიების ქცევა-ნგრევაც დაუწყიათო.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ მარადიდელნი ქრისტიანობის გულისთვის ოსმალების წინ ეწამნენ, დაიტანჯნენ, მათგან დედაკაცებიც კი ებრძოდნენ ოსმალებს და გათათრების გულისთვის სისხლს ღვრიდნენ, მაგრამ არ იქმნა, უკანასკნელ იგინიც მობეზრდნენ ბრძოლას და გათათრდნენ სჯულით. ერთ დამეს, მარადიდის ტყეში, მაღალა,

ერთ ეკკლესიის გვერდით, ექვსმა დედაკაცმა მოიკლა ხანჯლით თავი, ორმა თოკით დაიხრჩო, სამმა მოიწამლა და რამდენი კიდევ სხვა გვარის სიკვდილი ქწამა, ყველას ვერ მოვსთვლით!

---

## აჭარის გამაჰმადიანება.

(სოფ. დერეხოხნაში ნაამბობი ქართველ მაჰმადიანის მოხუცი ლუზგა მხაცკაძისმიერ).

მე რომ შვიდის წლისა ვიყავი, კარგად მახსოვს, რომ მაშინ სოფ. დერეხოხნის ნახევარი ხალხი ქრისტიანები იყვნენ და ესენი ჩუმად ინახავდნენ ქრისტიანობას. ესენი ღამე შეიყრებოდნენ ხოლმე ერთს სახლში, ერთს ჭრაქს დაანთებდნენ, იქ მღვდელი იდგა ხოლმე და ჩუმად ლოცულობდა და ხალხს ალოცებდა. მღვდელს ვერავინ რას შეატყობდა, რადგანაც ის ვაჟკაცურად (ერის კაცად) იყო ჩაცმული. ეს ჩუმი ქრისტიანება მაჰმადიანობასაც ასრულებდნენ, პარასკეობით ჯამეზედაც მოდიოდნენ და ლოცულობდნენ. ასე და ამ გვარად დიდხანს ინახეს ამათ თავი, მაგრამ ბოლოს შეუტყეს ეს საქმეები, ყველანი დაიჭირეს და გარდაწყვეტით გამოუცხადეს, რომ, თუ ქრისტიანობას თავს არ გაანებებთ, იცოდეთ, რომ ყველას თავები მოგეჭრებათო, შეშინდნენ ყველანი და გამაჰმადიანდნენ სრულიად. ასე რომ დერეხოხნის ქართველთ გათათრება 100 წელიწადიც არ არის.

ამ 60 წლის წინად, მე კარგად მახსოვს, რომ აჭარაში აქაიქ ჩუმად ღვინოს დასწურავდნენ ხოლმე. ხან დედაკაცები ჩარექებით ეკკლესიებში მიიტანდნენ და დაასწყობდნენ. აჭარაში ეკკლესიებში სანთლის მიტანაც იცოდნენ, ფულის და ბამბის. ვინმე ავად რომ გახდებოდა, მაშინვე ეკკლესიებს მიუტანდნენ ძველ შესაწირავს და იქ დაასწყობდნენ, ამის შემდეგ ავადმყოფი მორჩებოდა. ვინმე რომ შვავილით, ან სხვა რამით გახდებოდა ავად, იმას თქვენებურს ლოცვებს უმღერებდნენ ხოლმე და ავადმყოფები მორჩებოდნენ. ყველა ესენი გადავარდა ამ ოცდა ათის წლის წინად და დედაბერს დედა-

კაცებში თქვენებური ლოცვები დღესაც ბევრმა იცის ზეპირად. მოლებმა და ხოჯებმა ერთს დროს ჩვენებურს ქალებს დაუშალეს თქვენებურ ლოცვების თქმა; ამიტომ როცა ავად გახდებოდა ვინმე, მაშინ ჩვენიდან წავიდოდნენ გურიაში კაცები. იქ დაიქირავებდნენ გურულს დედაკაცებს, მოიყვანდნენ აქა და ამათ ათქმევინებდნენ ხოლმე ქართულ ლოცვებს და გალობას. მაგრამ ბოლოს ესეც აკრძალეს ხოჯა-მოლებმა, რომ ჩვენის კაცისათვის ქრისტიანის ლოცვა არ შეიძლებაო. თუ გინდათ, ხოჯები წაიყვანეთ და წიგნი და ლოცვები აკითხვინეთო. ესე დაავიწყდა ხალხსა და მას შემდეგ ჩვენში ავადმყოფი რომ შეწუხდება, ამისათვის ხოჯას იხმობენ და ლოცვას წააკითხებენ „ყურანიდამ“, რომ ავადმყოფი მორჩესო.

---

## ლაზისტანის გამაჰმადიანება.

(ნაამბობი სოფ. ჩხალელის ჰაჯი ხოჯასაგან).

ოსმალები პირველად ლაზისტანში შემოსულან. ლაზისტანი ძლიერ ადვილად გამაჰმადიანებულა, ამათ მალე მიუციათ ოსმალთათვის დახმარება. ოსმალნი მოსულან მაჭრიალაში. მაჭრიალას ციხეში ფეხი გაუმაგრებიათ. აქ დაუწყიათ ტყავზედ ფულის მოჭრა და ამ ფულებით შეისყიდდნენ ხოლმე ქართველებსა და თავიანთკენ მიიმრობდნენო. ტყავის ფულებით მათ ბევრი ქართველი შეისყიდეს, ბევრი გაამაჰმადიანეს ადვილადაო. როცა ქართველი მაჰმადიანები გამრავლდნენ, მერე მათის დახმარებით და ლაზების შემწეობით ლივანაში იწყეს მაჰმადის სჯულის გავრცელება. ბევრი ჩხუბი მოხდა ლივანაში, ბევრი სისხლი დაიღვარა ქართველებისა, მაგრამ ბოლოს მაინც ოსმალთ დაიმორჩილეს და ყველანი გაამაჰმადიანეს. ვინც არ გამაჰმადიანდა და წინააღმდეგობდნენ, ისინი დაიჭირეს და მაჭრიალის ციხეში სულთან სელიმს მოჰგვარეს. სულთან სელიმმა იმათ ჰკითხა:

— რატომ არ მაჰმადიანდებით თქვენა, რატომ არ გინდათ, რომ ჩვენი წმინდა სჯული მიიღოთ? ხალხმა უარი განუცხადა:

— ვერა, ვერ მივიღებთ. ჩვენ ქართველები ვართ, ქრისტიანები და ასეც უნდა დავიხოცნეთ; სხვა რაც გნებოთ, ის გვთხოვეთ, ერთგული მონობა და სხვანი, მაგრამ სჯულს კი ვერ გამოვიცვლით.

— მაშ ყველას თავები მოგეჭრებათ, — უთხრა სულთანმა.

— ნება თქვენი გახლდეს, მიუგო ხალხმა. სულთან სელამმა საჩქაროდ ბრძანება გასცა, მოვიდნენ ჯალათები და მტკიცე ქართველ ქრისტიანები მიიყვანეს მაქრიალის ციხის თავ-საკვეთთან, და ყველას მოსჭრეს თავები, მერე ტანი ზღვაში გადაჰყარეს; და თავებს კიდევ სარებზედ აგებდნენ და ახმობდნენ სხვა-და-სხვა ადგილებში შესვლის დროს ქრისტიან ქრთველების შესაშინებლად.

## აჭარის გამაჰმადიანება.

(ნაამბობი თევდორეს ორცველის სააკ-ოღლისაგან).

აჭარა ყველაზედ გვიან გამაჰმადიანდა. სპარსელთ საქართველოსთან ომი ჰქონდათ. სპარსელთ ქართველებს ვერაფერი დააკლეს, მათ მხოლოდ აჭარა დაიჭირეს და ბევრი მაგი დღეებიც დააყენეს ქართველნი მძიერ შეწუხდნენ ამაზედ. მცირე ხნის შემდეგ ესენ დაირაზმნენ სპარსელთ წინააღმდეგ და ერთს დღეს ომი განუცხადეს: აჭარელთ დაეხმარნენ სხვა ქართველნიც, ამათ დაიწყეს ომი და სპარსელნი საქართველოიდან განდევნეს და თავიანთი ქვეყანა განათავისუფლეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ოსმალნი ჭანეთის გონიამდის მოვიდნენ და გონიაში გაიმაგრეს ფეხი. გონიის ციხიდამ ამათ დაიბარეს აჭარის მოწინავე პირები და გამოუცხადეს ასე:

— ოსმალნი გარეკეთ, ბევრი წვა-დაგვა მოგვადგათ, ახლა ჩვენ გვინდა აჭარაში შემოვიდეთ და ძალით თქვენი ქვეყანა დავიჭიროთ. თ

გინდათ, თქვენ ჩვენ ნებით დაგვმორჩილდით და თავი დაგვიკარით, თუ არა და ჩვენ ძალით შემოვალთ აჭარაში, — ომს დავიწყებთ და ძალით დაგიმორჩილებთო. დაფიქრდნენ ქართველნი, პასუხი ვერ მისცეს, აჭარაში გაგვიშვით და იქ ჩვენებს დავეკითხებით და მალე მოგცემთ პასუხსო. ქართველნი წამოვიდნენ აჭარაში და ყოველისფერი ქართველებს მოახსენეს, რომ ოსმალნი ასე გვითვლიან და თქვენ რას იტყვითო? ერმა მიუგო:

— ჩვენ არ შეგვიძლიან, ოსმალს თავს ვერ დავუკრავთ, მათი თავის დაკვრით ბოლოს ჩვენ გაგვათათრებენ და დავიღუპებით. ხალხი უარზე დადგა. მოწინავე პირებმა რჩევა მისცეს, რომ საქმეს წავაგებთო. ისევ ნებით დავუკრათ თავიო. ხალხმაც ნება მისცა და ესენი წავიდნან და ოსმალთ მოახსენეს, რომ ოღონდ ნუ აგვაოხრებთ და ჩვენ ჩვენის ნებით გემორჩილებითო. ოსმალთ მიიღეს და ყველა მოწინავე პირებს დასმარება მისცეს. საჩუქრები, მიწები დაურიგეს და როგორც თავისის ნებით დამონებულს ერს ხარჯად ათის თავი დადეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოსმალთ ამ პირებს აჭარის ადგილების გამგეობა ჩამოართვეს და მის ნაცვლად საჩუქრები დაუნიშნეს. ამის შემდეგ ოსმალთ გამოუცხადეს ქართველებს, რომ თქვენ ოსმალური ენა უნდა შეისწავლოთ, რადგანაც სახელმწიფოსთვის ეს საჭიროაო. მალე სტამბოლიდგან გამოუგზავნეს მასწავლებელი ხოჯები და ქართველ ყმაწვილებს სწავლება დააწყებინეს მხოლოდ თათრულის ენისა და წერა-კითხვის. რომელი ყმაწვილიც-კი დაისწავლიდა თათრულს ანბანს, იმას კარგს საჩუქრებს და საქმეებს აძლევდნენ; ამით წაახალისეს ქართველთ ბავშვები და მათში აღორძინეს თათრულის ენის სიყვარული. რაკი ეს მოხდა, მერე ხოჯებმა ბავშვებს მცირეოდნად მუსლიმანობაზე ქადაგებაც დაუწყეს და ეს სარწმუნოება ყმაწვილებს შეასწავლეს. ამ დროს აჭარა ისევ ქრისტიანობაში იყო. ოსმალთ დაიწყეს დიდად მეცადინეობა. მალე ოსმალთ მიიხმეს ქართველი მოწინავე პირები, ამათ მისცეს დიდი საჩუქრები, ქრთამები და სთხოვეს, რომ თათრის სჯულის გავრცელებაში თქვენ ჩვენ დაგვეხმარეთო. მოწინავე პირებმა სიტყვა მისცეს და

დაიწყეს მაჰმადის სჯულის გავრცელება ქართველ ხალხში. უმეტესად ახალგაზრდებში ავრცელებდნენ ამას და მოხუცებულებს ისე სტოვებდნენ, ნამეტურ ქალებს. რამდენიმე ხნის შემდეგ აჭარის გამოღმა მხრის უმეტესი სოფლები გამაჰმადიანებულ იქმნა. ყველაზედ დიდი ხანი ქრისტიანობით თავი შეინახეს გაღმა მხარში ქედამა და სოფ. ორცვამ. აქ ქრისტიანობის სასტიკ მფარველად სოფ. ბორცვის მღვდელი კაკაბაძე იყო. ეს მღვდელი იყო დიდად მქადაგებელი, მოყვარე ქრისტიანობისა და პატივისმცემელი ქართველთა, ეს მღვდელი დღე და ღამე დადიოდა ხალხში და ხალხს ამაგრებდა ქრისტიანობაზედ. ეს ამბები ოსმალთ იცოდნენ და ორცვის კაკაბაძე მღვდელს დიდად ემუქრებოდნენ, მაგრამ მღვდელი მაინც არ უშინდებოდა მუქარას.

ეს მღვდელი ქედის დიდს ეკკლესიაში დადიოდა, იქ ზარს რეკავდა. ოთხი-ხუთი სოფლის ხალხს ლოცვაზე იხმობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მაჰმადიანობა ქედაშიაც შემოვიდა; ახალ გამაჰმადიანებულ ქართველთ კაკაბაძე მღვდლისა ძლიერ ეშინოდათ და მაჰმადიანობას ჩუმად ინახავდნენ. განვლო რამდენიმე ხანმა და ამათ ჯამეს კეთება მოინდომეს, მაგრამ კეთებას ჯერჯერობით ვერ ჰბედავდნენ, კაკაბაძე მღვდლის შიში ჰქონდათ.

ბოლოს მაინც ეს ეკკლესიაც დაუქცევიათ თათრებს. კაკაბაძე მღვდელი რომ მოსულა, შორიდგანვე შეუხედნია ეკკლესიისაკენ და ეკკლესია დაქცეული უნახავს. ეკკლესიის გვერდით-კი უცბად დადგმული ხის ჯამე. კაკაბაძე მღვდელს გული შემოჰყრია, ტირილი დაუწყია და უთქვამს:

— ვაი მე, ახლა-კი დაეცა აჭარაო!..

ბევრი უწუხნია, ხალხშიაც ბევრს ცდილა, რომ ქრისტიანობა არ დაცემულიყო, მაგრამ ვეღარა მოუხერხებია-რა. ბოლოს საქმე იქამდის მისულა ამას, რომ სოფ. ორცვადგან გაქცეულა და ჩაქვისაკენ წასულა, რადგანაც ჩაქვას იქითა მხარე იმ დროს საქართველოს ეკავა და იქ ისევ ქრისტიანი ქართველები იყვნენო. კაკაბაძეს ცოლ-შვილი-კი ორცვაში დარჩნენ და მღვდელს აღარავინ დაანება. ესენი ოსმალოს მთავრობამ გამოიკითხა და კაკაბაძე მღვდლის

შვილებს ქეშიშ-ოღლი უწოდეს, და ერთს შვილს თათრული წერა-კითხვა დაასწავლეს და მალე მოლობაც მისცეს: რადგანაც მამაშენი ქეშიში, მღვდელი იყოვო, იმის ნიშნად ამ დღის შემდეგ ამ სოფლის მღვდლობა თქვენი გვარის კაცებს ჰქონდესო. მას შემდეგ ასეც არის და ორცვაში ხოჯა-მოლობა ყოველთვის ქეშიშ-ოღლებს უკავიათო. ამ მღვდლის შემდეგ-კი აჭარაში მაჰმადიანობა ერთობ მალე წავიდა, მხოლოდ მოხუცებულებს-კი არ ამაჰმადიანებდნენ და ქართველ ქალებსაც ხმას არა სცემდნენ, ქართველ ქალებში თათრობა სულ სხვა-ნაირად შეუტანიათ.

გამაჰმადიანების შემდეგ აჭარის ქართველებში მევენახობა ამოვარდნილაო. ამბობდნენ ხოლმე, რომ მთელი აჭარა სულ ვენახებად იყო გარდაქცეული და სოფლიდან სოფლამდის სულ ვენახებით იყო დაფარულიო. ზოგნი-კი ამბობენ, რომ ვენახები ვითომც ქართველებში სპარსელებმა მოსპეს და ამათ შემდეგ რაკი აჭარა ოსმალთ აიღეს, მის შემდეგ, აქ ქართველებმა ვაზის გაშენება ველარ გაბედეს, რადგანაც ოსმალეთიც უშლიდა ამასაო.

შემდეგ და შემდეგ ოსმალოს ხოჯებმა ქართველებში დაიწყეს ქართულის ენის მოსპობის შესახებ ქადაგება, რომ მუსლიმანი კაცი ქართულს ენაზედ არ უნდა ლაპარაკობდესო. მაგრამ ამათ ენა-კი ვერ მოსპეს და რაც ქართული ძველი წიგნები იყო, ესენი-კი სულ ცეცხლში დააწვევინეს, რადგან ესენი ხალხს ეუბნებოდნენ, რომ სახლში ქართული წიგნების შენახვა ჩვენის სჯულის წინააღმდეგიაო. ხალხს არაფერი ესმოდა, მოლებს უჯერებდნენ და ბევრს ძვირფასს ქაღალდებს სწვავდნენ. ასეთი ქაღალდები თვით ჩვენს ძველებსაც დაუწვავთო.

მე, მახსოვს, რომ აქეთკენ დიდრონი წიგნების ტყავებისაგან ჩასაცმელ ჩუსტებს აკეთებდნენ, ქალამნებს, პატარა გუდებს და სხვა-და-სხვა რამეებს აკრავდნენ ზევიდგანაო. ზოგიერთი ისეთი წიგნები ყოფილა აქეთ, რომ თითო წიგნი ნახევარი ფუთი გამოვიდოდაო.

ხოჯებისა და მოლების ასეთი ქადაგების მეოხება იყოვო, რომ ამ თხუთმეტი წლის წინად აჭარის ორს სოფელშიაც დაუწვავთ წიგნები, სახელდობრ: ხერთვისსა და კაპნის თავში.

## აჭარის გამაჰმადიანება.

(ნაამბობი ქედაში ორცვილის ქართველ მაჰმადიანის შავლეგ ნაკაშისის მიერ).

აჭარაში გამაჰმადიანება ლივანიდან შემოუტანიათ. პირველად მაჰმადიანობა აჭარის მარჯვენა მხრის სოფლებისკენ გაუვრცელებიათ, მარცხენა მხრის სოფლები-კი ისე დაუტოვებიათ. მარჯვენა მხრის სოფლები გავამაჰმადიანოთ და მარცხენა მხრის ხალხი თვითონ მოგვყვებაო. გამაჰმადიანებულთ და ქრისტიანთ შორის ყოველნაირი მეგობრობა მოსპობილა.

ერთხელ ერთი ქრისტიანი ქართველთაგანი გასულა მაჰმადიან ქართველ სოფლებში. ეს რამდენსამე დღეს ერთს სოფლებში დარჩენილა, თავისს ნათესავებში. აქ ეს ბიჭი ბევრის დარიგების და თანხების მოხებით გაუმაჰმადიანებიათ. გამაჰმადიანების შემდეგ ბიჭი გასულა გაღმა. ქრისტიან ქართველებს უნახავთ და უკითხავთ:

— ბიჭო, ამდენს ხანს რას აკეთებდი იმ თათრებშიო? ამან მიუგო:

— გამამაჰმადიანეს, ალი დამარქვეს სახელადაო. ქართველნი გაოცდნენ და უთხრეს:

— ბიჭო, მიტომ გახველი თათარში, რომ გასტიალდი? აი შეგირცხვეს კაცობა!

ეს ბიჭი სულ მთლად მოიძულეს ქართველებმა. მეტ სახელად გასტიალდი უწოდეს. შემდეგ ცოლი შეირთო ამან, შვილებიც გამაჰმადიანა, გვარად გასტიალდი დაერქვათ; დღესაც ასე იწოდებიან. ბოლოს მარცხენა მხარეც გამაჰმადიანდა, ვინც არ ინდომა გამაჰმადიანება ისინი სოფელს სადორეთში წავიდნენ და იქაურ ციხიდგან იბრძოდნენ ოსმალთ წინააღმდეგ.

ნაკაშიძეები გურულები ყოფილან; გურიაში რაღაც საქმე ჩაუდენიათ. ამათ სხვა თავადიშვილები დახოცეს. ამის გამო ამათ გადაეკიდა გურიელი. მაშინ ნაკაშიძენი სამნი ძმანი ყოფილან. ერთი ძმა ბაღდადში კაქცეულა და იქ გამაჰმადიანებულა. მეორე ძმა სტამ-

ბოლში გაქცეულა და იქ გამაჰმადიანებულა, ამისთვის მალე ფაშობაც მიუციათ. მესამე ძმა აჭარაში მოსულა, სოფ. ორცვაში დასახლებულა. მერე ცოლ-შვილიც მოუყვანია აქ. რამდენიმე ხნის შემდეგ ესენიც გამაჰმადიანებულან. ერთხელ ნაკაშიძე თავისს გამაჰმადიანებულ შვილებით სადღაც ერთ მთაზედ წასულა. მთიდგან ძირს გადაუხედიათ და ერთი უშველებელი ტყე უნახავთ, რომელიც ხილით ყოფილა სავსე, ნაკაშიძეშ რომ დაინახა ბევრი ხილი, დაიყვირა, ეს რა ბევრი კაკა არისო. ამის გამო იმ ადაგს კაკა დარქმევია; მერე იქ სოფელი გაშენებულა და სოფლისთვისაც კაკა უწოდებიათ, თვით მას,—შემდეგ კაკაძე დარქმევია, და ახლა კი კაკა-ოღლი არიან. სოფ. ორცოვაში ნაკაშიძეებს დიდათ უმეცადინიათ ხალხის გამაჰმადიანებაზედ.

მერისის ხეობას მიტომ დაერქვა ეს სახელიო, რადგანაც, როცა აჭარას ამაჰმადიანებდნენ, მოლები ამბობდნენ:

— ჯერ აჭარა გავამაჰმადიანოთ, ჯერას ამას მოვრჩეთ და მერე ისი, ანუ მერეისიო და ამასაგან დაერქვა აჭარისაგან ამ მოცილებულს ხეობას მერისიო.

ქედას ზევით, ვაიოს პირდაპირ, არის ერთი მთა, რომელსაც სახელად „ქალო ჯვარას“ უწოდებენ. ეს სახელი მას ამ შემთხვევის გამო დარქმევია: ვაიოს მხრის ქართველი ქრისტიანები გამაჰმადიანდნენ, დარჩნენ გაღმა მხრისა. გაღმა მხრის ქალი ერთხელ ვაიოსკენ გავიდა; იქ ეს გამაჰმადიანდა და ერთ ახალ გამაჰმადიანებულ კაცზედ დაინიშნა. დანიშვნის შემდეგ ეს თავიანთსა დაბრუნდა და შინ გამოუცხადა: მე გავმაჰმადიანდიო. ამაზედ მთელი სოფლის ხალხი გაოცდა, რადგანაც აქედ ყველაზედ ძნელად უფრო ქალები მაჰმადიანდებოდნენ ხოლმე. ქალმა შინ რამდენიმე დღე დაჰყო და თავისი ბარგი მოაგროვა და ვაჟიანთას აპირებდა წასვლას. დედ-მამა არ უშვებდა. ესენი ეუბნებოდნენ:

— ქალო, პირს ჯვარი დაიწერე, ქალო, პირს ჯვარი დაიწერე, რა შენი საქმეა მაჰმადიანობა. ქალო, პირჯვარი!—სირცხვილიაო. დედ-მამამ და ნათესავებმა საქვეყნოდ შეარცხვინეს ქალი და ყვიროდნენ, რომ ქა-

ლო, ჯვარი დაიწერეთ და აი ამ ადგილსაც მიტომ დარქმევია „ქალო-ჯვარა“, რადგანაც ეს ამბები აქ, ამ მთაზედ მომხდარა.

---

## ლივანის გამაჰმადიანება.

(დევესქელის ხეობაში ნაამბობი სოფ. პეტრულის მამასახლისისაგან).

ლივანში, ბორჩხის ზემოდ, ჩხალის ხეობაში, ძველად ქალების მონასტერი ყოფილა. გამაჰმადიანების დროს თათრებს მონაზვნებისთვის ხმა არ გაუციათ. მღვდლები და ბერები კი სულ გამოურეკიათ. რამდენიმე დღის შემდეგ ამ მონასტერს დასცემიან თათრები და მონასტერი მთლად გაუძარცვავთ და მონაზვნებიც სულ მოუტაცნიათ; ერთი მოხუცი დედა მონაზონი კი დაუტოვებიათ. მოტაცებული მონაზვნები ტრაპიზონში გაურეკიათ და ზოგი იქ დაუყიდნიათ თათრებზე და ზოგი სხვაგან. მონასტერში დარჩენილი მოხუცი მონაზანი; მონასტერს არ შორდებოდა; იმან დიდი გაჭირვებას გამოიარა, ხშირად თავ-დასხმა და გაძარცვაც, მაგრამ მაინც აქაურობას არ შორდებოდა. ნაცვლად ამისა, იგი ოჯახებში დადიოდა და ახალ გამაჰმადიანებულ ქართველ ქალებს ქრისტიანობაზედ დარიგებას აძლევდა.

ერთ აღდგომა დღეს, მონაზონმა კვერცხები შეღება, სააღდგომო სანოვაგე მოამზადა და აღდგომა დღეს ახალ გამაჰმადიანებული ქართველი ქალები დაპატიჟა. ქრისტიანულად მიულოცა; მათაც ქრისტიანულად მიუგეს პასუხი, რადგანაც ახლად გამაჰმადიანებულნი იყვნენ და ქრისტიანული ლოცვებისა ბევრი რამ ახსოვდათ.

ეს ამბები ლივანის ბეგმა შეიტყო. ამან მონაზონს გაუცხადა, რომ მაგ ალაგს თავი დაანებე, თორემ მოგკლავენო. მონაზონმა შეუთვალა:

— სიკვდილი ყველგან დამხვდება, მე აქედგან არსად წავალ, ამ ეკკლესიას უნდა ვუპატრონო.

რამდენიმე დღის შემდეგ ამ ქალების მონასტერს ოსმალები დაეცნენ. მოხუცი მოლოზანი მოჰკლეს და თუ რამე ჰქონდა, ისიც ყველაფერი მოსტაცეს. ამ დროს ქალებში ჩუმი ქრისტიანები კიდევ ყოფილან და ამათ ძალიან უგლოვნიათ მოკლული მოლოზანი და თვით ამ ქალებსვე დაუმარხავთ მიცვალებული. ამ მოლოზნის მოკვლის შემდეგ ლივანაში აღარავერვინ დარჩენილა ქრისტიან ქართველთა.

ლივანაში, ყველა ლაპარაკობდა ამ 80 წლის წინად, რომ მარადიდში, ბორჩხაში და ამის ზევით თავსაკვეთი კოშკები იყო გამართული და იქ თავებს სჭრიდნენ; არჩობდნენ იმ ქრისტიან ქართველებს, რომლებიც არ მაჰმადიანობდნენო. აქ ბევრი ქალებიც დაურჩვიათ და თავი მოუჭრიათ ხიდზე და ტანი ჭოროხში ჩაუგდიათ. უწყიან, რომ ერთხელ სოფ. წითურეთის კოშკსაც კი იხმარობდნენ საპატიმროდ და თავსაკვეთად.

ამის შესახები ამბები ძლიერ ბევრი რამ იციან ართვინის და არდანუჯის გასომხებულ ქართველთ კათოლიკეთ მოხუცებულებმაც.

---

## კახაბერის, აჭარის, შუახევის და ხულოს გამაჰმადიანება.

(ნაამბობი სოფ. ზვარელ 80 წლის სელიმ აღა-იმშიოღლისაგან და მაჰმადიან თურმანიძისაგან).

ოსმალთ აჭარა მაგრა დაიმორჩილეს. მერე გამაჰმადიანება დაუწყეს, მაგრამ საქმე ერთობ გაუჭირდათ. აჭარელებს ოსმალთაგან მოციქულები მოუვიდათ და მაჰმადიანობა განუცხადეს; მოციქულები უკან დააბრუნეს, თან გააყოლეს თავიანთი მოციქულებიც და შეუთვალეს ასე:

— ჩვენ გვიმსახურეთ ისე, როგორც გენებოთ, ხოლო სჯულსკი თავი დაანებეთ, ჩვენ ჩვენს სჯულს არ დავჰკარგავთ, არ გავმაჰმადიანდებით.

ქართველების ასეთი უარი ოსმალოს ფაშას ძლიერ ეწყინა. მალე ტრაპიზონიდგან ოსმალოს ჯარი მოვიდა და კახაბერში ომი ატყდა. ომში ოსმალნი დაეცნენ, აჭარელნიც ბევრნი გაწყდნენ; ბოლოს ოსმალთ ხერხს მოიგონეს და ხალხის ფულით მოსყიდვა დაიწყეს. პირველად მოისყიდეს სოფ. ერგე, ბათუმის ზემოდ, კახაბრისა და აჭარას შუა და პირველად სოფ. ერგეს ხალხი გამაჰმადიანდა. ოსმალთა, მუსლიმანთა სალოცავი ჯამე პირველად ამ სოფელში გააკეთეს. აქედან წავიდნენ აჭარისაკენ და დაიწყეს მეცადინეობა, მაგრამ ვერსად რა მოახერხეს, ვერც თხოვნით და ვერც შიშით ვერავინ გაამაჰმადიანეს. უკანასკნელნი მივიდნენ სოფ. ორცოში და მცხოვრებთ შესყიდვა დაუწყეს და თან განუცხადეს:

— ერგე გამაჰმადიანდა და თქვენ რას იტყვით?

ორცოს მცხოვრებთ ეს წინადადება ჯერ ეუცხოვათ, ეჯავრათ კიდეც, მაგრამ მალე დამორჩილდნენ ბრძანებასა და მიუგეს:

— ყოველივეს აღვასრულებთ, რასაც-კი გვიბრძანებთ, გავმაჰმადიანდებით, მეტი რა გზა გვაქვს!

ესენი მალე გამაჰმადიანდნენ და მერე ჯამეც ამათში გააკეთეს, კაკაშვილების სახლების მახლობლად. აქედან წავიდნენ მერისში. მაშინ სოფ. მერისში 700 კომლი სცხოვრობდა. ოსმალთ მერისელთაც აცნობეს გამაჰმადიანება:

— ერგე, ორცო და სხვა სოფლები გამაჰმადიანდა და თქვენ რაღას იტყვით. მაჰმადიანდებით თუ არა?

მერისელთ უარი უთხრეს:

— არ გავთათრდებით, გინდა დაგვხოცეთ და მაგას კი ვერ ვიზამთ!

რამდენიმე დღის შემდეგ ამათში ჩხუბი გაიმართა. ს. მერისის მცხოვრებთ რიცხვი მთლად გაწყდა; შვიდას კომლში მხოლოდ ერთი გვარის რამდენიმე ოჯახი გადარჩა, ცეცხლაძეები. დანარჩენნი: კაცი, ქალი, მოხუცი, ახალგაზდა და ყმაწვილი გამწყდარან მთლად სჯულისათვის ბრძოლაში. მერისში მაშინ სოფლის სახლები ისე ახლო-ახლოს იყო, რომ კატა ერთის სახლის სახურავიდან მეორე სახლზედ გადახტებოდა ხოლმე. ეს სახლებიც მთლად დაუქცევიათ

ოსმალთ. ბოლოს ცეცხლაძეებიც გამაჰმადიანებულან. მესამე ჯამეც მერისში დაუდგავთ. აქედგან წასულან შუა ხევის სოფლებში და სოფლელებისათვის უთქვამთ:

— აჭარა გამაჰმადიანდა და თქვენ რაღას იტყვით, გამაჰმადიანდებით თუ არა? შუახეველნი მოტყუებულან და გამოუცხადებიათ:

— რაკი აჭარელნი გამაჰმადიანდნენ, მეტი რა გზა გვაქვს, ჩვენც გავმაჰმადიანდებითო.

ესენიც გამაჰმადიანებულან. ამათთვის მიუციათ ხოჯები და მეოთხე ჯამეც აქ გაუკეთებიათ. შუა ხევის გამაჰმადიანების შემდეგ ოსმალნი წასულან ხულოში, მაშინ იქ ერთი დიდი მღვდელი მჯდარა და ერთიც ქართველი თავადისშვილთაგანი. ოსმალთ ამათთვისაც განუცხადებიათ გამაჰმადიანების ამბავი.

— ფადი-შაჰის ბრძანება მოვიდა და გეცხადებათ, რომ თქვენ უნდა გამაჰმადიანდეთ.

უფროსს მღვდელს და მმართველს თავადს უთქვამთ:

— ჩვენ, ხალხის გამაჰმადიანებაზედ პასუხს ვერ მოგცემთ. ჩვენ, რა ვიცით, ხალხი რას იტყვის. დღეს ხალხთან მოვილაპარაკებთ, ხვალ გადავწყვეტთ საქმეს და ზეგ მოგცემთ პასუხს.

ოსმალნი დასთანხმდნენ. დიდმა მღვდელმა და თავადმა ფადი შაჰის ბრძანება ხალხს აცნობეს, მაგრამ ხალხმა სთქვა:

— არ გვინდა, არ გავმაჰმადიანდებით, დავიხოცებით და მაგას კი არ ვიზამთო.

მეორე დღის საღამოს შეშინებული დიდი მღვდელი და თავადი ხულოდგან სხვაგან გაიქცნენ და დაიმალნენ. ხალხი უპატრონოდ დარჩა და ამიტომ მათში დიდი შლილობა მოხდა. ოსმალთ ბევრი აღარ აცალეს და პირველ ბრძანებისათანავე დაუწყეს გამაჰმადიანება და ფადი-შაჰის ბძანების ასრულება, მათ ერთობ ძვირად დაუჯდათ; ზეგნელები ცხარედ იბრძოდნენ სჯულის გამო და თითქმის მთლად გაწყდნენ. ვინც დარჩნენ, იმათ პირობა მისცეს ასე:

— ოღონდ ჩვენ ნუ გაგვამაჰმადიანებთ და მოგცემთ პირობას, რომ დღეის შემდეგ ჩვენ ჩვენს შვილებს-კი გავამაჰმადიანებთო და ასე მოისპობა ერთ დროისთვის ქრისტიანობაო.

ოსმალთ ნება დართეს. ხალხი დარჩა თავისს სჯულზედ, მხოლოდ ვისაც შვილი მიეცემოდა, ისიკი ოსმალოს „სუნეთს“ უნდა მიეღო და გაემაჰმადიანებინა. მაშინ მოსაჭრელე „სუნეთები“ აქ ბევრნი ყოფილან ოსმალოდგან მოსულნი. იმ დღიდგან პირობისამებრ ხალხს დაუწყვია შვილების გამაჰმადიანება და 10—15 წლის განმავლობაში უკვე გამოჩენილან პატარ პატარა ქართველი თათრუკები. ერთ ზაფხულის დღეს, ქრისტიან ქართველებს ყანაში მკა ჰქონიათ. ერთ ხნიერ კაცს ერთ ახალ მოზარდ ქართველ მაჰმადიანისთვის უთხოვნია ასე:

— შვილო, თათარო, წადი ერთი დოქი ცივი წყალი მოიტანე, უმაწვილ ბიჭს ძლიერ სწყენია თათრად წოდება და უთქვამს:

— მე, თათარი რაში ვიქნები, თათარი კი არ ვარ, ქრისტიანი ვარ, ქართველი აქ მყოფთ მიუგიათ:

— რა ვქნათ, შვილო, მაგრე ხარ შენ გადანათლული და ჩვენ რა ვქნათ. ჩვენც არ გვინდოდა, მაგრამ ძალამ გაგვათათრა. უმაწვილი ბიჭი ძლიერ გაგულისდა, გაგულისებული სწრაფად გაიქცა ყანისკენ, ერთ გოჭი დაიჭირა, ხელდახელ დაკლა, გამოწვა, ხორცი შესწვა მწვადად, მალე ჭამა დაიწყო და თან უყვიროდა ხალხს:

— ეხლაც თათარი ვარო! ახლა მაინც არ დამესხნებითო?

მაჰმადიანობის პატივის-მცემელთ ქართველთ ჯავრი მოუვიდათ და ამათ სთხოვეს მას:

დღეის შემდეგ აღარა ჰქნა შვილო ეგ, თორემ საქმე ცუდად წაგივა. ფადიშაჰი შეგიტყობს და მაშინათვე თავს მოგკვეთენ ჯალათებით.

ასევე დაურიგებიათ უმაწვილი დედ-მამას, უმაწვილს პირობა მიუცია:

— დღეის შემდეგ აღარ ვიზამ ასეთ საქმეს, დღეში ხუთჯერ ნამაზს ვიზამ, ყოველს ვახტის ლოცვისათვის ჯამეში წავალ, წმინდა მაჰმადიანობას დავიჭერ და ქრისტიანობასა და ქართველებს შევიჯავრებო. ასეთი ამბები ბევრი კიდევ სხვა მომხდარა მაშინ გამაჰმადიანების გამო. მოხუცებული კაცი და დედაკაცები ხშირად მოგროვდებოდნენ ძველ ეკლესიების გვერდით და მწარე ცრემლებით

სტიროდნენ და ქვითინებდნენ სოლმეო. სოფ. ზვარეს ეკკლესიის ნივთები მათ სულ მიწაში დაუმარხავთო.

აჭარაში და ნამეტურ მერისის ხეობა, თუმც გაწყდა სჯულის გამო ბრძოლაშიც მაგრამ შემდეგ ისევ გამრავლდნენ. გურიიდგან აქ ძლიერ ბევრი გაქცეული გლეხ-კაცობა მოდიოდა, მაჰმადიანდებოდა და სახლდებოდა, რადგანაც საქართველოში მებატონები ძლიერ აწუხებდნენ თავიანთ ყმებს. აჭარლებს ხელობად ჰქონდათ მიღებული, საქართველოში სიარული და გოგო-ბიჭების სყიდვა: ესენი დადიოდნენ გურიაში, ქართლში, იმერეთში და სხვაგან; ქართველ თავად-აზნაურებისაგან ყიდულობდნენ დიდ-ძალ გოგო-ბიჭებს; ამათ მოურეკებოდნენ აქ, ყველას ათათრებდნენ, ზოგს აქვე ასახლებდნენ და მით ამრავლებდნენ მაჰმადიანებს და ზოგიც მიჰყავდათ ტრაპიზონს, სტამბოლს, ქურთისტანს და იქაურს დიდრონ ფაშებზედ. ქართველ ყმაწვილებს ერთობ კაი ფასად ჰყიდდნენ, რადგანაც ესენი უფრო ლამაზ გოგო-ბიჭებით ვაჭრობდნენ საქართველოში.

მერისის ხეობის სოფლელებს ერთი დიდი ეკკლესია ჰქონიათ. ეს ეკკლესია სოფ. მერისში ყოფილა აშენებული, ხალხის გამაჰმადიანების შემდეგ ოსმალებს ეს ეკკლესია ძალიან მალე დაუქცევიათ საძირკვლამდის; მერისელ ქართველებზე ერთობ გაჯავრებულნი ყოფილან: ვაი, თუ მერისის ხეობის სხვა სოფლებმაც გვიმტყუნონ და გვიჩხუბნონ ასე, როგორც მერისელები შეგვებნენო. მერისის ეკკლესიის ნანგრევებს ხალხი თურმე ახლოს არ ეკარებოდა, უკანასკნელ ხანებში კი ეს ქვებიც გაუზიდ-გამოუზიდნიათ აქეთ-იქით. ერთი წამღებთაგანი ავად გახდა და მოკვდაო. ასეთ ამბებს მერისელი მოხუცნი ხშირად ლაპარაკობდნენ და თან დასძენდნენ:

— ალბად ცოდვა ყოფილა ეკკლესიიდგან ქვების წაღება, აქაური ეკკლესიები სულ ჩვენი ძველების გაკეთებულია. ადრე მერისში ერთ ალაგას მიწის თხრის დროს „ხაჩი“ იპოვნესო, ე. ი. ჯვარი. ჩვენდა საკვირველად მერისის ხეობაში და მთლად მთელს ქართველ მაჰმადიანებში ჯვარს „ხაჩს“ უწოდებენ. ეს წოდება სომხურია. ქართულად ჯვარს ნიშნავს. მე აქა-იქ ვკითხე, თუ ხაჩს რად ახსენებთ, რატომ ქართულად არ უწოდებთ მეთქი. მათ მკითხეს:

— ქართულად რა ჰქვიან ხაჩს? მე მივუგე:

— ჯვარი. ხაჩ სომხურია! მათ მითხრეს:

— ჩვენი ძველებიც ასე უწოდებდნენ, ოსმალურადაც ასე უწოდებენო. ალბად ოსმალთაგან შემოსულა ეს სახელი და ქართული დაკარგულაო. ყველგან ეკკლესიას „ქლესიას“ უწოდებენ. წინად ჩვენში ბავშვი რომ ავად გაუხდებოდათ და შეუწუხდებოდათ, ავად-მყოფებს, ძველს ნაეკკლესიარებში მიიყვანდნენ და ალოცებდნენო, აქ ლოცვა წამლად მიაჩნდათო. ამის ნაცვლად მოლებმა და ხოჯებმა შემოიღეს ავად-მყოფის გვერდით „ყურანის“ კითხვაო.

---

## ჩაქვისა და კინტრიშ-ქობულეთის გამაჰმადიანება.

(ნაამბობი ს. აჭყვისთაველის 120 წლის ქამჯარაძისაგან).

მე პატარა ვიყავი, ასე 6—10 წლისა ვიქნებოდი, როცა ოსმალები ბათუმის აქეთ წამოვიდნენ და ციხის ძირს მოადგნენ. რადგანაც მაშინდელი გურიისა და ოსმალოს სინორი ციხის ძირთან იყო, გურულებსა და ოსმალთ დიდი ჩხუბი მოუხდათ. გურიელები მაშინ ჩვენში ცხოვრებდნენ და ხალხს აქეზებდნენ ომისათვის, ყველაზედ კარგად ჩვენები ომობდნენ. ციხის ძირთან დიდძალი ხალხი გაუწყვიტეს ოსმალთ, მაგრამ ბოლოს მაინც გაჭირდა საქმე, ოსმალთა გვძლიეს და ციხის ძირს გადმოვიდნენ, ესენი აქეთ ფეხს ვერ გადმოდგამდნენ, მაგრამ ჩვენში გაჩნდნენ ჯაშუშ-გამცემი კაცები, ესენი იყვნენ სოფ. ზენდიდელი ჩუგუნავები, ღუმბაძეები და ძველი ქობულეთელი ჭყონიები. ამათ გვიღალატეს ჩვენ და ოსმალთ მიემხრნენ. ამათის ხრიკებით გადმოვიდნენ ოსმალნი სინორს და მთლად ჩაქვი დაიჭირეს. მაშინ ჩვენს მხარეს სახელად კახაბერი ერქვა. კახაბერი ჩოლოქიდგან იწყებოდა, ჭარისა და ლაზისტანის სინორზე თავდებოდა. ასე, ამ მხარეს ძველად კახაბერი ერქვა და არა ჩაქვი. ბათუმი, ქობულეთი, კინტრიში და სხვ.—ეს ბოლოს შემოვიდა

ხმარებაში. ჩაქვის აღების შემდეგ ოსმალნი კინტრიშისკენაც მალე გადმოვიდნენ და მთელი ეს ადგილები დაიჭირეს. ორი კვირის განმავლობაში ამათ მთლად დაიმორჩილეს აქაურობა და მთელი ეს ადგილები დაიჭირეს. და თავიანთი გავლენა და ძლიერებაც დიდათ გაავრცელეს აქ. მერე აქედგან ხინოსკენ წავიდნენ. ხინოში მაშინ ეკკლესია იყო და იქ დიდი ქეშიში (ეპისკოპოსი) იჯდა. იმ ქეშიშს სხვა ქეშიშებიც ჰყვანდა და ესენი სოფლებში დადიოდნენ; აქედგან ჩუმად აჭარის სოფლებში გადადიოდნენ და იქ გამაჰმადიანებულს ხალხს რაღაცაებს უშვრებოდნენ. ოსმალებმა ეს დიდი ქეშიში თავის სხვა ქეშიშებით აღარ დააყენეს იქ, მალე გამორეკეს იქიდგან და უთხრეს, რომ აქ ერთი ქეშიშიც კმარაო. პატარა მღვდლები სულ წამოვიდნენ და იქ დარჩა დიდი ქეშიში მარტო. ჩვენები დადიოდნენ იქ სალოცავად და ცხვარი და ქათმები მიჰყვანდათ ხოლმე ქეშიშისათვის; ჩვენს გარდა სხვებიც დადიოდნენ სალოცავად იქ. ხან-და-ხან ცეკვა-თამაში და თოფის სროლაც იცოდნენ.

ოსმალების აქ დაბინავების შემდეგ ჩვენებურები აქ არ დგებოდნენ და ნახევარი ჩაქვა და ქობულეთი გურიაში გადასახლდა, სახლ-კარს ოხრად სტოვებდნენ აქ და მიდიოდნენ გურიელებისაკენ, რადგანაც აქ გამაჰმადიანებისა ეშინოდათ. თუმცა პირველად ოსმალები არ გვამაჰმადიანებდნენ, მაგრამ ჩვენებს მაინც ეშინოდათ, რადგანაც ამ დროს აჭარა უკვე გამაჰმადიანებული იყო. ბევრნი დარჩნენ აქა და ბევრნი გაიქცნენ გურიისაკენ; გაქცეულები იქ ძალიან დაღარიბდნენ. ჩემი დედის-დედაც გაიქცა და მეც თან წამიყვანა. ჩვენ წაგვიყვანეს ქუთაისისაკენ, ერთ სოფელში, სადაც ჩვენი ნათესავები სცხოვრობდნენ, ჩვენი მეგვარეები. იქ კარგა ხანს დავრჩით. მე კარგად მახსოვს, რომ იქ ორჯელ მაზიარა ეკკლესიაში ჩემმა ნენემ და ღორის ხორციც მიჭამია ბარე სამჯერ (ე. ი. ბევრჯელ). იმერეთში ღორს ძალიან სჭამენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ამბავი მოვიდა, რომ ოსმალები ხალხს არ ამაჰმადიანებენო; ამბობდნენ, რომ ჩვენ ძალით არავის გავამაჰმადიანებთო და ამიტომ ყველანი ჩვენის სახლ-კარისაკენ და სოფლებში დავბრუნდეთო. თუ გამაჰმადიანებას დაგვიწყებენ, მერე კიდევ გამოვიქცეთო, ძლიერ ბევრნი

დასთანხმდნენ ამაზედ და დაბრუნდნენ თავ-თავიანთ სოფლებისაკენ. ყველა დაბინავდა თავის სახლში. ეკკლესიებში ხუცები ლოცულობდნენ, ხიოს ხუცესსაც ნება მისცეს სხვა ქეშიშების მიყვანისა. ჩვენც ჩვენს სოფელს აჭყვაში დავდეგით. ოსმალებს მცირე ხარჯს ვაძლევდით; არ გვაწუხებდნენ, არც სჯულზე გველაპარაკებოდნენ რამეს. ბევრნი თავადები და აზნაურები კი არ დარჩნენ ჩვენსკენ და გურიაში გადავიდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოსმალმა დიდ-ძალი ჯარი მოიყვანა და ჩვენი და გურიის საზღვრები შეკრა. ზოგი ჯარი საზღვრებზე დააყენა და ზოგი აქა-იქ სოფლებში. ჩვენ გვეგონა, რომ ჯარი საზღვრების გასამაგრებლად მოიყვანესო, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. რამდენიმე დღის შემდეგ მთელი ჯინტრიშ-ქობულეთის მამაკაცები ერთ ადგილს დაიბარეს და გამაჰმადიანება გამოუცხადეს. ხალხმა შესძახა:

— არ შეგვიძლიან, ჩვენ არ გავმაჰმადიანდებით, დავიხოცებით და მაგას კი არ ვიზამთ!

ოსმალთ არ უქმნეს, არ შეისმინეს თხოვნა. ამ ჩხუბის დროს ბუკუნაძე, დუმბაძე და ჭყონია მაჰმადიანებად აღმოჩნდნენ; ესენი წინადვე გამაჰმადიანებულიყვნენ ოსმალთ შესყიდვით. ამათ იყვირეს:

— ბიჭო, ჩვენ გავმაჰმადიანდით და რა დაგვაკლდა? არაფერი. გირჩევთ გამაჰმადიანდეთ თქვენც, თორემ ბევრი დაიხოცებით: ხონთქარი ძლიერია, ხალხმა მაინც არ ჰქნა. ოსმალთ მოთავე კაცები დაიჭირეს და ამათ სთხოვდნენ, რომ ხალხს გამაჰმადიანება ურჩიეთო, ამათ არ ჰქნეს და იმ დროის გამაჰმადიანებული თავდგირიძეები დიდად ლანძღეს. ამაზედ ჩხუბი ასტყდა და ეს კაცები ერთი კვირის შემდეგ ჭახათის ზემოთ, ტყეში დაარჩეს და ეს დამრჩვლები რამდენიმე დღეს თოკით ეკიდნენ ხეებზე. დიდი შფოთობა მოხდა, დიდი სისხლის ღვრა; ოსმალნი ქრისტიანებს აქ არ აყენებდნენ და არც სხვაგან უშვებდნენ; ჩვენები კიდევ არ მაჰმადიანდებოდნენ და ამიტომ დღე და ღამე ხალხის ხოცვა იყო, დედაკაცებისა და ბავშვების ტირილი და დიდი უბედურება.

ოსმალთ ბევრი ხალხი დახოცეს, მაღე ჭახათისკენ, გეიმს სა-

ზამისკენ ქვის სარჩობელა და თავ-საყვეთი გააკეთეს და იქ ძლიერ
ბევრი ხალხი ჩამოარჩეს, მაგრამ მაინც არ იქნა, ოსმალთ ვერ შეა-
შინეს აქაურები. ამ დროს ბებიაჩემი ხელ-მეორედ გაიქცა ოზურ-
გეთისაკენ და მეც თან წამიყვანა. მაშინ ვიქნებოდი 13 წლისა. მე
და ერთი ჩვენსავით გამოქცეული ქობულეთელი ჯაში გრ. გურიე-
ლის პაპასთან დაგვაყენეს და ბებიაჩემი ბატონს გურიელს ეხვეწებოდა,
რომ ეს ბიჭი არავის მისცეთ, რომ არ გამიმაჰმადიანონო. ბებია-
ჩემი კი ისევ შინისკენ დაბრუნდა და სთქვა: სადაც ჩვენები დაი-
ხოცებიან, მეც იქ უნდა მოვკვდეო. ოსმალთ ხალხის გაუმაჰმადია-
ნებლობა არ ჰქნეს და ამის გამო დიდძალი ხალხიც დახოცეს. საქ-
მე გაჭირდა. ბოლოს რამდენიმე მღვდელი და კაცი სიმონ გური-
ელთან მოვიდნენ და შველა სთხოვეს. სიმონმაც პირობა მისცა და
ეს მალე სტამბოლში წავიდა, მეც მოსამსახურეთ თან წამიყვანა;
მასთან სხვა თავადებიც იყვნენ. ამათ ხონთქართან მორიგება ჰქმნეს
და ნება აიღეს, რომ ქობულეთის და ჩაქვის ქართველები არ გაა-
მაჰმადიანონო. ამიტომ მალე წამოვიდნენ და აქაურ ფაშებთან ხონ-
თქრის ბრძანება ჩამოიტანეს და საქმე გაათავეს. ყველა დამშვიდდა,
ყველა თავის სახლ-კარის გაკეთებას და გამაგრებას შეუდგა; ყვე-
ლამ შეიტყო, რომ მორიგება მოხდა და ხონთქარმა ნება დაგვრთო,
რომ ქრისტიანებად ვიქნეთო. ჩემი ბებია გადმოვიდა გურიაში და
მეც უკან წამიყვანა ბატონისაგან, რადგანაც გამაჰმადიანების შიში
აღარ გვაქვს ბატონის წყალობითაო. მეც წაველ, ჩვენსას წასვლა
ძლიერ მიხაროდა.

რადგანაც ჩვენში გამაჰმადიანებულნი აქა-იქ იყვნენ, ამიტომ
ოსმალის ფაშებმა აჭარიდან ხოჯები და მოლები გამოგზავნეს ჩვენ-
ში და ესენი ალოცებდნენ ახალ გამაჰმადიანებულ ქართველებს. მა-
ლე აქა-იქ სოფელ-სოფელ ჯამეების კეთება იწყეს, ჩვენ ხალხს ამა-
ზე ძლიერ მოსდიოდათ ჯავრი. ხოჯა რომ „ლაილაჰეს“ სათქმელად
ავიდოდა ჯამეზე და დაიწყებდა ძახილს, ჩვენები ამაზე დიდად ჯავ-
რობდნენ და ამბობდნენ:

— რას ყვირის ეგ მ—ი, ეგაო და სხვანი. ხშირად ქვას,
ტალახს და ხის ნაჭრებს ესროდნენ ხოლმე და გააჩუმებდნენ. მაგ-

რამ იგინი მაინც არ იშლიდნენ თათრულად ლოცვას და ჯამეების კეთებას. გამჩენელი ღმერთის ბძანებით თათრობა ნელ ნელა ვრცელდებოდა და მაჰმადიანები მრავლდებოდნენ აქ. მალე იქამდის მივიდა საქმე, რომ ყოველ სოფელში ხუთიდამ ათი კომლი იქნებოდა თათრის. თათრებსა და ქრისტიანებში ჩხუბი იმართებოდა ხოლმე და ერთმანეთს ხოცავდნენ. ქართველებს სჯულიდგან გასულები ძლიერ ეჯავრებოდათ. ხოჯა-მოლებმა ხონთქართან იჩივლეს, რომ გურჯები ჯამეებს გვიქცევენ, გვაგინებენ, „ლაილაჰეს“ თქმას არ გვაცლიან და ახალ გამაჰმადიანებულთაც ხოცავენო. ამიტომ ხონთქრის ბრძანება მოვიდა ასე: რაც გურჯები არიან მანდა, ყველანი გაამაჰმადიანეთ და ვინც არ გამაჰმადიანდეს, დახოცეთ და ერთ კაცსაც ნუ დასტოვებთ გაუმაჰმადიანებლად, რომ საქმე მორჩეს და მოისვენოსო. ქიშიშებიც მთლად გარეკეთ გურიისაკენ და იქიდგან არც არავინ შემოუშვათ თქვენში და არც არავინ გაუშვათო; ვინც იქიდგან შემოვიდეს, დაიჭირეთ და გაამაჰმადიანეთო! თუ არ გამაჰმადიანდეს თავი მოსჭერითო. ვინც მანდედგან გაიქცეს და მოასწროთ სადმე და დაიჭიროთ, ისიც მაშინათვე მოჰკალითო. ბრძანებასთან ერთად დიდი ჯარიც გამოუგზავნათ.

ოსმალნი ბრძანების აღსრულებას მალე შეუდგნენ და დაიწყეს ხელ მეორედ ხალხის ხოცვა. ერთი სარჩობელაც ძველ ქობულეთში გააკეთეს, ყოველ სოფელს გარშემო ჯარი შემოუყენეს და დაუწყეს გამაჰმადიანებაზედ ლაპარაკი, მაგრამ ხალხმა უარი უთხრა და ამაზედ ჩხუბიც ატყდა; დიდ ძალი ხალხი დაიხოცა, ძლიერ ბევრნი აქეთ-იქით გაიქცნენ, ბევრნი დაიღუპნენ, მაგრამ მაინც ბევრი გაამაჰმადიანეს და ბევრი დარჩა ქრისტიანებად; ამიტომ ჩხუბიც გაძლიერდა, გურიელებმა ველარაფერი უშველეს.

დიდი ამბები მოხდა, ქრისტიანებს ძლიერ გაუჭირდათ საქმე; აქ აღარავის უშვებდნენ, რომ ქრისტიანად დაშთენილიყვნენ და ყველას ხოცავდნენ. ეს რომ ნახეს და აღარც ძალა ჰქონდათ ბრძოლისა, მაშინ ყველანი გამაჰმადიანდნენ, ისე რომ აღარსად სოფელში კაცი არ დარჩენილა გაუთათრებელი მოხუც ქალების გარდა. ჩვენც მაშინ გავმაჰმადიანდით, მე მაშინ ვიქნებოდი 16—17 წლისა.

თუმცა გავმაჰმადიანდით, მაგრამ ეკკლესიებს და ხატებს-კი პატივს ვსცემდით და ბევრნი ჩვენებურნი ეკკლესიებშიაც დაიარებოდნენ სალოცავად და ჯამეებშიაც. ეს ამბები ხოჯებმა ხონთქარს აცნობეს და მალე იქიდგან ბრძანება მოვიდა, რომ ეკკლესიები ან დააქციეთ და ან ჯამეებად გადააკეთეთო. ჩვენში ეს ამბები წინადვე შეიტყეს. ამიტომ ერთ დღეს, დილა ადრიან, მამაჩემმა გაადვიძა თავისი ძმები, მეც გამეღვიძა, რადგანაც მაშინ ბევრი ვაი-ვაგლახებისაგან ძილი გამკრთალი გვქონდა. მამაჩემმა თავისი ძმები და მეც აჭუვის მთავარ-ანგელოსის ეკკლესიაში წაგვიყვანა. ეკკლესიის კარები გააღეს, შიგ ბევრი რამ იყო: წიგნები, ხატები, ფული, ჯვრები და სხვანი, ყველა ესენი ერთად შეკრიბეს და ეკკლესიის ზეით ერთი დიდი ორმო გათხარეს და შიგ ჩააწყეს, ზევიდამ ხეები დააყარეს და მერე მიწა მიაყარეს და იქ დამარხეს, რომ ოსმალთ არ წაიღონო. ზევიდან კიდევ პატარა ღობე შემოავლეს, რომ ნადირი ან სხვა ვინმე არ მივიდეს იმ ადგილზე და არ დაიპილწოსო. ეს საეკკლესიო ნივთები დღევანდლამდე იქ მარხიაო. ადგილიც დამანახვა.

---

(მარადიდში ახმედ-ეფენდი-ხალვაშის ნაამბობი).

ღივანის გამაჰმადიანება ყველაზედ მეტად კახაბრისა და ჩაქვის სოფლებს ეწყინა. ქართველნი ძალიან სწუხდნენ ამაზედ. ბევრს მღვდელს მოსდიოდა ჯავრი, რომ ამდენი ხალხი გაამაჰმადიანეს; ამ დროს მახინჯაური გურიას ეკუთვნოდა და აქ სულ ქრისტიანობა იყო; ქრისტიანებს თავიანთი ეკკლესიაც ჰქონდათ, მღვდლად ყოფილა ვიღაც კეკიძე. ამას ხალხში გამოუცხადებია, რომ მე მარადიდში უნდა გადავსახლდე, იქაურს დიდს ეკკლესიას უნდა ვუპატრონოთო.

მღვდელი გადასახლდა მარადიდში, ოსმალთ შეიტყეს, მარადიდში ყოფნა აღუკრძალეს, მღვდელი შეწუხდა. მაშინ აქ სცხოვრებდნენ მახინჯაურელი ხალვაშენები, რომლებმაც კეკიძე მღვდელს

ფაშასთან დახმარება აღმოუჩინეს, თხოვნა მისცეს ფაშას და ფაშამ ახალ-გამაჰმადიანებულთა პატივსაცემად მღვდელს ნება მისცა მარადიდში დარჩენისა და მხოლოდ ეკკლესიის პატრონობისა, სხვა არაფრისა. თუ ვნახეთ, რომ ამ ეკკლესიაში, ან გარეშე ვინმეს ალოცებს, მაშინ იცოდეს, ცოცხალი არ დარჩებაო! ამ დროს საიდუმლო ქრისტიანთ რიცხვი აქ დიდი ყოფილა. ესენი თურმე ძლიერ ჩუმად დაიარებოდნენ მღვდელთან და ლოცულობდნენ. მღვდელი აქეთ ბარე 30 წელიწადს დარჩენილა და ამას ბევრს გამაჰმადიანებულებში მტკიცე საფუძველზე დაუმყარებია ქრისტიანობა. გამაჰმადიანებულთ ისე შეაყვარა ქრისტიანობა, რომ ესენი მღვდელს ეუბნებოდნენ:

— ჩვენ თავებს დავიკლავთ და ქრისტიანობას-კი არ დავტოვებთო! ეს ამბები მარადიდის ხოჯამ შეიტყო. ამან შეკრიბა უოვლისფერი დაწვრილებით და აცნობა ფაშას; ფაშამ კაცები გაგზავნა მღვდლის დასაჭერად და მასთან წასაყვანად. მღვდელს გეგიძეს ეს ამბავი საიდუმლო ქრისტიანებმა წინადვე აცნობეს. მღვდელი ერთ ღამეს მარადიდიდგან გაიქცა, მაჭრიალისკენ წავიდა. თან გამოუდგნენ ფაშისაგან გამოგზავნილი კაცები. ამათ მაჭრიალში დაიჭირეს, თავი მოჰკვეთეს უღვთოდ. ამით გათავებულა მარადიდში ქრისტიანობის საქმე.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბრძანება მოსულა, რომ მარადიდის ეკკლესია დააქციეთ და მის ადგილს ჯამე გააკეთეთო. ბრძანება შეუსრულებიათ. მარადიდის ეკკლესია მთლად დაუქცევიათ და ზედ ეკკლესიის საძირკველზე დაუდგავთ ის ხის ჯამე, რომელიც მარადიდში დღევანდლამდე სდგას.

---

(ნაამბობი სოფ. ზენდიდში და ძველს ქობულეთში მცხოვრებთ გუგუნავას და დუმბაძის მიერ).

ოსმალებმა მთლად გაამაჰმადიანეს ხალხი, მერე ეკკლესიები დააქციეს. საეკკლესიო ნივთებს ხალხი სახლებში ინახავდა, მაგრამ

ესენიც წაართვეს. ხალხსაც დაუწყეს თათრული ლოცვების შესწავლა და სწავლება. ამას გარდა ხალხს დაუშალეს, რომ არამც ეკკლესიებისაკენ არ გაიაროთო. ხალხი ამას ასრულებდა. ესენი ყველაფერს ერიდებოდნენ, მაგრამ ეკკლესიებში ფეხის ამოკვეთა-კი ძლიერ ედარდებოდათ. დღესასწაულ დღეებისათვის ესენი თავიანთ სოფლებიდან ღამე გაიპარებოდნენ აქა-იქ სხვა და სხვა ახლო მახლო ქრისტიანთ სოფლებში და იქ ესწრებოდნენ წირვა ლოცვას და დღესასწაულ დღეებს, ნამეტურ აღდგომა ღამეს ლიტანიას. ასე და ამ გვარად ძლიერ ბევრნი დადიოდნენ ეკკლესიებში სალოცავად და მით ინახავდნენ ცოტად ძველს სჯულს.

ერთ აღდგომა-ღამეს, ჩოლოქის განაპირა, თათრის სოფლებიდან რამდენიმე კაცი გავიდა სოფელ ქაქუთის ეკკლესიაში ლოცვაზე დასასწრებლად. ესენი ლოცვას დაესწრენენ და გათენებამდის ყველანი შინ დაბრუნდნენ. ამათ სახლში ყველას უხაროდათ, რომ ესენი აღდგომა ღამეს ეკკლესიაში წავიდნენ. ეკკლესიიდან ამათ წითელი კვერცხიც მოიტანეს. იმ დროებში აქეთკენ სააღდგომოდ ყველგან ღებავდნენ კვერცხებს. იმ ღამეს, სოფ. ქაქუთში, ერთ მეოჯახეს ცხენი დაჰკარგოდა. ეს ცხენი ეძებნათ აქეთ-იქით და ვერსად ეპოვნათ. ბოლოს ეფიქრათ: აქ რომ სალოცავად გამაჰმადიანებული ქართველები იყვნენ, უეჭველად ისინი მოიპარავდნენ ცხენებსაო. მეორე დღეს ქაქუთიდან რამდენიმე ქრისტიანი გადმოვიდა, მოსძებნეს ხსენებული კაცები და მათ დასწამეს ცხენის ქურდობა. ამათ უთხრეს:

— ღმერთი, სჯული, რომ ჩვენ არ წამოგვიყვანია. ჩვენს იქ ყოფნას ნურავის ეტყვით აქ, თორემ დავიღუპებით. აი ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენ საიდუმლოდ ვქართველობთ და ნუ გვიზამთ რამე ცუდს!

— მაშ ცხენი გამოაჩინეთ და არავის რას ვეტყვითო, მიუგეს გურულებმა.

ამათ ცხენი ვერ გამოაჩინეს, რადგანაც არც მოეპარათ. ბევრს ეხვეწნენ, ემუდარნენ და ბოლოს იმითი მორიგდნენ, რომ ცხენის სამაგიეროდ ფული მისცეს და გაისტუმრეს. მაგრამ დახედეთ ამათ ავ-კაცობას: ესენი იქიდგან შინ კი არ დაბრუნდნენ, ქობულეთში

გადავიდნენ და ცხენის ქურდობა მაინც უფროსს აცნობეს და უთვალივე შეატყობინეს, რომ აღდგომა ღამეს ჩვენსა იყვნენ და ლოცულობდნენო. ამის გამო ხსენებული კაცები დაიბარეს და კინაღამ თავები დასჭრესო, ცხენი კი მაინც ვერ აღმოჩნდაო. ამის შემდეგ ჩუმ ქრისტიან ოჯახებს ისე გაუჭირეს საქმე, რომ ქრისტიანობას სრულიად მოაცილესო. ესენი მოსცილდნენ, წმინდად გამაჰმადიანდნენ და მერე ერთ დღეს, გავიდნენ და ქაქუთში უთხრეს ქრისტიან დამბეზღებლებს:

— ბიჭო, რა მოგემატათ თქვენ, რომ ტყუილად დაგვაბეზღებთ? ჩვენ ეხლა წმინდად გაგვამაჰმადიანეს და ჩვენი ცოდვების პასუხის მგებელი თქვენ იქნებით და თქვენი შვილის-შვილებიო!

საქმე ასე გათავდა და მერე ოსმალოს კაცები სიიორის გზებს თვალ-ყურს ადევნებდნენ. რომ ქრისტიანებისაკენ ჩუმად არავინ გასულიყო. ბევრნი მოხუცებულნი კი ქრისტიანებად დაშთნენ, ნამეტურ ქალებ და ესენი როცა კვდებოდნენ, ქრისტიანულად მარხავდნენ. ხან მღვდელს გამოიყვანდნენ ჩვენში და იმას დაამარხვინებდნენ და ხან მიცვალებული გურიაში მიჰქონდათ დასასაფლავებლად. ბევრჯელ მოხდა ისე, რომ სიკვდილის დროს ზოგიერთი ახალ გამაჰმადიანებულები თავის ნათესავებს ავალებდნენ, რომ ჩვენ ქრისტიანულად დაგვასაფლავეთო. ამიტომ მიცვალებულის დამარხვას ჩვენში ქრისტიანულად ვეღარ გაბედავდნენ ხოლმე და მისი ნათესავები ღამე გურიაში წაასვენებდნენ და იქ დამარხავდნენ ქრისტიანულად საღმე; მაგრამ იქაც ჩუმად, რომ არავის ენახა და აქეთ ამბავი არ მოეტანა. ასეთი შემთხვევებიც მომხდარა, რომ ხანდისხან მკვდრის წამღებთ გზაში ოსმალოს მომხრე კაცები დახვედრიან, მკვდარი წაურთმევიათ, ან კიდევ წამღებთ დაუგდიათ მკვდარი გზაში და თვითონ გაქცეულან დასამალად. რამდენჯერ მკვდარი გზაში დარჩენილა და ნადირს შეუჭამიათ.

## ქართული ენის დაკარგვა შავშეთში.

(ნაამბობი შავშეთის სხვა და სხვა სოფლის მოხუცებულ ქართველთაგან).

არდაჰანი (არტაჰანი) გამაჰმადიანებულა, იქაური ქართველების ბევრნი სხვაგან გაქცეულან, არდაჰანის სოფლებში ქართველების ცოტა ხალხი დარჩენილა ზოგნი შავშეთში გადმოსულან,—მაშინ შავშეთი მთლად ქრისტიანი იყო, ქართულად ლაპარაკობდა. არდაჰანის გამაჰმადიანების შემდეგ შავშელებზე წინეთ ფოცხოვი და ქვაბლიანი გამაჰმადიანდა, აქედამაც ბევრი ხალხი გაიქცა გურჯისტანისკენ, იგინიც არ მაჰმადიანდებოდნენ, მაგრამ საქმე გაუძნელდათ. დარჩენა აღარ შეიძლებოდა. ამ ადგილების ხალხმა მალე იწყეს თურქულად ლაპარაკი, მცირე ხნის განმავლობაში მათი ყმაწვილები მთლად შეეჩვივნენ თურქულს და ქართულ ენას ივიწყებდნენ. ამ დროს შავშეთშიაც შემოვიდა თათრობა. შავშელთა მიიღეს მაჰმადიანობა, ამათ მიჰბაძეს არდაჰანს, ფოცხოვს, ქვაბლიანს და იწყეს მათებურად თურქულებრ ლაპარაკი, ყველა სცდილობდა რომ თურქული ესწავლათ, მოლა ხოჯებიც არიგებდნენ:

—ჩვენი სჯულის ენა თურქულია; ეცადეთ, რომ ეს ენა დაისწავლოთ, თორემ გურჯიჯა თქვენი საქმე არ არისო.

ჩვენი სოფლის ხალხი კეთილი ხალხია, უფროსის სიტყვის გამგონი. მათ მოისმინეს მთავრობის და მოლა ხოჯების თხოვნა, თურქულ ენის შესწავლა დაიწყეს; თურქულის შესწავლის დროს ქართული ენის შენახვის თავი აღარ ჰქონდათ, ამიტომ დაჰკარგეს ქართული ენა, დაავიწყდათ. დღეს, შავშეთში ქართული ენა არავინ იცის, მაგრამ ჩვენ მაინც გურჯები ვართ. მე ქართული არ ვიცი, მაგრამ ჩემს თავს გურჯს ვუწოდებ. ოსმალნიც ასე გვიწოდებენ. აი ამიტომ დავიწყებიათ შავშელთ ქართული ენა, რადგანაც ესენი მორჩილნი ყოფილან თავიანთის უფროსების. ქართული ენის დავიწყების პირველი ბრძანება ახალციხის ფაშისაგან გამოდიოდა, ამიტომ პირველად იქით ივიწყებდნენ ქართულს, ამ საქმეში ჩვენ ახსიხელები,

ქვაბლიანელნი და ფოცხოველნი გვჯობდნენ, ისინი ჩვენზედ მალე ივიწყებდნენ ქართულს.

---

(მეორეს ნაამბობი).

შავშეთის ხალხი გამაჰმადიანებულა, ბევრი მათგანი აჭარაში გაქცეულა, რადგანაც გამაჰმადიანება არა სდომნებიათ; შავშეთის სოფლები განახევრებულა, ისე, რომ თითო სოფელში 10—15 კომლი მოსახლე დარჩენილა, ამაზე მეტი ცარიელი სახლები. ამ ცარიელ სახლებში საცხოვრებლად ოსმალებს თურქები და ქურთები მოუყვანიათ და დაუსახლებიათ. ამ დროს შავშელნი გამაჰმადიანებულან. მერე გამაჰმადიანებულს ქართველებს თურქებს და ქურთებს შუა ნათესაობა ჩამოვარდნილა, ერთმანეთს ქალებს მოათხოვებდნენ, ქორვათ გაჰყვებოდნენ. რადგანაც ქართველები გამაჰმადიანდნენ, ამიტომ მათ თათრული ენის შესწავლა იწყეს; შავშელთ მალე შეისწავლეს თურქული, თურქებმა და ქურთებმა კი ვერ დაისწავლეს ქართული, ამათთვის არც იყო საჭირო რომ დაესწავლათ ქართული ენა ყველას თათრული უნდა დაესწავლა, რადგანაც ხელმწიფე და მთავრობაც თათრის იყო, ყველა დიდი კაცები თათრულად ლაპარაკობდნენ, ამიტომ ქართველებმა დაივიწყეს ქართული ლაპარაკი, ოსმალურად დაიწყეს საუბარი. ეს საქმეები მაშინ უფრო წავიდა წინ, როცა ქართველებს, ოსმალებს და ქურთებს შორის ნათესაობა ჩამოვარდა. შავშელნიც ხშირად ირთავდნენ ოსმალოს და ქურთის ქალებს. რომელ ოჯახშიაც თურქის, ან ქურთის ქალი შესულა ცოლად, იმ ოჯახის შვილებს ქართული მალე დავიწყებიათ. მე მოვესწარი ისეთ მოხუც ბერ კაცებს, რომელთაც ქართული ლაპარაკი კარგად იცოდნენ. დღეს, მათ შვილის შვილებმა კი ქართული აღარ იციან, რადგანაც ზემოხსენებულ მოხუცებულთა ზოგს ქურთის ქალი მოეყვანა ცოლად და ზოგს თურქისა.

---

(მესამეს ნაამბობი).

მთელი შავშეთის სოფლის ხალხნი სულ ქართველები ვართ, ეს ადგილებიც საქართველოა, ამას ფიქრი არ უნდა. აი ტბეთის ტაძარი, ოპოზის და სხვების მიტომ გაუკეთებიათ, რადგანაც აქ საქართველო ყოფილა. ყველა აქაურ სოფელს, მთას და ხეობას ქართული სახელები ჰქვს, აი მეც ქართული გვარი მაქვს: ჯინჭაროღლი — ჯინჭარაშვილი, თუმცა ერთი სიტყვა ქართული არ ვიცი. მამაჩემი კი იტყოდა, რომ ჩვენმა ძველებმა ყველამ იცოდნენ ქართულით. აქ ქართული ენა მიტომ ამოვარდნილა, რადგანაც ფადიშაჰის (სულთნის) ბრძანება ყოფილა. გარდა ამისა, ჩვენ ძველ კაცებს ბრძანება მოსვლიათ; რომ თქვენ შვილებს დღეის შემდეგ ქურთის ან თურქის ქალები უნდა შერთოთო, რომ ყმაწვილებმა თურქული ენის ლაპარაკი დაისწავლონო. ვინც ჩვენ ბრძანებას არ შეასრულებს იმას სასტიკად მოვეკიდებით, დავსჯითო. შავშელები ბრძანების შესრულებას შეუდგნენ, იწყეს არდაჰანისკენ მგზავრობა, იქიდან ქურთის და თურქის ქალები მოჰყვანდათ ცოლებად, თავიანთ ქალებს კი ქურთებს და თურქებს აძლევდნენ ცოლად. აი ამის გამო დაისწავლეს შავშელთ ყმაწვილებმა თურქული ენა და ქართული დაავიწყდათ. თორემ ეს რომ ასე არ მომხდარიყო, მაშინ ვინ დაავიწყებდა ქართულს ლაპარაკს შავშელ კაცს! მე ვკითხე:

— ეგ ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ ეს როგორ მოხდა, რომ მთელ შავშელთ დაივიწყეს თავიანთი ენა და ამ ხალხთან ახლოს მდებარე იმერხევის სოფლებში კი ყველა ქართულს ენაზედ ლაპარაკობს, ეს როგორღა მოხდა, ამაზე არაფერი იცი შენა?

— იმერხეველებზე იტყვიან, რომ ეგენი მთლად ისე დარჩნენ, როგორც იყვნენო. ოსმალებმა იქ არც ქურთები დაასახლეს და არც თურქები. იმერხევის მორიდება ოსმალებს არ ჰქონდათ, თვით იმერხევიც ისეთი ადგილებია, რომ მას ოსმალნი არ ეტანებოდნენ, აქ არავის ასახლებდნენ, შავშეთი კი ყველას მოსწონდა და ნამეტურ ოსმალოს. ამათ ჰშერდათ, რომ შავშეთში მათი ხალხი არ ესახლა,

ამიტომ მოიყვანეს აქ ოსმალნი, ქურთნი და დაასახლეს, რომელთა მეოხებითაც შავშეთში ქართული ენა ადრიდგანვე მისცემია ამოვარდნას.

---

(მეოთხეს ნაამბობი).

შავშეთი საქართველოა, ჩვენც გურჯები (ქართველები) ვართ, ხოლო გურჯული ენა აღარ ვიცით. ჩემი გვარი გოგლაძეა, სოფ. ციხისთაველი ვარ. მე ბერი კაცი ვარ და ჩვენი ბერი-კაცებისაგან შემიტყვია ასე:

შავშეთში ქართულის დავიწყება თავის ნებით იქმნაო. გამაჰმადიანების შემდეგ ქართული ენა ჩვენთვის აღარ იყო საჭირო, ჩვენ ჩვენს სჯულის ენაზე ვიწყეთ სწავლება და ქართული მთლად დაგვავიწყდა. ამის მიდავე არავინ იყო. ჩვენ თვითაც დიდად ვსცდილობდით, რომ ჩვენი სჯულის ენა დაგვესწავლა, სხვა თუნდ დაგვვიწყებოდა, ეს არაფერი სადარდელი საქმე იქნებოდა. ჩვენმა ძველმა კაცებმა ქართული კარგად იცოდნენ, თათრული მძიმედ, იმათ შვილებმა და შვილის-შვილებმა ვიმეცადინეთ და თათრული ენა კარგად დავისწავლეთ, ამიტომ ქართული დაგვავიწყდა. მე ვჰკითხე:

— თქვენ თუ დაგავიწყდათ, რატომ ახალ-დაბის, ჯვარების და ჯაგლუფის სოფლელთ კი არ დაავიწყდა, ისინიც ხომ თქვენს სოფლებს ახლო სცხოვრებენ?

— იგინი ბატონო, ერთობ გვიან გადაბრუნებულან სჯულიდამ, მიტომ არ იტყვიან თათრულს.

— იმერხევი ხომ შავშეთთან ერთად გამაჰმადიანდა, რატომ იქ კი არ დაივიწყეს ქართული?

— ეგ იმიტომ რომ ოსმალები იმერხევს არ ეტანებოდნენ, ქვიანი ადგილია, იქ მცხოვრები კაცი მხნე, მუშა კაცი უნდა იყოს და მასთანვე იცოდეს იქაური ადგილების საქმეები. ამიტომ ოსმალები იქ არავის ასახლებდნენ გარედამ მოყვანილებს. იმერხეველებს

მიტომ შერჩათ ქართული ენა. შავშეთიც რომ ასე ყოფილიყოს, მაშინ აქაც ასე იქნებოდა, მაგრამ შავშეთი ლამაზი ქვეყანა არის, კარგი ადგილებია, ოსმალებმა ეს ადგილები ვერ დასთმეს, აქ ქურთები და ოსმლები მოიყვანეს და დაასახლეს, ჩვენი ძველები იმათში არეულან და მიტომ დავიწყებიათ ქართული ლაპარაკი. დღეს შავშეთში ნახევარი თუ ქართველის კაცის არის დარჩენილი, ნახევარი ქურთ-თურქების და ყველა ესენი ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ იგინი ერთმანერთისაგან ვეღარ გაირჩევიან; ყველას თავის ძველების ამბები დავიწყებიათ და ამბობენ, რომ ჩვენ ძველთაგანვე აქ ვსცხოვრებდით შავშეთშიო, ყველას გურჯად მიაჩნია თავისი თავი. ეს დღეს უფრო გახშირდა, რადგანაც აჭარლებს ეშინიანთ, რომ გურჯათ არ ვსთქვათ ჩვენი თავები, მაშინ შეიძლება, რომ ოდესმე აქედან გაგვრეკონო, რადგანაც ეს ადგილები გურჯისტანია, და თქვენ კი თათრებსა და ქურთებს აქ რა ადგილი გაქვთო.

---

(მეხუთეს, ღრმად მოხუცის ნაამბობი).

ჩვენში, ბატონო, აი როგორ ყოფილა სჯულიდამ გადაბრუნება და გურჯის (ქართული) დავიწყება:

ოსმალებს გურჯისტანი (საქართველო) აუღიათ, მერე ზარუშეთი (ერუშეთი) გამაჰმადიანებულა. ზარუშეთი არდაჰანს (არტაანს) იქით არის, ზარუშეთის შემდეგ გოლა (კოლა) სადაც არდაჰანი სძევს. გამაჰმადიანების შემდეგ გოლას და ზარუშეთის ხალხი ცოტა დარჩენილა, ოსმალებს თავისი კაცები მოუყვანიათ და დაუსახლებიათ. იქ დარჩენილი გურჯები ახალ მოსულ ხალხში არეულან, ამათი ენა შეუსწავლიათ და თავიანთი დავიწყებიათ. იმ დროს შავშეთი ქრისტიანი ყოფილა. ჩვენი ძველები ზარუშეთის ერთს ხევში მდგარან, ჩილდირში, სოფ. წყაროს თავში, იქ დიდი ქლესიაც არის, იქიდამ აქ მოსულან და დასახლებულან. შავშელებს მაშინ იქით მისვლა

მოსვლა არ ჰქონდათ, რადგანაც სჯულიდამ გადასულები სძულდათ. ტბეთში დიდი ქეშიში იჯდა და ეს არ უშვებდა, რომ შავშელები გამაჰმადიანებულიყვნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ტბეთის ქლესიიდამ დიდი ქეშიში გააგდეს (წინამძღვარი) და ქლესიის კარები დაკეტეს; მერე ხალხს გამაჰმადიანება სთხოვეს, შავშელნი მალე გამაჰმადიანდნენ. გამაჰმადიანების შემდეგ შავშელებმა ზარუშეთში და გოლაში გადასვლ-გადმოსვლა იწყეს, იქ ყველი, ერბო, პური და ხილი მიჰქონდათ და ჰყიდდნენ. ამიტომ შეისწავლეს თათრული ენა; მერე ჩვენში ნათესაობაც ჩამოვარდა, ერთმანეთში ავირიენით და ამიტომ მოხდა, რომ შავშეთში დაივიწყეს ქართული. ჩვენს გარშემო ზარუშეთში და გოლაში აღარავინ ლაპარაკობდა ქართულს და ჩვენ აბა რას ვიზამდით? ყველაზე უფრო კარგა ხანს ჩილდირში დარჩა ქართული ენა. მე კარგად მახსოვს, რომ იქიდან ჩვენსა ბერი კაცები რომ მოვიდოდნენ მაშინ ისინი მამაჩემს ქართულად ელაპარაკებოდნენ მე კი თათრულს ვლაპარაკობდი, მათი ენის არაფერი მესმოდა. ჩილდირშა ხან კაიმაკანი იჯდა, ხან ბეგი და ადრე ფაშაც მჯდარა. რაც შავშეთში ქართული ენა დაიკარგა, მას შემდეგ 80 წელიწადი იქნება, მეტი არა. ამ 30 წლის წინეთ შავშეთში ყველა ბერმა კაცმა და ქალმა იცოდა ქართული ლაპარაკი, თუმცა ისინი თავიანთ შვილებში ქართულს აღარ ლაპარაკობდნენ. შვილებს თათრულს ენაზე ელაპარაკებოდნენ რომ შვილები თათრულს შეჩვევოდნენ, ამ ცოდნით ლოცვის თავებიც გაეგოთ, ხოჯებიც ამას ითხოვდნენ.

---

## ქობულეთის გამაჰმადიანება.

(გულო ალა კაი კაცისშვილის ნაამბობი).

როცა ქობულეთის გამაჰმადიანება დაიწყეს, მაშინ თურმე ჩვენი ძველები მეტის-მეტი მტკიცე ქართველ ქრისტიანები იყვნენ.

სჯულის გამოცვლა ძრიელ ეძნელებოდათ, მაგრამ რას იზამდნენ, „ძალა ღმრთის ხნავსო“ იტყვიან ჩვენი ძველები, ჩვენც ისე მოგვივიდა,—გამაჰმადიანება გახდა ჩვენს ძალად, ჩვენს იარაღად, ამით ჩვენ შევძელით სიცოცხლის პოვნა. დარჩენა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაწყვეტა. ორში ერთი უნდა ეყოფილიყო. ან გამაჰმადიანება და მით სიცოცხლის პოვნა, ან გაწყვეტა და ქრისტიანად დაშთენა. გაწყვეტას ისევ დაშთენა ამჯობინეს. რადგანაც მრავალთ იმედები ჰქონდათ, რომ ამ მხარეს, ერთ დროს, ისევ ქრისტიან-ქართველები აიღებენ, აქ ისევ ძველებური ცხოვრების წესები აღორძინდებაო.

პირველ გამაჰმადიანების დროს, ჩვენმა ძველებმა ბევრი რამ საეკკლესიო ნივთები მიწაში დამალეს. სადაც კი სოფელი იყო, იქ ეკკლესიაც არსებობდა, ეკკლესიას თავის ნივთები და წიგნებიც აქვნდა, ამ ნივთების უმეტესი ნაწილი სულ მიწაშია დამალული და შენახული. ამას ჩვენი ძველები მიტომ ჩადიოდნენ, რადგანაც მათ იმედი ჰქონდათ, რომ ამ მხარეში ქართველთა ხმა და ცხოვრება ოდესმე კიდევ გაცხადდება, კიდევ გამაგრდებიან, მაშინ ამ ნივთებსაც მიწიდან ამოიღებენ და მით ჩვენც მოგვიგონებენო.

ღვთით, ეხლა, აი უკვე მოვიდა ის დრო, ის ხანა, რასაც ჩვენი ძველები ნატრობდნენ. ეხლა ძველ ნივთებს პატრონობა უნდა, ყველა სოფლის ძველ ეკკლესიის თუ ნაეკკლესიარების ახლოს ადგილები უნდა გაითხაროს, იქ ბევრი ძველი ნივთები აღმოჩნდება, ბევრს ძვირფასს, უცხო უნახავს კვალს მივაგნებთ. ამას შრომა უნდა მხოლოდ, ცდა და საქმის პატრონობა. ნეტარ-ხსენებულმა გრიგოლ გურიელმა ამ მხრის ამბები ერთობ კარგად იცოდა და მიტომაც მოგზაურობდა აქეთ, ფულს დაუშურებლათ ხარჯავდა და მიწას ათხრევინებდა. კარგია, რომ ხსენებული პირის მაგალითებს სხვებმაც მიჰბაძონ და აქამდის მიწაში ობლად შთენილ ქართველთ ნივთებს უპატრონონ.

ახალ გამაჰმადიანებულთ მოლები აი რას ეუბნებოდნენ:

გამაჰმადიანებული თუ ღვინოს, ან არაყს დალევს, ან ქართ-

ველ კაცს დაუმეგობრდება, იმას სიკვდილის შემდეგ პირში გველი ჩაუძვრეტა და თავს წელში ამოჰყოფს, სასტიკად დაისჯება.

ასწავლიდნენ კიდევ შემდეგს: რაკი შენ გამაჰმადიანდი, დღეის შემდეგ რაკი წმინდა გზა ამოირჩიე ამიტომ ღმერთი ყველაფერს გაპატიებს. შენ ოღონდ დღეში ხუთჯერ ილოცე და დანარჩენის ფიქრი ნუ გაქვს, რაც გენებოს ის ჰქენი, ჩვენ სალოცავად ვართ გაჩენილები და ქართველ ქრისტიანები სამუშაოდ; იმათ უნდა იმუშაონ და ჩვენ უნდა ვილოცოთ, იმათ რომ გინდ ჩვენ ნამუშევარიც წავართოთ, ჩვენ ამაზე მაინც არავინ გაგვრისხავს. იყო ისეთი დროც, როცა ჩვენ ახალგაზრდა ბიჭებს ჩვენი სჯულის თავი კაცები მაღალს გორაზე აგვიყვანდნენ და გვეტყოდნენ შემდეგს:

— აბა, გადახედეთ გურიას, აგერ, ისინი სამუშაოდ გაუჩენია ღმერთს და ჩვენ კი სალოცავად, თქვენ ოღონდ ილოცეთ და დანარჩენის ზრუნვა ნუ გექნებათ; როცა შეიძლოთ, გადადით, დაედევით მუშებს, ნამუშევარი წაართვით და იცხოვრეთ მით, ღმერთი თქვენ ამაზე არ შეგრისხავთ.

---

(მოხუცის მჟავანაძის ნაამბობი)

ჩვენი ხალხის გამაჰმადიანება, შენი ჭირიმე, დიდის წვალებით მომხდარა. მე რომ მითხრას ვინმემ: გაქრისტიანდი, თორემ შვილს მოგიკლავთ, მე მაშინათვე გავქრისტიანდები და შვილს კი არავის მოვაკვლევინებ. სოფელ ჩაქვის ხალხი მთლად გამაჰმადიანების გამო გაწყვეტილა ოსმალთან ბრძოლაში; ყველას პირზედ ის ჰქონია, რომ არ გავმაჰმადიანდებით და არაო. ამის გამო ოსმალებს მთელი ჩაქვი გაუწყვეტიათ. მაგრამ მაინც ვერაფერი გაუწყვიათ: თვით ჩვენი ძველები იტყოდნენ და მეც მოვსწრებივარ იმ კაცებს, რომ კინტრიში გაამაჰმადიანეს, ქობულეთსა და ჩაქვის ხეობაში კი ჩუმად ინახავდნენ ქრისტიანობასა. რადგანაც ხალვაშენების და გორგაძნეების გვარში მღვდლებს ჩუმად ინახავდნენო. ამათ მღვდლები

საურო ტანსაცმელით ჰყავდათო, ამათაც ბოლოს ოსმალებმა შეუტიეს და ერთ დღეს კინაღამ დახოცეს ყველანი. როგორც ამბობენ, ჩვენი ძველები ქრისტიანობაზედ ძალიან მაგრა მდგარან, ძლიერ ბევრი უშრომიათ მის შენახვაზედ და ბევრიც უწვალნიათ და უტანჯნიათ გამაჰმადიანების გამო. ვერ ნახავთ ვერც ერთ ოჯახს ჩვენის ძველებისას, რომ იქ გათათრების გამო დიდი სისხლი არ იყო დაღვრილი. თათრობას მით უფრო ერიდებოდნენ და სძულდათ, რადგანაც თათრობა ძლიერ ძნელი რამ არის, ამასთანავე თუმც სუფთა, მაგრამ დღეში ხუთჯერ ლოცვა ერთობ უძნელებს ხალხს საქმეს. ჩემის ახალგაზდობის დროს მე მახსოვს კარგად, რომ ჩვენ არც ერთი ლოცვა არაბულად რიგიანად არ ვიცოდით. აქ დიდხანს მეცადინეობდნენ ხოჯა-მოლები, რომ ჩვენთვის ლოცვები ესწავლებინათ, მაგრამ მაინც ვერ გვასწავლეს და ეს დღესაც არ ვიცით კარგად.

ხოჯებმა და მოლებმა ერთი ის გვასწავლეს, რომ შენ ქართველი არ ხარ, ქართველი შენი მტერია. ქართველი მურდალია და მისი მომკვლელი თათარი უეჭველად ცხონდება, ჯენეთის კარები ღია დახვდება, იქ მაჰმადსაც ნახავს. ასე ატყუილებენ მოლები. ის კი არ აგონდებათ საწყლებს, რომ კაცის მკვლელი როგორ უნდა ცხონდეს. მოლები და ხოჯები რომ არ ატყუილებდნენ, მაშინ ჩვენ რა გვაქვს ერთმანეთში სამტრო. ჩვენ განა არ ვიცით, რომ ქართველთ შთამომავალნი ვართ და საქართველოს შვილები, მაგრამ რა გაეწყობა, რაც გვემართება სულ მათგან ხდება.

---

## გურიის გათათრება და გათათრებული მთავარი ალი გურიელი.

(ქობულეთელის მოხუც ქართველ მაჰმადიანის ნაამბობი).

გურიაში, მებატონეები თავიანთ ყმა კაცებს სდევნიდნენ, მათი ყმები ოსმალის საბრძანებელში მორბოდნენ. აქ მაჰმადიანობას იღებ-

დნენ და მით ბატონის ყმობისაგან სამუდამოდ თავისუფლდებოდნენ. გამაჰმადიანებულის ყმობა და პატრონობა არავის შეეძლო, მაჰმადიანობა ქრისტიანობის ყმობის ნებას არავის აძლევდა. ხანდისხან ხდებოდა ისიც, რომ გურიიდამ აქ მებატონენი გადმოდიოდნენ და თავიანთ ყმებს ეძებდნენ, ყმებს ხშირად ჰპოულობდნენ, მაგრამ წაყვანას კი ვერ ბედავდენ ვინ მისცემდა ნებას? მაშინ თვით მათაც დასტყვევებდენ და ტრაპიზონს, ან სტამბოლს უკრავდენ თავს. ბევრი მებატონე მოსულა აქ, უბრალოდ უვლია, თავის გაქცეული ყმა უპოვნია, მაგრამ მით არაფერი რგებია და შინ ცარიელი დაბრუნებულა.

ამ გარემოებამ მებატონეები სხვანაირად გარდაჰქმნა. ამათ რა ნახეს, რომ მათი ყმები თავიანთ ნებით გარბოდენ სხვაგან და მათ სამუდამოდ ეკარგებოდენ, ამიტომ მებატონეებს ხშირად თავიანთ ყმის შვილები ოსმალის სინორზე (საზღვარი) ნათეს ყანებში მოტყუილებით სამუშაოდ გადმოჰყავნდათ, ჩვენც იქ ჩავდიოდით, იმათგან ვყიდულობდით გოგო-ბიჭებს, აქეთ მოგვყავნდა, შემდეგ ტრაპიზონს და სტამბოლს მივერეკებოდით და იქ მაჰმადიანებზე ვყიდდით კაი ფასებად. აი ასეთ მყიდავ-გამყიდავთ სახელად გოთაულები ერქვათ. ჩვენი გვარის კაცნიც მთლად ვგოთაულობდით, ნაყიდის გურულებით გავავსეთ ტრაპიზონი, სტამბოლი, დიარბექირი და მისირშიაც კი მიჰყავნდათ და ჰყიდდენ კაი ფასებად.

იყვნენ ისეთი მებატონენიც, რომელთაც თავიანთი ყმის შვილები ბათუმში მოჰყავნდათ და აქ თავისუფლად, აშკარად ჰყიდდენ. ბათუმში ამათთვის ბაზარი იყო გამართული, ამ ბაზარში გოგო-ბიჭები მიწაზე დაკუნტულები ისხდენ, უკან მებატონენი ადგენ, მყიდველნი მივიდოდნენ, დაარჩევდნენ უმაწვილებს, ფასზე მორიგდებოდენ, იყიდდენ და მერე მიერეკებოდენ ოსმალეთში. ასეთის დაყიდულის უმაწვილებით ხშირად ოსმალის ვაჭრები მთელს გემებს ტვირთავდენ. ჩვენს გარდა უმაწვილების ვაჭრობას ოსმალთა ვაჭრებიც მისდევენ, მაშინ გოგო 5 მ. იყიდებოდა და ბიჭი 7 მანეთად.

საქმე ისე მოეწყო, რომ უკანასკნელ გურიიდამ და იმერეთიდამ გლეხთაგანნი მთელის ოჯახობით მორბოდენ აქეთ, აქ სახლდე-

ბოდენ, მაჭმადიანობას იღებდენ და მით თავისუფლდებოდენ სამუდამოდ. რაც კი კახაბრის ახლო-მახლო სოფლებში ხალხი სცხოვრებს, თითქმის სულ იმერეთიდამ და გურიიდამ გამოსულები არიან, აქ დასახლებული და გამაჭმადიანებული. იმერეთს და გურულ გოგო-ბიჭების ყიდვა ბათუმში მხოლოდ 1860 წლებში მოისპო, რადგანაც ბათუმში რუსის ვიც-კონსული იჯდა და ის ნებას არ აძლევდა, მეიდავებს სასტიკად სჯიდა და დაპატიმრებულებს აბრუნებდა იმერეთსა და გურიაშივე

---

(თავადის გრიგოლ დავითის ძის გურიელის ნაამბობი).

მე რუსეთში ვიყავ, იქ ვმსახურებდი, ჩემს ძმას თავის და ჩემ საყმოდან გოგო-ბიჭები დაეგროვებინა, ბათუმში ჩაერეკა და ოსმალებზე დაეყიდნა. ჩემი ყმის ნათესავებისაგან წერილი მივიღე რუსეთში და თან თხოვნა, რომ გვიშველეთ რამე, თორემ შენმა ძმამ თავის ყმებს გარდა თქვენი ყმებას სყიდვაც დაიწყო, თქვენ ყმებთაგანს ბევრს ამაჭმადიანებენო. მე მაშინათვე დავბრუნდი რუსეთიდან, ჩაველ ბათუმში და ვინც კი ვნახე ჩემი, ჩემი ძმის და ან სხვა მებატონეთაგან დაყიდულნი და ჯერ არ გამაჭმადიანებულნი, ყველანი დავიხსენი და გურიაში დავაბრუნე. მე რუსეთს დავბრუნდი ისევ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემ ძმას კიდევ დაეყიდნა გლეხები. მომივიდა კიდევ იქ წერილი, თხოვნა და დაყიდულთა ნათესავთ გოდება, მე გავხელდი. დავბრუნდი მეორედ, ჩაველ ბათუმსა, ქობულეთსა და დაყიდულები დავიხსენი და დავაბრუნე გურიას. ჩაველ ოზურგეთს და ჩემს ძმას ვუთხარ:

— შე შეჩვენებულო, შენა, ვერ ხედავ, რომ ლამის ქართველობა მოვისპოთ. შენც მალაქია გახდი, შენს ყმებს თუ აღარ ასვენებ, ჩემსას მაინც დაანებე თავი, მე მაინც მომასვენე, რა უბედურება არის ეს? მე მალე რუსეთს დავბრუნდი, მაგრამ მან და მალა-

ქიამ მაინც არ დასტოვეს, არ დაანებეს თავი ჩუმად გურულ გოგო-ბიჭების ოსმალებზედ დაყიდვას და გათათრებას.

---

## ჯავახეთის და სამცხის გათათრება.

(ნაამბობი ხევნელ მოხუცებულ მაჰმადიანთაგან).

ჩვენ ახალციხელები გახლავართ. ახალციხე და ახალქალაქი რომ რუსმა აიღო, მის შემდეგ ჩვენ იქ არ დავდექით და მთლად ახმედ ფაშას გამოვყევით. იმან აქ ზეგანში მოგვიყვანა და სხვა და სხვა სოფლებში დაგვასახლა. მაშინ, ჩვენს აქ მოსვლამდის, ზეგნელებს შეშინებოდათ, ვაი თუ რუსები მოვიდნენო და ამიტომ ისინი ოსმალში გაქცეულიყვნენ. ჩვენ რომ მოვედით აქ, ზეგანში 40 სოფლამდის იყო აყრილი და წასული.

ძველად ბატონო, ასე იტყოდნენ ხოლმე, რომ თათრობა ყველაზედ ადრე ახალციხეს და ახალქალაქისკენ შემოუტანიათ. აჭარა შემდეგ, ძრიელ გვიან გათათრებულა, ახალციხეს და ახალქალაქს ყოველთვის ფაშები მსხდარან და ამიტომ ის მხარე ადრე გაუთათრებიათ, ფიქრი ჰქონიათ, რომ ახალციხიდამ უფრო შორს, თქვენსკენ წამოვიდოდნენ, იქითაც გაათათრებდნენ. აქეთა მხრის შიში მათ არ ჰქონიათ, ესენი შუაში იყვნენ მომწყვდეულნი, ამიტომ დაუტოვებიათ, ამათ შემდეგ გავათათრებთო. საქმე ახალციხე და ახალქალაქი ყოფილა.

— მაშ ყველაზე ადრე ახალციხის და ახალქალაქის ქართველნი გათათრებულან? ვკითხე მე.

— დიახ, სწორედ, ყველაზე წინ ეგ კუთხეები გათათრებულა. გამიგონია, რომ ჯერ არტაანი, ერუშეთი, ფარახალი, შავშეთი, აჭარა და ლივანა არ იყო გათათრებული, რომ ახალციხე და ახალქალაქის სოფ. გათათრდაო.

— თქვენის ძველებისაგან არ შეგიტყვია, რომ ძველად, ახალ-

ციხის და ახალქალაქისკენ რა ხალხი სცხოვრებდენ, მთლად ჩვენები, თუ ქურთებიც ესახლნენ, როგორც ეს ეხლა არის.

— ეგ ამბავი მეც ვიცი: ძველად მთლად ჩვენები უსახლნენ. მათგანი ზოგი გათათრების გამო გამწყდარან, ზოგნი თქვენსკენ წამოსულან, ზოგნი ერთხელ თქვენს მეფეს მიმხრობიან იმის დროს და აქედამ აყრილან და მეფეს თან გამოჰყოლიან, ზოგნი ოსმალთ დაუხოცავთ, რომ არ გვიღალატონო. მათ შემდეგ აქა იქ ქურთები მოუყვანიათ და დაუსახლებიათ, უფრო კი ახალციხას და ახალქალაქის გარშემო, ჩვენებში აურევიათ.

— შენ ხომ არ შეგიტყვია რამე ცნობა, თუ საით უფრო ადრე იწყეს თურქულათ ლაპარაკი, აჭარაში თუ ჯავახეთში?

— ძველი კაცები იტყოდენ, რომ ახალციხეს თათრულს კარგათ ლაპარაკობდენ, ბეგებს გარდა გლეხებმაც ისწავლესო, ქართულს ივიწყებდენ და თათრულს ეჩვეოდენო, იმ დროს, აჭარელებმა, კი თათრულის არაფერი იცოდენო. თათრულის შესასწავლებლათ ფაშები, ხოჯები და მოლებიც ცდილობდენო, რადგანაც ამის ბრძანებაც იყო სტამბოლიდამაო. მე გამიგონია, რომ ახალციხისკენ ქართულის ლაპარაკის ეშინოდათო.

ამ გარდმოცემის დასამტკიცებელი ცნობები, ჯავახეთში, მე ქართველ კათოლიკეთაგანაც შემიტყვია: მათში დარჩენილია თქმულება, რომ ძველად, ახალციხის და ახალქალაქისკენ, ქართველ მაჰმადიანებს ქართულ ენას სასტიკათ უკრძალავდენ, ვისაც შეუტყობდენ ქართულს იმას სასტიკად სჯიდენო. ქართველობას თვით ქრისტიანობასაც უკრძალავდენო, იმის მეოხებით გაბატონდა ძველად ქართველ კათოლიკებში სომხური ენაო. ხალხის გარდმოცემა ძრიელ ემოწმება ისტორიულ ცნობებს და სწორედ ამის მეოხება უთუოდა რომ ქართული ენა ჯავახეთის ქართველებში ადრიდგანვე დაცემულა. საოცარია, რომ ახალციხის გასწვრივ ქვაბლიანსა და ფოცხოვს ქართველ მაჰმადიანებში ქართული ენა ადარავინ იცის და იმათ იქით კი ზეგანს, სადაც 120 სოფელია, აჭარას და სხვაგან კი მთლათ ქართულად ლაპარაკობენ ქართველ მაჰმადიანები. ეს უთუოდა მიზეზი, რომ ოსმალთა მთავრობას დიდი ყურადღება ჰქონია მიქცეუ-

ლი ახალციხესა და ახალქალაქზედ და მიტომაც თვისი მახვილი პირველად აქ უმოქმედებიათ, რადგანაც ამათის გადაგვარების მეოხებით სდომნიათ დანარჩენ საქართველოს დაპყრა და ქართველების გათათრებაც. ეს არის უმთავრესი მიზეზები იმ გარემოების, რომ დღეს ახალციხის და ახალქალაქისკენ ქართული ენა ნატამალობს.

---

## ამ მასალების შეკრების გამო.

დასავლეთ საქართველო საკმარისად ვრცელი მხარეა, იგი იწყება ბორჯომიდამ და მიემართება დასავლეთ არსიანის მთით ოლთისამდე და სამხრით არმენიამდე. ძველად ყველა ამ ადგილებში ქრისტიან-ქართველები ესახლნენ, ქართულს ენაზედ მოლაპარაკენი, შემდეგ დროის მცხოვრებთ ქართველთა მაჰმადის სჯული მიიღეს და უმეტეს ნაწილმაც დაჰკარგა დედა-ენა, დღეს ქართულს ლაპარაკობენ ბათუმის ოლქში, ართვინის, არდაჰანისაში მცირედ, ასევე ყარსის და ოლთისას ძრიელ მცირე, თითქმის იშვიათად. ოსმალეში კიდევ არის დარჩენილი აქა-იქ საქართველოს ადგილები, სადაც ქართველ მაჰმადიანები ქართულად ლაპარაკობენ. კაცი როცა ამ ადგილებში დადის და უმზერს ადგილების სივრცეს, სოფლების რიცხვს და გამაჰმადიანებულ ქართველთ, მაშინ ის ჰკვირდება მასზე, თუ ეს ამოდენა ქართველობა ნეტა ოსმალებმა როგორ გაამაჰმადიანეს! ისეთი რა მანქანება და ძალა იქონიეს, რომ ამაზე ჩვენ არაფერი ვიცით? ვიცით მხოლოდ ის, რომ 1713 წ. ახალციხეში, ფაშის ბრძანებით, საქვეყნოდ ოსმალთაგან დახრჩობილ იქმნა ელისე არქიმანდრიტი და რამდენიმეც სხვა სასულიერო პირნი. 1720 წ. ვახუშტი სწერს: — „სამცხეთში ქართულ ენას გარდა ქართველების ყველაფერი მოისპოვო, მცირედ აქა იქ გლეხნი-ღა არიან ქრისტიანეთ, თორემ სხვა ყველა გამაჰმადიანდაო“. ამ ცნობას გარდა „ქართლის ცხოვრებაშიაც“ არის შემდეგი სიტყვები: — „ოსმალთ სამცხე აიღეს, ხალხი გაამაჰმადიანეს, ეკკ-

# ქართველების გათათრება

ანუ

ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ქართველებში

(XVII—XVIII საუკ.)

ისტორიულის და ზეპირ-გარდმოცემულის ცნობებიდგან დაწერილი

ზ. ჭიჭინაძისა

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა || ТИПОГР. Т. М. РОТИНIАНЦА
1901

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15-го Декабря 1900 г.

ლესიები დააქციეს, ჯამეები ააგეს, წირვა-ლოცვა მოსპეს, მაჰმადიანურად დაიწყეს ლოცვა, თავადებს თავადობა ჩამოართვეს და ბეგობა მისცეს, აზნაურებს აზნაურობა ჩამოართვეს და ალიობა მისცეს, განწესდა მაჰმადიანობა და ქართველნი მოიძულებდნენ ქართველთა და სრულიად მაჰმადიანურს წესსა და ჩვეულებაზე მიექცეოდნენ". თუმცა ჩვენი ისტორია ასე მოკლედ და ადვილად გადმოგვცემს ქართველთ გამაჰმადიანების ისტორიის ცნობებს, მაგრამ როგორც სჩანს ეს ისე ადვილად არ მომხდარა, ამ სარწმუნოებრივ ცვლილებას თავის დიდი, ვრცელი ისტორია ჰქონია, ამ ისტორიის მასალებს ჩვენ დღესაც ვპოვებთ ხალხში ზეპირად დაშთენილს.

დღევანდლამდე აქა-იქ მოხუცებულებს კიდევ შეხვდება კაცი, რომლებსაც კარგად ახსოვთ ბევრი რამ გამაჰმადიანების ცნობები, ეს ამბები მათ თავიანთ ძველებისაგან გაუგონიათ. ასეთ მოხუცებულებმა ბევრი რამ ამბები იციან ხახულის ტაძრის შესახებ, ანჩის, პარხლის, ტბეთის, ზარზმის, ოპიზის, დოლის ხანის და სხვების. ჩვენ თუ ამათ ყურადღებას არ მივაქცევთ და არ დავწერთ დღეს ცნობებს, შემდეგ ეს სულ ველარ მოხერხდება, რადგანაც 10—15 წლის განმავლობაში ეს მოხუცებულები სულ მიეფარებიან. ამ მოხუცებულთაგან განაგონი ამბების შეკრება ჩვენთვის მით უფრო არის საჭირო, რადგანაც აწინდელი მოლა-ხოჯები ხალხს უქადაგებენ, რომ ქართველნი ოსმალებს ნუ ემდურიან, ქართველთ გამაჰმადიანება ნებაყოფლობით მომხდარა და არა ძალითაო. ოსმალთ ძალა არავისთვის დაუტანებიათო. ეს პირები წინააღმდეგნი არიან თვით ხალხში დარჩენილი ძველი ზეპირ ცნობების და ამბობენ, რომ ზეპირ ცნობები ტყუილია, ეგ ყველა ქართველების მოგონილიაო. ამას გამოაჩენენ და დაამტკიცებენ ცნობები, როცა-კი შეიკრიბება, თუ ქართველთ რა მწუხარებით, მსხვერპლის შეწირვით და სისხლის ღვრით მიუღიათ მაჰმადიანობა, ქართველნი წამებულან თითქმის. ყოველს აჭარელს, შავშელს, ლივა-

ნელს, მაჭახლელს და სხვათაც მეტად დიდი სისხლი აქვსთ ოსმალთ წინაშე დაღვრილი სჯულის და ქვეყნის მფარველობის გულისთვის.

---

ქართველ მაჰმადიანთ შესახებ ლაპარაკი და სჯა ქართველობაში კარგა ხანია მას შემდეგ რაც აღიძრა. ამათ შესახებ რამდენიმე ქართველ კაცმა საკმარისად იღვაწეს, ბათუმში მათის შვილებისთვის კარგი სკოლა გაიხსნა. ორიოდ ყმაწვილი თფილისში იქმნენ ჩამოყვანილი სასწავლებლად, ერთმა უნივერსიტეტის კარამდისაც მიაღწია. ასეთ საქმეთ გარდა სხვა კითხვებიც აღიძრა, მაგალითებრ ქართველ მაჰმადიანთათვის ქართული საჭირო წიგნების გამოცემა და მათში უფასოდ ვრცელება, რასაც უეჭველია კარგი შედეგიც მოჰყვებოდა.

**1890** წ. ამ საქმეს მე შეუდექი, მარტოდ რასაკვირველია ვერას გავაწყობდი. პირველ წლებს ჯერეთ უნდა დამევლო მთელი დასავლეთ, ანუ ოსმალეთის საქართველო, გამეცნო იქ ქართველ მაჰმადიანთ მდგომარეობა. შემეკრიბა ზოგიერთი საჭირო ცნობები და მერე მათის მიხედვით უნდა დამებეჭდა საჭირო სახმარი წიგნები. ამ საქმისთვის მე მივმართე ყველა ქართველთაგან დიდათ პატივცემულს ალექსანდრე ეპისკოპოზს და მათ მოვახსენე ჩვენი განძრახვა. მათმა მეუფებამ, როგორც გულშემატკივარმა მამულის შვილმა, დიდის სიამოვნებით მოისმინა ყველაფერი, დიდად გაეხარდა, ჰაზრი აკურთხა და ბრძანა შემდეგი: დიახ, ჭეშმარიტად, საჭიროა ქართველ მაჰმადიანთათვის ზრუნვა. ღმერთმა აკურთხოს ეს რჩევა და წადილი. მე სრული იმედი მაქვს, რომ რაკი აქამდე ქართველ მაჰმადიანთ მეათე ნაწილმა მაინც მოაღწია ქართულის ენით და თავიანთ ქვეყნის ხსოვნით, ისინი დღეის შემდეგ, ქრისტიანთ ძლევა მოსილის რუსეთის მფარველობის ქვეშ არას დაჰკარგვენ. ჩვენ დიდი შიში მხოლოდ ოსმალთ მფარველობის დროს გვადგაკარს. მადლობა ღმერთს და მფარველი იყოს ჩვენი დედა მღვთი-

სა, რომ ოსმალოთ ამდენ დევნას ეს მცირე ნაწილი მაინც გადარჩა თავის დედა ენით... დიახ მოვალენი ვართ, რომ ამ მამა-პაპეულს საქმეს, ამ ძველის-ძველ ნაანდერძევ მცნებას ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ და ამდენი ხნის დაკარგულს ძმებს შეძლების დაგვარად დახმარებაც აღმოუჩინოთ, ასეთის საქმით, ასეთის ყურადღებით საფლავში ჩვენთ მამა-პაპათა ძვალნიც-კი შეინძრევიან სიხარულით, რადგანაც ქრისტიანობის ტანჯვის მწუხარება და ოსმალთა მონების ცნობები თან გაჰყვათ მათ, საფლავში ჩაიტანეს დიდის ტანჯვით. მადლობა ღმერთს, რომ ამ კუთხის დაცემულ ქართველთ, ანუ გიორგი მთაწმინდელის და შოთა რუსთველის თანამემამულეებს მზრუნველნი უჩნდებიან, მათში ენატრებათ დედა ენის და მწიგნობრობის აღორძინება და მოფენა, რაც შემდეგში დიდს სამაგალითო სახსოვრათაც ჩაითვლება. დიდად პატივცემულის მღვდელ მთავრის ალექსანდრეს პატიოსანმა სიტყვამ ჩაუდგა სული ქართველ მაჰმადიანთ საქმესა. ასეთის დარიგებით გაგვამხნევა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ეპისკოპოზმა ალექსანდრემ, ასე წაგვახალისა მათმა მამულის შვილურმა დარიგებამ, მათმა მეუფებამ მომავლის სასოება და განკაცების იმედიც გვამცნია. მას შემდეგ განვლო დრო ჟამმან, ქართველ მაჰმადიანთაგან ქართული წიგნების გაცნობის ხმაც განისმა. ეს ჴმა მათმა მეუფებამაც დიდის სიამოვნებით მიიღო, მას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და განაცხადა დიდი ნატვრა ქართველ მაჰმადიანთათვის საჭირო წიგნების ბეჭვდის. მას დიდი სურვილი ჰქონდა ქართველთ გათათრების ისტორიის მასალების ბეჭვდის. სურვილი ავასრულეთ და ეხლა უკვე ცალკე დავბეჭდეთ წიგნათ, რასაც ცხადი საქმეა ყველა ქართველი მაჰმადიანი ამას სიამოვნებით წაიკითხავს. ჩემის ექვსი წლის მოგზაურობის დროს მე შევკრიბე დიდი ძალი მასალები, ზოგი დაიბეჭდა და ზოგიც დაუბეჭდავათ დამშთა. ქართველ მაჰმადიანები ყოველთვის მავალებდენ ისეთი წიგნის დაბეჭვდას, სადაც აღწერილი იქნება ჩვენი გათათრების ისტორია, თუ პირველად ვინ გათათრდაო. ამ ჟა-

მალ მომზადებულია მთელი რიგი წიგნების ქართველთ მაჰმადიანთ წარსულ და აწმყო ცხოვრების შესახებ:

1) დასავლეთ საქართველოს ისტორია და ჯაყელების გვარის მნიშვნელობა. ათაბაგნი და ოსმალთაგან დასავლეთ საქართველოს დაპყრობა ახალციხე და ჩოლოქამდე 1630 წლებში. ჯაყელის გვარში ათაბაგობის მოსპობა და ფაშობის განწესება და ქართველებში ისლამის ვრცელება 1629 წლებ.

2) საფარ ფაშა ჯაყელი, პირველად ეს გათათრდა ქართველთ დიდებულ ჯაყელთაგან და მერე ამან დაუწყო ხალხს გათათრება. გარდაიცვალა 1637 წ.

3) როსტომ ფაშა ჯაყელი, ძე საფარ ფაშისა, ამან მოსპო დასავლეთ ქართველთ შორის სამღვდელო პირნი, დააქცია ბევრი ეკკლესიები, ქართველთ დიდკაცის ცოლებში ძალით შეიტანა მუსულმანობა. თვისი მეუღლე მარიამი სასტიკათ აწამა და ჰგვემა ქრისტიანობისთვის და ძალით გაამაჰმადიანა. გარდაიცვალა 1649 წ.

4) ასლან ფაშა, ძე როსტომ ფაშისა. ამის დროს მთელს დასავლეთ საქართველოში მოისპო თავადობა და განწესდა ბეგობა, მოისპო აზნაურობა და განწესდა ალიობა. ეს ფაშა არ იყო ოსმალთ მორჩილებაში, ამიტომ მას არზრუმის ფაშამ უმტრო და ხონთქართან დააბეზღეს, ხონთქრის ბრძანებით მას თავი მოსჭრეს 1676 წ. თავი სტამბოლს წარგზავნეს. უსუფ ფაშა ჯაყელი, გაფაშდა 1680 წ. გარდაიცვალა 1686 წ. სელიმ ფაშა ჯაყელი გარდაიცვალა 1701 წ. ისაყ ფაშა ჯაყელი, ძე უსუფ ფაშისა, სამჯერ გაფაშდა, გარდაიცვალა 1737 წ. ამან სიცოცხლეშივე გააფაშა თავის შვილი უსუფ ფაშა.

5) უსუფ ფაშა ჯაყელი, ძე ასლან ფაშისა. ამ ფაშის დროს ქართველ ახლად გამაჰმადიანებულთა უგვანათ იწყეს ცხოვრება, ამავე დროს ეკკლესიებს უწყეს ნგრევა, ქცევა და სრულიად ოხრება და მათ მაგიერ ჯამეები აღშენდებოდა, ქართლის ზნე და ხასიათი ამოვარდნას მიეცა. გარდაიცვალა 1744 წ. ამის შემდეგ განაგებდენ სხვა-და-სხვა ფაშები ვიდრე 1760 წლამდე-

შემდეგ დროებში გაძლიერდენ ხიმშიაშვილები. 6) სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი, ამის მამა აბდულ ბეგი და სელიმ ფაშის შვილი ახმედ ფაშა და ქართველობის დევნა.

7) აჭარა, შავშეთი, ლივანა, მაჭახელი, ზეგანი და ქობულეთის აღწერა. აქ აღწერილია ხეობები, მთები, სოფლები, დაბები, ძველი ნაშთები, ეკკლესიები, ხიდები, ციხეები, კოშკები და ჯამეები. ხალხი, მდგომარეობა, მოლები, ხოჯები, სასწავლებლები, ნასწავლი კაცები და მოწინავე გვარის კაცნი, მდაბიონი, დედაკაცობა და 8) ქართველთ მოლების და ხოჯების ქადაგებანი. ჩვენ თამამად ვიტყვით, რომ ყველა ეს წიგნები ქართველ მაჰმადიანებში დიდის სიამოვნებით მოიფინება. ნამეტურ წაიკითხვენ საფარ ფაშის, როსტომ ფაშის და უსუფ ფაშის ცხოვრებას, რომელთაც საქართველოს უმტრეს, დაჰგმეს თავისი ქვეყანა, სჯული, ენა, უღალატეს ხალხს და ოსმალთ მიემხრნენ შესყიდვით. საჭიროა მხოლოდ ამ წიგნების დასტამბვა. ერთ კაცისთვის-კი ეს დიდათ გაძნელდება, რადგანაც წიგნების რამდენიმე ასობით გავრცელებულ უნდა იქმნეს უფასოდ. ვიტყვით იმასაც, რომ ჩვენგან ანუსხულს მასალებში ძრიელ ბევრი ძვირფასი ცნობებია მოთავსებული, ჩვენ ამაზედ საუბარს არ დავიწყებთ. მაგალითს თვით ეს დაბეჭდილი წიგნიც გაუწყებთ, რომ მათი დაბეჭდვა არ იქმნება უმნიშვნელო.

947.922
J 551

ზ. ჭიჭინაძე

მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 30 №-რი.

ფასი 25 კაპ.

დაიბეჭდება და მალე გამოვა დასავლეთ საქართველოს ისტორია.

947.922
ჭ 551